# საერთო გაზეთი

№41 (353) • 23 დეკემბერი, 2015 წელი • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი




## ირაკლი ღარიბაშვილი:

**თავდაუზოგავად ვშრომობთ იმისთვის, რომ ვიყოთ ხელისუფლება, რომელსაც ჩვენი ხალხი იმსახურებს**

„ევროკავშირის პრინციპული თანხმობა უვიზო მიმოსვლაზე ჩვენი მრავალმხრივი შრომის უმაღლესი შეფასებაა“

## მირიან ნიკოლაძე:

ელისაშვილისა და ზვიად ქორიძის მსგავსად რომ ვაზროვნებდე, ახლავე გავაკეთებდი განცხადებას, რომ ელისაშვილს ფული აქვს აღებული იმ საქმეში, რაზეც პროკურატურაში იმყოფებოდა





## სოსო მანჯავიძე:



**ჩვენი მედია არის ჩვენი ტრა-გედია...**

## გიგლა ბარამიძე:



რატომ რჩება ყურადღების გარეშე პუტინის განცხადება, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ვიზალიბერა-ლიზაცია

## რატომ უპირისპირდებიან ბიზნესმენები ბანკ „რესპუბლიკას?“


ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
SOCIETE GENERALE GROUP


საააკაშვილის სასამართლომ, თაღლითების „მტკიცებულებების“ საფუძველზე, უდანაშაულო ბესარიონ ხვინთელიანს თაღლითობაში იქით დასდო ბრალი და 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა



## სიცრუის სიბრძნე

**პონტოსის ჯაშუშებისთვის, სუს-ის აგენტებისთვის, მექრთამეებისთვის და კიდევ სხვა ჯურის ცოდვილთათვის**



კადრი ფილმიდან „მონანიება“


საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

## რედაქტორის სვეტი



ვახტანგ ხარჩილავა

ორი ახალი ამბავი მოხდა გასულ კვირას და ორივე კარგი!

ვგულისხმობ ევროპის ქვეყნებში საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის გადაწყვეტილებას და პუტინის განცხადებას საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებისთვის მზადყოფნის შესახებ.

ეს ორივე ამბავი მართლაც ძალიან კარგია, მაგრამ ამ ორ ამბავზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ორი კარგი ამბავი თითქმის ერთდროულად მოხდა, რაც სულ ცოტა ხნის წინათ ბევრს წარმოუდგენელი და კატეგორიულად ურთიერთგამომრიცხავი რამ ეგონა.

ვიყოთ გულწრფელნი და ობიექტურნი — საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის გონივრულმა პოლიტიკამ, დაბალანსებულმა, პრაგმატულმა ნაბიჯებმა ყველა მიმართულებით, სასიკეთო შედეგები გამოიღო და ქვეყნის განვითარების სრულიად ახალი პერსპექტივები წარმოაჩინა.

ამ პატარა წერილში შეუძლებელია გასულ კვირას მომხდარი ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის სრულყოფილი და ამომწურავი ანალიზი, მაგრამ როცა ამის დრო მოვა და მაგიდაზე დაიდება კომპეტენტური ადამიანების ფართო წრის მიერ გაანალიზებული და გაშიფრული დასკვნები, საქართველოს მოსახლეობა ადვილად დარწმუნდება, რომ ქვეყნის ცხოვრებაში ახალი, უმნიშვნელოვანესი ეტაპი დაიწყო.

ჩვენ დიდი შანსი მოგვეცა, რომ საქართველომ დაიბრუნოს თავისი ისტორიული ფუნქცია და ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტურად გამოვიყენებთ ამ შანსს. ერთადერთი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს და საერთოდ წყალში ჩაყაროს ეს დიდი მონაპოვარი, შეიძლება იყოს კერძო, ვიწრო პარტიულ-ეგოისტურ ინტერესებზე დაფუძნებული შიდა პოლიტიკური დაპირისპირებები ქვეყნის შიგნით.

სამწუხაროდ, ჩვენ უამრავი მწარე მაგალითი გვაქვს იმისა, თუ როგორ ეწირებოდა ქვეყანა ავადმყოფურად ამბიციური და პატივმოყვარე ადამიანების ურთერთქიშპსა და შუღლს.

„მემრე შიგნით აიშალნენ, ძმამ მოუგდო ძმასა ყისტი“, — ჯერ კიდევ როდის წუხდა და გოდებდა დავით გურამიშვილი.

გურამიშვილის შემდეგაც არაერთხელ ავიშალენით შიგნით და ერთმანეთისთვის ყისტის მოდებაც მარჯვედ გამოგვდიოდა...

მომავალი, 2016 წელი, მოგეხსენებათ, საარჩევნო წელიწადია და, გამომდინარე აქედან, დიდია საფრთხე ქართული ხასიათისთვის ნიშანდობლივმა ზოგიერთმა ცუდმა ზნემ და თვისებამ კვლავ იმძლავროს და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ღვთის ნებითა და კაცთა ძალისხმევით მიღწეულ იმ ნათელ პერსპექტივას, რიმელიც საქართველოს აწმყოსა და მომავლის ხსნა და გადარჩენაა.

არსებობს ზოგადეროვნული, ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მარადიულად უცვლელი კონცეფცია, რომელიც რევიზიას არ ექვემდებარება.

მე ამ მარადიული კონცეფციის კონტურები დავინახე გასულ კვირას მომხდარ ამბებში და, ღმერთმა ქნას, რომ არ ვცდებოდე...

დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო და მშვიდობას, ერთსულოვნებას, თანხმობას და სიყვარულს გისურვებთ!

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

## ირაკლი ღარიბაშვილი:

# თავდაუზოგავად ვშრომობთ იმისთვის, რომ ვიყოთ ხელისუფლება, რომელსაც ჩვენი ხალხი იმსახურებს



— თავდაუზოგავად ვშრომობთ იმისთვის, რომ ვიყოთ ხელისუფლება, რომელსაც ჩვენი ხალხი იმსახურებს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სამწლიანი საქმიანობის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლით დასრულდა ავტორიტარული მმართველობა.

“ჩვენ ერთად გადავწყვიტეთ დაგვესრულებინა ავტორიტარული მმართველობა და ავირჩიეთ განვითარების არსებითად ახალი გეზი - თანამედროვე ევროპული ტიპის, კანონის უზენაესობის, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის, მშვიდობის, ადამიანის უფლებათა დაცულობის, ყველასთვის თანასწორი შესაძლებლობების ქვეყნის შენება. ისეთი საქართველო, რომელშიც ხორცს შეისხამდა ჩვენი დიდი წინაპრების მუდმივი მისწრაფება - ვყოფილიყავით ერთიანი, ძლიერი, განვითარებული ქვეყანა, მსოფლიო მოწინავე ქვეყანათა მრავალფეროვნების თვითმყოფადი და გამორჩეული წევრი.

ამ მანდატით მოვედით ხელისუფლებაში და თავდაუზოგავად ვშრომობთ იმისთვის, რომ ვიყოთ ხელისუფლება, რომელსაც ჩვენი ხალხი იმსახურებს”, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, 21-ე საუკუნის მეთხუთმეტე წელი იწურება და ამ დროის განმავლობაში საქართველოს სამი ხელისუფლება მართავდა.

“2012 წელს ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით კოალიცია “ქართულმა ოცნებამ” გაიმარჯვა არჩევნებში. მოდით, ყველამ, ვინც ამ დარბაზშია და გვიყურებს, რამდენიმე წამით გავიხსენოთ თუ სად ვიყავით სამი წლის წინ, თვალი გადავავლოთ იმას თუ რა გაკეთდა ამ სამი წლის განმავლობაში...

...ევროპა უმაღლეს შეფასებას აძლევს ჩვენს წარმატებებს და ფართოდ გვიხსნის საზღვრებს”, - აღნიშნა პრემიერმა.

მისი თქმით, ეს საქართველოს მთავრობის პირველი ისტორიული შედეგია.

“დღეს ჩვენი შრომის პირველი ისტორიული შედეგი სახეზეა: ევროპა უმაღლეს შეფასებას აძლევს ჩვენ წარმატებებს და ფართოდ გვიხსნის საზღვრებს.

ევროკავშირის პრინციპული თანხმობა უვიზო მიმოსვლაზე ჩვენი მრავალმხრივი შრომის უმაღლესი შეფასებაა. ყველას კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ისტორიულ მიღწევას. ამიერიდან საქართველოს წინაშე სრულიად ახალი შესაძლებლობები ისახება”, - აღნიშნა პრემიერმა.




გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



## სოსო მანჯავიძე:

# ჩვენი მედია არის ჩვენი ტრაგედია...

გვესაუბრება საკრებულის წევრი, ბატონი **სოსო მანჯავიძე**

**— ბატონო სოსო, ახლახან რუსეთთან სავიზო რეჟიმის მოხსნის თაობაზე ინფორმაცია გავრცელდა. რამდენად წაადგება ეს რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზაციას, ქართულ ეკონომიკას და არის თუ არა თვით ეს ფაქტი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისთვის რამდენადმე საგარანტიო მოვლენა? მით უფრო, რომ ვლადიმირ პუტინმა ამ დღეებში კიდევაც განაცხადა: აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის საკითხი თქვენივე გადასაწყვეტიაო.**

— დავიწყოთ იქიდან, რომ რუსეთი არის უზარმაზარი ევრაზიული სივრცე, სადაც თავმოყრილია ასევე დიდი ეკონომიკური რესურსი კულტურული თვალსაზრისით, ეკონომიკური კუთხით, რომელთანაც ჩვენ ათეული წლების განმავლობაში ვიყავით ადაპტირებულნი. რუსეთში ცხოვრობს მილიონამდე ჩვენი თანამემამულე და ძნელია, არ გაითვალისწინო იმ ადამიანური კაპიტალის არსებობა, რაც ჩვენსა და რუსეთს შორის არსებობს. შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ რუსული იმპერიული ინტერესები, მაგრამ, მაინც მგონია, რომ ადამიანური რესურსი ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში.

რუსეთი, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ლიდერობს ფულადი გზავნილების მოცულობით საქართველოში.

სავიზო რეჟიმი, თავისთავად, არახელსაყრელი იყო ჩვენი მოსახლეობისთვის, აღარ ვილაპარაკებ იმაზე, თუ რა ტიპის პრობლემები ექმნებოდა ქართველს რუსეთში იგივე, ვთქვათ, აზერბაიჯანელთან ან სხვა რომელიმე ქვეყნის მოქალაქესთან შედარებით. სავიზო რეჟიმი პირდაპირ ურტყამდა ნებისმიერი საქმიანი ადამიანის ჯიბეს და რომ ვიანგარიშოთ, არცთუ ცოტა რაოდენობის თანხებზეა საუბარი, არაფერი რომ არ ვთქვათ, დროის კარგვაზე, ენერგიის, ნერვების და ა.შ.

სავიზო რეჟიმის შეწყვეტა რუსეთთან არის ძალიან საშური საქმე და დადებით შედეგებს გამოიღებს. ამას ვიზალიბერალიზაციის საკითხის გააქტიურებაც თუ მოჰყვება, კიდევ უკეთესი. ჩვენ შეგვეძლება თავისუფლად ვიმოძრაოთ ევროკავშირშიც, რუსეთშიც. შემდეგ ამ ინიციატივას, ალბათ, შემოუერთდება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი აშშ-იც, რაც, თავისთავად ცხადია, დადებითი მოვლენა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

სხვა ფაქტორებთან ერთად, სავიზო რეჟიმის მოხსნის ინიციატივა რუსეთის მხრიდან განაპირობა ჩვენი ხელისუფლების მიერ ანტირუსული რიტორიკის შესუსტებამ და ზომიერმა საგარეო პოლიტიკამ, რაც პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილის** დიდი დამსახურებაა. აქედან გამომდინარე, რუსეთს აღარ აქვს მოტივაცია, საქართველო ჰყავდეს იზოლაციური კონსერვაციის მდგომარეობაში.

**ევროკავშირთან მიმართებაშიც სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა.**

ასე რომ, ჩვენი ხელისუფლების ქმედებებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ გადავდივართ მრავალვექტორიან, მეზობ-

4 gv.




# სიცრუის სიბრძნე პონტოსის ჯაშუშებისთვის, სუს-ის აგენტებისთვის, მექრთამეებისთვის და კიდევ სხვა ჯურის ცოდვილთათვის

**ფილმიდან „მონანიება“**

*„შემოჰყავთ*

***მიხეილ კორიშელი.***

... — იყავით თუ არა პონტოსის ჯაშუში?

**მიხეილ კორიშელი:** — ვიყავი.

— რა ჯაშუშური დავალება გქონდათ მოცემული?

— გვირაბი უნდა გამეყვანა ბომბეიდან ლონდონამდე.

— ვინ გეხმარებოდათ ამ საქმის შესრულებაში?

— შეთქმულთა მთელი შემადგენლობა.

— კონკრეტულად? რამდენი კაცი?

— 2700.

— გვარები, რა თქმა უნდა, არ გახსოვთ...

— ამ შეთქმულთა სია არსებობს. მე მგონი, თქვენ არ გაგიჭირდებათ მისი მონახვა.

— კიდევ რა მავნებლურ საქმიანობას ეწეოდით?

— მოსახლეობის განადგურების მიზნით დავთესეთ მოწამლული სიმინდი?


კადრი ფილმიდან „მონანიება“

— იყო თუ არა სანდრო ბოტიჩელი ამ ორგანიზაციის წევრი?

— იყო.

**მიხეილ კორიშელი სანდრო კორინთელს:**

— მომისმინე, სანდრო. მე ბევრი ვიფიქრე, მთელი ღამეები ვფიქრობდი, ჩვენ უნდა დავასახელოთ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ეროვნული პარტიიდან. მთელ ქვეყანას ხომ ვერ დაიჭერენ, მაგრამ **როდესაც ეს სია ასიათასებს მიაღწევს, ზევით დაფიქრდებიან, საგანგებო ეროვნულ კრებას მოიწვევენ და გამოააშკარავებენ ყველა იმ ბოროტმოქმედს, რომელმაც მთავრობა შეცდომაში შეიყვანა.** გესმის, სანდრო, ეს ტაქტიკაა, ეშმაკური, მზაკვრული ტაქტიკა, მოვაწეროთ ხელი ყველაფერს. ეს საქმე უნდა მივიდეს აბსურდამდე, სრულ უაზრობამდე, ასიათასი სულელური ჩვენება, გვირაბი ბომბეიდან ლონდონამდე, ყოველივე ეს აღაშფოთებს მთავრობას და იგი ყელში სწვდება თავისი რკინის ხელით ბოროტმოქმედს, გაანადგურებს მას.

ეს ყველაფერი მე სიცრუის სიბრძნემ მიკარნახა.

**ჩასწვდი, სანდრო?“**

თქვენ თუ ჩასწვდით, მეგობრებო, ამ სიცრუის სიბრძნეს?

ხომ არ სჯობია ყველანი დავეთანხმოთ ცილისწამებებს და ბრალდებებს და როცა ეჭვმიტანილთა სია ასიათასებს მიაღწევს, იქნებ **ზევევმოთ** დაფიქრდნენ და ეროვნული კრებაც კი მოიწვიონ, რომ ის ბოროტმოქმედები გამოააშკარავონ, ვინც მთელ ქვეყანას ტალახში უპირებენ ამოთხვრას.

კილაძე სუს-ის აგენტს დაგიძახებთ? თავი დაუქნიეთ და დათანხმდით, რომ აგენტი ხართ.

კვესიტაძე პატიმრების წამებაში თუ ორცოლიანობაში დაგდებთ ბრალს? — მართალი ხართ, ქალბატონო, ცოდვილიანი ვარ მე უბედური-თქო, — დათანხმდით.

ელისაშვილი ქრთამის აღებაში დაგადანაშაულებთ? — ეგრევე ხელები ასწიეთ და ჩაბარდით.

ცოლთან ინტიმური კავშირის ამსახველ კადრებს თუ გაჩვენებენ კომპრომატად, თქვი, რომ საკუთარ ცოლთან კი არა, მეზობლის ცოლთან გქონდათ სექსი.

როცა ბევრნი, ძალიან ბევრნი, ათასები და ასიათასები იგივეს გააკეთებენ, იქ, **ზევევმოთ**, აუცილებლად დაფიქრდებიან და აუცილებლად მიხვდებიან, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, რადგან, როცა ყველა ეჭვმიტანილია და ქვეყანაში აღარავინ რჩება სამართლის და მტყუან-მართლის გამრჩევი, ასეთი ქვეყანა ჩასაძირად და დასაღუპად არის განწირული...

# ჩვენი მედია არის ჩვენი ტრაგედია...

3 gv.

ლებთან ნაკლები პრობლემების პროვოცირების პოლიტიკაზე.

„ნაციონალური მოძრაობა“ და მისი სატელიტი პარტიები საქართველოში უკმაყოფილონი არიან, რომ ჩვენ აღარ ვასრულებთ მახათის როლს რუსეთის რბილ ადგილებში, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ჩვენთვის მნიშვნელოვანი.

რაც შეეხება იმ ფრაზებს, რაც ითქვა აფხაზებთან და ოსებთან მიმართებაში, ჩვენთვის მთავარი სტრატეგია უნდა იყოს არა ის, რა ისტორიული წყენები გვაქვს, არამედ შედეგზე ვიყოთ ორიენტირებულნი. კარგი იქნება, თუ პირდაპირი დიალოგი დაიწყება და რუსეთი არბიტრის როლს შეასრულებს.

დიპლომატიურ ენაზე ხაჭაპურები რას ნიშნავდა, რას ნიშნავს ის, რომ რუსული ტელევიზიები, ფაქტობრივად, პროქართულ გადაცემებს უშვებენ ეთერებში, მაგალითად, 9 მაისს „ჯარისკაცის მამა“ აჩვენეს, რუსულ არხებზე „გიორგი სააკაძეს“ უშვებენ და ა. შ. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ რუსეთი ცდილობს, გადალახოს საქართველოსთან მიმართებაში არსებული ბარიერები.

ფაქტია, რომ საქართველოში არიან შეურიგებელი ანტირუსული განწყობის ადამიანები. ეს ბუნებრივია. დიდი ტკივილი მივიღეთ აფხაზეთის და ცხინვალის მოვლენებით, მსხვერპლი გავიღეთ, გაიყო ქვეყანა, მაგრამ უნდა გავიხსენოთ უბრალო რამ, წყენა არ არის კარგი მრჩეველი და გაბუტვით სასურველ შედეგს ხშირად ვერ მიაღწევ, მით უფრო, როცა საკითხი ეხება დაკარგული ტერიტორიების ამა თუ იმ ფორმით დაბრუნებას.

თქვენს გაზეთთან ვთქვი დაახლოებით ერთი წლის წინათ და მოხარული ვარ, რომ ზუსტად იმ სცენარით მიდის ყველაფერი — უნდა დავიწყოთ მოლაპარაკებები და გავაცნობიეროთ, რა ინტერესები აქვს რუსეთს და როგორ დაემთხვევა ეს ჩვენს ინტერესებს.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ იკვეთება ჩინეთის ინტერესები საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის მიმართ. სავაჭრო გზები, რომლითაც ძალიან არის დაინტერესებული ჩინეთის მხარე, საქართველოზე გადის და ამ მხრივაც პოლიტიკურად დიდ მნიშვნელობას ვიძენთ.

**— რაც შეეხება ჩვენს სამხრეთ მეზობელს — თურქეთს?**

— უნდა გვესმოდეს იმპერიების ბუნება. როცა თურქეთი ჩამოყალიბდა, როგორც სამხედროების მიერ კონტროლირებადი სახელმწიფო, გახსოვთ, ათათურქის ანდერძი: არავითარ შემთხვევაში არ ეცადოთ ოსმალეთის იმპერიის აღდგენას, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ მიიღებთ დაშლილ თურქეთსო. ზუსტად ამის საწინააღმდეგოდ მოქმედებს დღეს **ერდოღანი-დავითოღლუ-ჩაუშოღლუ**ს ტრიო.

თურქეთის პოლიტიკა იყო ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან, დღეს თურქეთს პრობლემა აქვს აბსოლუტურად ყველა მეზობელთან.

თურქეთს პრობლემად დაემატა ურთიერთობის დაძაბვა რუსეთთან.

ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, თურქეთს ჩვენთვის დღეს ნაკლებად სცალია. შესაბამისად, უნდა ვეცადოთ, რომ აჭარაში რბილი ძალის გამოყენებით თურქეთის ამბიციების დეზაქტივირება მოვახდინოთ, თუმცა ისე არა, რომ შევეჩხიროთ ვინმეს. დღეს გვეძლევა შანსი, რომ ყველა ის დაპირისპირება, რაც არსებობს, გადავაქციოთ ჩვენი განვითარების ფაქტორად.



ამ ეტაპზე მაინც უნდა შევეცადოთ, საქართველო იქცეს ისეთ ადგილად, სადაც ვერც ერთმა ძალამ ერთმანეთის შიშით ვერ დაარღვიოს ბალანსი. ეს კანონზომიერი პროცესია და უნდა გამოვიყენოთ. ყველასთან მკაცრად და კეთილგანწყობით დავიცვათ ჩვენი პოზიციები, რითაც საქართველოს მიეცემა შანსი მსოფლიოში მშვიდობის ჰაბი გახდეს. სწორედ საქართველო არის იდეალური ადგილი ამ ფუნქციისთვის. პროცესები აქეთკენ მიდის. აქამდე ხომ ვიყავით ჩაკეტილი კონსერვაციაში, ახლა ერთმანეთს ეჯიბრებიან, გზა გაგვიხსნან და ძნელია, ამაში არ დაინახო განგების ხელი. ამ ვითარებაში უნდა ვეცადოთ, შიდა დამანგრეველი ძალები და უკულტურო პოლიტიკური ტრენდი დავძლიოთ.

**— ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, შიდაპოლიტიკური ვითარება არ არის მთლად სახარბიელო.**

— ის, რომ ქვეყნის შიგნით პროცესები არასტაბილურად ვითარდება, საქმე გვაქვს პოლიტიკურ უკულტურობასთან, მოედინება ლანძღვა-გინების კორიანტელი, დაუსაბუთებელი ბრალდებების ნაკადი მედიიდან, არ ისჯება არც ბრალდებული, არც ბრალმდებელი, არ ჩანს პოლიტიკური ნება, რომ ეს აღიკვეთოს, ეს არის დღეს ჩვენი ქვეყნის მთავარი პრობლემა.

**— არ უნდა გამოაშკარავდეს დანაშაულებანი თუ ასეთი არსებობს? და პრესამ ამაზე არ უნდა ილაპარაკოს?**

— აღსაკვეთია დისკრედიტებული, უზნეო, გაუნათლებელი, უკულტურო ადამიანების ხელში ელექტრონული და ბეჭდური მედიის ბერკეტების გამოყენება, პოლიტიკური და ზნეობრივი ატმოსფეროს დაბინძურების მიზნით. ამისთვის არსებობს საკანონმდებლო ინსტრუმენტები, კერძოდ, აუცილებლად დეტალურად უნდა იქნას მიღებული სანქციები ცილისწამებისა, პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციების გავრცელებისთვის და სისხლის სამართლის პასუხისგების საკითხი უნდა დადგეს. ამ კანონზე ხუთი წელიწადია უკვე ვსაუბრობ პირადად მე. ყოველივე ამის გარეშე ძნელი იქნება, დაარეგულირდეს მედიატერორი. გამოხატვის თავისუფლება არ ნიშნავს ზნეობისა და მორალისგან გათავისუფლებას. ინფორმცია, საინფორმაციო საშუალება არის იარაღი და როგორც იარაღის გადაცემის შემთხვევაში არის საჭირო რეგულაციები — ის არ უნდა ჩავაბაროთ ფსიქიკურად არაჯანსაღ ადამიანს, ნასამართლევს, უზნეოს და ა.შ. იგივე და გაცილებით უფრო მკაცრი მოთხოვნები უნდა იყოს დაწესებული იმათთვის, ვინც გარკვეული პოლიტიკური ინტერესების გამო ჩაიგდებს ხელში მედიასაშუალებას. მედიასაშუალებების დაფინანსების წყაროებიც აუცილებლად უნდა იქნას გადახედილი. დაფინანსება უნდა იყოს გამჭვირვალე, რადგან, როცა გაურკვეველი ძალები შეაქმნევინებენ ვინმეს მედიასტრუქტურებს, „კრიშავენ“ და იყენებენ მერე სპეციალურად შერჩეულ უზნეო ადამიან-კოლექტორებს, სიბინძურეების კოლექტორებს, როგორც ე. წ. „შლანგებს“, მანიპულირებენ ამ ადამიანი-კანალიზაციებით, მიუშვერენ პოლიტიკურ ოპონენტს და თხვრიან. ეს არის სამარცხვინო. ადამიანი ისეა მოწყობილი, როცა მავანი ინფორმაციულად არის დაბინძურებული, მას ყველა ერიდება, იქმნება ეჭვი, რომ ყოველივე შეიძლება სიმართლეს შეესაბამებოდეს. ეს ძალიან ბინძური მართვის სქემაა და შეიძლება ითქვას, ეს არის ჩვენი განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორიც. ყოველივე ეს ქმნის არაჯანსაღ, სიძულვილის ატმოსფეროს. სიძულვილით აშენებული ქვეყანა კი არავის უნახავს — ისპობა სოციალური კაპიტალი, ადამიანებს ერთმანეთი ეზიზღებათ, ყველა ეჭვიანობს, ყველა ერთმანეთში ხედავს აგენტს და გამყიდველს.

აქ ალენ დალესის დოქტრინაც მახსენდება.

**— ვინ აკეთებს ამას, ბატონო სოსო, რა კატეგორია?**

— ალენ დალესი ვახსენე და მისი დოქტრინა, მაშინ, შეიძლება, საერთოდ არ ჰქონდა წაკითხული ბატონ **ჭაბუა ამირეჯიბს**, მაგრამ არქიფო სეთურის სქემა და სახე მაინც იდეალურად დახატა. ეს ზუსტად ისაა, რაც ხდება ჩვენთან. საერთოდ, საქართველოში ოთხი ავტორი მახსენდება, რომლებმაც ასახა და თითქოს დააპროგრამა დღევანდელი ვითარება. ოთხი ნაწარმოები: ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, რეზო გაბრიაძის „შერეკილები“, რეზო ჭეიშვილის „ცისფერი მთები, ანუ ტიანშანი“ (და „შალიკო ხვინგიაძეც“, სხვათა შორის) სრულად ეხმაურება ჩვენს დღევანდელ ყოფას.

**ჩვენი მედია დღეს არის ჩვენი ტრაგედია** და ეს განპირობებულია იმ პედაგოგიური შეხედულებით, რომლითაც იზრდებოდა იგი გასული საუკუნის 90-იან წლებში. ვიცით, სადაც დაფრთიანდა ჩვენი მედია. ეს არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი...





დღეს ჩვენი მედია განწყობილია არა ანალიზზე, არა კონსტრუქციულ დიალოგებზე, არამედ ორიენტირებულია სკანდალებზე, ურთიერთდაპირისპირებაზე, ურთიერთკომპრომეტირებაზე, ამ კომპრომატების მოძიებაზე და ამით შანტაჟზე, ადამიანების გასვრაზე და ა.შ. ეს ისეა, როცა, მაგალითად, მეძებარს დაგეშავ კურდღელზე და ის მელიას ვეღარ გაედევნება. ეს არის იარაღი, ინსტრუმენტი მტრისთვის, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია არიოს სიტუაცია.

აი, გამოვიდა ბატონი **ელისაშვილი**, რომელსაც როგორი წარსული აქვს, ყველამ ვიცით და ვინც მას შეუქმნა ბოლოდროინდელი ე. წ. „შლეიფი“, იმან აგოს პასუხი მისი საქციელების შედეგებზე.

ელისაშვილის შემთხვევაში ტრაგიკომედიასთან გვაქვს საქმე. ამბობს, რომ ორი წლის წინ მასზე ზეწოლას ახორციელებდნენ. შეწყალებაზე გადაწყვეტილებას პრეზიდენტი იღებს, თუ ზეწოლას ახორციელებდნენ, ის უნდა მისულიყო პრეზიდენტთან და გაერკვია გაუგებრობანი. და საერთოდ, რა ინსტრუმენტი ჰქონდა ვინმეს მასზე ზეწოლა განეხორციელებინა?! ეშინოდა **ბესელია**სი და **კობახიძის**? ემუქრებოდნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით თუ რა? თუ მაინცდამაინც მესიჯები ჰქონდა, რატომ არ დააკოპირა ეს მესიჯები?

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ისიც ჟურნალისტია და, სამწუხაროდ, წეღან რომ ვახსენე, ისეთ ადამიან-კოლექტორს ჰგავს, მას, ეტყობა, სახურავი, იგივე „კრიშა“ ჰყავს, ვინც ხელშეუხებლობის გარანტიებს აძლევს. თავის გულში ჩაიხედოს. შეიძლება ბევრი ვინმე ასევე ბევრს არ ლაპარაკობდეს, მაგრამ ყველა ხვდება, საიდან უბერავს სიო.

გასაგებია, რომ ელისაშვილი, ასე ვთქვათ, „გასულია მომსახურების ზონიდან“, თავი ლამის ილია ჭავჭავაძეს შეადარა, საპატრიარქოში აუდიტის შესვლა მოითხოვა, **ბექა მინდიაშვილიც** კი გაოცებული უყურებდა, ისეთი სიტყვით გამოვიდა „რუსთავი-2“-ზე, მაგრამ ჩვენი ტრაგედია კიდევ იცით, რა არის, ადამიანების უმრავლესობა დასნებოვნებულია უარყოფითი ინფორმაციებით მიღებული სიმსივნეებით. ეს არის ავადმყოფობა. გულს თუ გაიქეციანებ, ფხანა აღარ დაგჭირდებაო, ხომ გაგიგონიათ. ეს არის გაქეციანებული გულის მდგომარეობა და ამით მიღებული სიამოვნებაც არაჯანსაღია. ქავილი რომ სიამოვნებაში გადადის, დაახლოებით ამ მდგომარეობაშია საზოგადოება ჩვენი მედიის შემყურე.

ტუტუცები არიან გამოშვებული ასპარეზზე. ტუტუცი ადრე იყო თანამდებობა. დიდგვაროვნებს ერთ ადგილს ფხანდნენ. მაღალ თანამდებობებზე მყოფთა გაქეციანებული გულის მფხანი ტუტუცების როლში გამოდის მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი. უდიდეს საფრთხედ გვიდგას დღეს ტუტუცობა და არქიფო სეთურიზმი. ამის გამო გარე კი არა, შიდა საფრთხეების უფრო უნდა გვეშინოდეს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# ირმა ქადაგიშვილი:

# თავი უცოდველად გამოჰყავს, სინამდვილეში, გველეშაპი ზის მაია მწარიაშვილში, ის ახდენდა ზეწოლას სასამართლოზე ჩემი 33 წლის ძმის მკვლელი მისი ქმარი რომ დაუსჯელი დარჩენილიყო

**რედაქციაში ქალბატონი ირმა ქადაგიშვილი გვესტუმრა და ქალაქის ყოფილი პროკურორის, ქალბატონი მაია მწარიაშვილის შესახებ ასეთი რამ გვიამბო.**

— „მაია მწარიაშვილის ყოფილი ქმარი, გვარად აბსანძე, ტრანსპორტის პროკურატურაში მუშაობდა. იმ პერიოდში ერთი საქმე იყო ძიებაში, რომელიც ბოლომდე ვერ მიიყვანა მწარიაშვილის ქმარმა და დააწერეს ჩემს ძმას, რომელიც სერიოზული კვალიფიკაციის გამომძიებელი იყო.

სს საქმე, როგორც წესი, უნდა იყოს შეკერილი, არ შეიძლება თუნდაც ერთი ფურცელი აკლდეს, ან გაიხსნას, ან დაიკარგოს.

ჩემს ძმას რომ გადააბარეს ეს საქმე, აკლდა თურმე მასალები, გაბნეული იყო გვერდები და ა.შ. 6 თვის განმავლობაში ჩემი ძმა სთხოვდა აბსანძეს: მოიძიე და მომაწოდე დაკარგული დოკუმენტაციაო. იმ ხანებში პროკურატურაც დაინტერესებულა ამ საქმით და უკითხავს ჩემი ძმისთვის: რა ხდება ამ კუთხითო. მაშინ კვლავ უთხოვია ჩემს ძმას აბსანძისთვის: 6 თვეა გთხოვ საქმის მასალებს სრულად, ან მოიძიე, ან მითხარი, რომ დაკარგულია და ხელახლა გავაკეთოთ, ან რაიმე ერთად მოვიფიქროთო.

აბსანძეს აუღია ტელეფონი და დაურეკავს პროკურორისთვის: ქადაგიშვილი მაწუხებს საქმის მასალებისთვის, მანდ ხომ არ დამრჩა, ხომ არ იცითო?! ჩემს ძმას გაუთიშავს ტელეფონი აბსანძისთვის: რა წესია, რას აკეთებო. ამაზე წაკინკლავებულან და მათი კამათი ჩხუბში გადაზრდილა. ჩემს ძმას უთქვამს: გამოდი კაბინეტიდან, ჩავიდეთ, გარეთ დავილაპარაკოთ, აქ არ არის ჩიდაობის ადგილიო და წასულა კარებისკენ. როგორც კი ჩემი ძმა მიტრილადა, აბსანძემ დანა ჩაარტყა.

ჩემი ძმა 33 წლის იმედისმომცემი გამომძიებელი და ვაჟკაცი ახალგაზრდა ამ ჭრილობის მიყენებიდან რესპუბლიკურ საავადმყოფოში ოპერაციის დროს გარდაიცვალა.

იმ ხანებში **მაია მწარიაშვილი** უშიშროების საბჭოში მუშაობდა **ნუგზარ საჯაიასთან** და ჩემი ძმის მკვლელის, მისი მეუღლის მესამე დღესვე თავდებით გამოყვანა მოინდომა. მე მაშინ იუსტიციის სამინისტროში ვმუშაობდი.

მაია მწარიაშვილი **ჯონი ხეცურიანს** საჯაიას კაბინეტიდან ურეკავდა და ისე მოაბეზრა თავი ხეცურიანს, მდივანს უთხრა თურმე, ამ წაკლა დედაკაცმა კიდევ თუ დარეკოს, აღარ შემაერთოთო.

თან განცხადებას განცხადებაზე წერდა მწარიაშვილი, თითქოს მე ვახდენდი ზეწოლას სასამართლოზე. რა მქონდა ზეწოლის მოსახდენი, ფაქტი სახეზე იყო, ჩემი ძმა აღარ იყო ცოცხალი.

მერე მითხრეს, პირველი რეაქცია, რაც იყო მწარიაშვილისგან, მან წამოიძახა: ეს რა გამიკეთა, ამ დღეებში სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ ვინიშნებოდიო. იმას კი არ დარდობდა — ადამიანი მოკლა ჩემმა ქმარმაო, პირიქით, დავიღუპე, თანადებობას ვკარგავო.

საშინელი ამბავი ტრიალებდა ჩვენს ოჯახში. ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ დედაჩემი სტრესული ინტოქსიკაციის ფონზე სარკომით დაავადდა. სიცოცხლის ბოლო დღეებში ამბობდა: ბედნიერი ვარ, რომ ვკვდებიო. რომ ვერ დგებოდა, სამყაროსთან დასაკავშირებელი ერთადერთი საშუალება ტელეფონი ჰქონდა, თავთან ედო, ურეკავდნენ დაეუბნებოდნენ, დაანებეთ თავი ირაკლის მკვლელის დასჯაზე ფიქრს, ცოცხლებზე იფიქრეთ, კიდევ გყავთ შვილები, მათ გაუფრთხილდითო. გვთავაზობდნენ 25 000 დოლარს, შეწყვიტეთ საქმეო.

არავითარ მოლაპარაკებაზე არ წავედით. რა იყო ჩემი ძმის სიცოცხლის საფასური? ყველაფერი დაგვენგრა და რა უნდა მოგვეთხოვა ამის საპირწონედ?! მოლაპარაკებაზე რომ არ წავედით, მერე წამოვიდა მუქარები. დედაჩემს ეუბნებოდნენ: ვის არ მოკვდომია შვილი, დააფასე, რა გიღირს ეგ შენი შვილი, გვითხარით, რამდენი გინდათ, გადავიხდით და გაჩუმდითო.

**— ვინ იყვნენ ესენი, ვინ რეკავდა თქვენთან?**

— რა თქმა უნდა, მკვლელის ახლობლები.

ერთ დღეს თვითონ **მაია მწარიაშვილი** მომივარდა სამსახურში. ჩემი მეგობრის კაბინეტში ვიჯექი, გაიღო კარი, შემოვარდა ვიღაც, უცებ, ვერ მივხვდით, რა ხდებოდა, მაია მწარიაშვილს ხელში გაზეთი ეჭირა, მოიმარჯვა და გვესროლა ცჰვენ. ჩემმა მეგობარმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, წამოხტა და გარეთ გავარდა.



მაია მწარიაშვილი

**— გაზეთი რატომ გესროლათ?**

— ახლა არ მახსოვს, რომელი გაზეთი იყო, გაზეთში დედაჩემის ინტერვიუ იყო დაბეჭდილი. ექსპერტიზაზე რომ მივედით, გვითხრეს: საჯაიას კაბინეტიდან გვირეკავენ, მწარიაშვილი რეკავს, ითხოვს, ექსპერტიზის დასკვნები გაყალბდესო. მოსამართლეები მეუბნებოდნენ, საჯაიასგან რეკავენ, აგვაცილეთ ეს მაზარ მანქანას ვებრძოდით. **ქალბატონი მწარიაშვილი უშიშროების საბჭოდან მთელ სამართალდამცავ სტრუქტურებს აკონტროლებდა** და ყველაზე ახდენდა გავლენას.

მწარიაშვილმა პირადად მე მითხრა: რასაც მოიგებ ამ ომში, გადარჩენილ ქადაგიშვილებს გაუყავიო. რომელ მოგებაზე იყო საუბარი, ძმის მკვლელის დასჯას ვითხოვდით კანონის ფარგლებში.

**— ბოლო-ბოლო მიუსაჯეს თქვენი ძმის მკვლელს?**

— ორი წელი და ექვსი თვე მიუსაჯეს. მაგრამ უფრო მეტსაც გეტყვით: საქმე ხომ გადავიდა აფხაზეთის სასამართლოში, იქ გამოიტანეს განაჩენი — რადგან ირაკლი ქადაგიშვილი იყო ქალაქელი, მაღალი და ვაჟკაცური გარეგნობის, აბსანძე კი ლტოლვილი, სუსტი და გამხდარი, შეეშინდა აბსანძეს, ქადაგიშვილს არ ეჯობნა და არ მოეკლა, ამიტომ თვითონ დაასწრო და მოკლა მოსალოდნელ თავდასხმამდეო. გაითვალისწინეთ, ჩემს ძმას უკნიდან მარცხენა ფერდში ჰქონდა დანით ჭრილობა მიყენებული. იურისტი ვარ, იქამდე არ ვიცოდი და მერეც დიდხანს ვეძებე, მაგრამ კანონში ასეთი დეფინიცია ვერ ვიპოვე, რადგან სუსტი იყო, ეპატიება, რომ ფიზიკურად ძლიერს დანა ჩაარტყა. აბსოლუტურად გაუგებარი რამ არის.

საქმე ისაა, რომ მაია მწარიაშვილმა ყველაფერი გააკეთა მაშინ, რომ მისი მეუღლე მართლმსაჯულებას გარიდებოდა. ქმრის დარდი არც ჰქონია. აბსანძეს ამ ამბიდან ორ წელიწადში ისედაც გაეყარა, მაგრამ კარიერული წინსვლის ჟინი არ ასვენებდა და ამიტომაც არ უნდოდა მაშინ მისი ოჯახის წევრი პასუხისგებაში ყოფილიყო.

სისტემაში მერე ამბობდნენ თურმე, ყოჩაღ ქადაგიშვილებს, ორი წელი და 6 თვე მაინც რომ მიაცემინესო. საერთოდ დაპატიმრებაც არ ჰქონდათ განზრახული აბსანძის. წინასწარი დაკავების საკნიდან გაყვანა უნდოდათ, დაგვირეკეს და გვითქრეს: მუშაობენ, რომ საქმე, ძალიან გთხოვთ, რადგან განაჩენს ვერ გამოვიტანთო. ასე გაწელეს საქმე, სანამ კანონში ცვლილება არ შეიტანეს.

ჩემი ძმის მკვლელი ლტოლვილი იყო.

ახალი კანონმდებლობით, დევნილების საქმე აფხაზეთის სასამართლოს უნდა განეხილა. საქმეც ლტოლვილთა საქმეებში გადაიტანეს.

ვერც ერთ ინსტანციაში ვერ მოგვიგეს, თავს არ ვზოგავდით. წარმოიდგინეთ, უზართავდებში გაიყვანონ და მიხედეთ ამ საქმესო. რომ მივედი, მართლაც დაგვხვდა ხალხი, რომლებიც მზად იყვნენ აბსანძის გასაყვანად, მანქანაც ელოდებოდა. მაშინ ვუთხარი მოსამართლეს: არც გაიფიქროთ აბსანძის აქედან გაყვანა, ირაკლის გარდა კიდევ სამი ძმა მყავს და პასუხს ვერ ვაგებთ, რა მოხდება-მეთქი. ეს ის პერიოდია, როცა ჩემი ძმა ჯერ კიდევ არ იყო დასაფლავებული. სამძიმრის სკამიდან ამაყენა დედაჩემმა, კიოდა: წადი, რამე გააკეთე, ირაკლის მკვლელმა დაუსჯელმა როგორ უნდა იაროსო.

მაია მწარიაშვილი, რა თქმა უნდა, რჩებოდა თანამდებობაზე და მეტიც, იუსტიციიდან ჩემი გაგდებაც უნდოდა. დედამთილსა და მამამთილს განცხადება დააწერინა ჯონი ხეცურიანის სახელზე — ელენე ქადაგიშვილი ზეწოლას ახდენს გამოძიებაზე და გაათავისუფლეთ სამსახურიდანო.



ირაკლი ქადაგიშვილი

არავითარ ზეწოლას არ ვახდენდი. დედაჩემი არ ჩერდებოდა. აწრიალებული იყო პრესა, ყველგან ჩვენზე იწერებოდა. როგორც გითხარით, გვიგზავნიდნენ ხალხს მოსალაპარაკებლად, დედაჩემი ყველაფერზე უარზე იყო. ამბობდა, ყველა ჩემიანი რომ დაგეხოცათ, შეიძლებოდა, გავჩერებულიყავი, მაგრამ ირაკლის მკვლელობას ვერ მოვინელებო. განსაკუთრებულად უყვარდა ირაკლი და კიდევაც გადაყვა ამ დარდს ირაკლის სიკვდილიდან წელიწადნახევარში.

**— ობიექტური სასამართლოს პირობებში რამდენი წელი ეკუთვნოდა აბსანძეს?**

— რვა წელზე მეტი უნდა მიესაჯათ.

**— სასჯელის მოხდის შემდეგ სად მუშაობდა აბსანძე, ხომ არ იცით?**

— როგორც გავიგე, ადვოკატობდა, მერე არ ვიცი მისი გზაკვალი.

მე, უბრალოდ, ამ დღეებში, იცით, რამ გამაღიზიანა?! მწარიაშვილი რომ გამოდის ტელევიზიით და წყნარი სახით ზეწოლაზე რომ ლაპარაკობს. ეს ის მაია მწარიაშვილია, რომელსაც ოფიციალურ ტერორში ვყავდით მთელი ოჯახი, ზეწოლას ახდენდა სასამართლოზე, პირდაპირ იწევდა ჩვენსკენ, საშინლად იქცეოდა.

**— გარკვეულ ხანს არ ჩანდა, ახალი ხელისუფლების პერიოდში გამოჩნდა ქალბატონი მწარიაშვილი. ეს როგორ მოხდა, რას ფიქრობთ?**

— ნაცვლიშვილის „კამანდაა“. ესენი ერთად უნდა მოვიაზროთ. ხელახლა აპირებენ ძველი საქმიანობების გაშლას, უბრალოდ, რაღაც მიზეზის გამო ძალიან ადრე გამოაშკარავდა მათი ზრახვები და ნაცვლიშვილმა უცებ გადაწყვიტა საქართველოდან წასვლა.

ესენი არიან ყაჩაღები. ხომ გითხარით, ოფიციალურ ტერორში ვყავდით, და არა მხოლოდ ჩვენ, ის ჟურნალისტებიც, რომლებიც ამ საქმეზე ლაპარაკს გაბედავდნენ.

ახლა კი ზის ეთერში მწარიაშვილი და ლაპარაკობს, თავისუფალი უნდა იყოს სამართალდამცავი სტრუქტურები, მედია და ადამიანებო. უსინდისოდ სტყუის მწარიაშვილი, რადგან, რასაც ლაპარაკობს, იმის თვითონაც არ სჯერა. ყველაფერზე ხელის მომწერია ეს ადამიანი.

თავისი გამოსვლებით ახლა „ნაცმოძრაობას“ რომ უჭერს მხარს, ეს ფაქტია. როგორც ჩანს, „ნაცმოძრაობას“ დასჭირდა ახალ სახედ, თითქოს უმწიკვლო პერსონად. მე მკითხონ, ვინ არის მაია მწარიაშვილი. მე ვიტყვი, როგორ შეინარჩუნა თანამდებობები და როგორ იყენებდა თავის გავლენებს.

არ გამიკვირდება, კიდევ ბევრ შემთხვევაში გამოიყვანონ ქალბატონი მწარიაშვილი ექსპერტად, რადგან ძველი სახეები, ასე ვთქვათ, გაცვდნენ, ახალია საჭირო და აი, დალაგებული სახით გამოჩნდა ქალბატონი მაია და ბევრმა არ იცის, რომ გველეშაპი ზის მასში.

ჩემი აზრით, რაღაცისთვის ამზადებენ, ხელახლა რომ წამოატივტივონ და ფიგურად გახადონ. ჩემი ძმა ცოცხალი აღარ არის, დედაჩემიც გარდაიცვალა, ქალი, რომელმც სულის ამოხდომამდე იბრძოდა, სამართალი აღსრულებულიყო და შვილის მკვლელი კანონის მიხედვით დასჯილიყო. დედას რომ ვიხსენებ, ცხონებული ირინე ენუქიძე მაგონდება, მასავით თავდაუზოგავად იბრძოდა დედაც. მათი ხსოვნისთვის, სანამ ცოცხალი ვარ, ვერ გამაჩერებენ, ყოველთვის ვიტყვი სიმართლეს მაია მწარიაშვილზე, რომ ამ ქალმა კვლავაც ვერ მოახერხოს საზოგადოების სიცრუეში შეყვანა და უსამართლობის ბორბალის ხელახლა დატრიალება ამ ქვეყანაში.“

***ჩვენ ვცადეთ დავკავშირებოდით ქალბატონ მაია მწარიაშვილს, მაგრამ ვერ შევძელით დაკავშირება.***

***თავად თუ ჩვენთან საუბარს მოისურვებს, მზად ვართ მისი არგუმენტები მოვისმინოთ ზემოთმოთხრობილ ტრაგედიასთან დაკავშირებით.***

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# რატომ არ მოსწონს გრძელცხვირა ალეკოს, იგივე „ბოდიშას“, პრემიერი ღარიბაშვილი და საპატრიარქო და რატომ მოსწონს „რუსთავი-2“, როგორც თავისუფალი სიტყვის ნავსაყუდელი?

ამბობენ, მატყუარა ადამიანს ეზრდება ცხვირიო, მაგრამ ალეკო ხომ მატყუარა არ არის, ის უბრალოდ ბოდიშის მოხდის მოყვარე ახალგაზრდა, ენერგიული კაცია, რომელსაც, ბევრ სხვა პრეტენზიას შორის, დედაქალაქის მერობაზეც ჰქონდა პრეტენზია. რამდენი ბოდიში აქვს გადახდილი ალეკოს სიცოცხლის მანძილზე, ვინ იცის, მაგრამ იმ ბოდიშებს გადავხედოთ, ბოლო დროს ვირის ტლინკივით რომ მიაყარა.

ერთი ბოდიში არ ჰქონდა მოხდილი, რომ მეორე მიაყოლა სასწრაფოდ, ამჯერად ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებს მოუხადა (გადაცემა „არჩევანში“ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით მის პარტიულ მეგობრებს მიმართა, თქვენი ბოდვით შეპყრობილი შიზოფრენიკი დააოკეთ იქო), არ მინდოდა შეურაცხყოფა ან ტკივილი მიმეყენებინა ვინმესთვის, ამიტომ, საჯაროდ ვიხდი ბოდიშს და ამის შემდეგ ფრთხილად ვიქნებიო.

ვერ მოითმინა დიდხანს უბოდიშოდ და ახლა დავით ნარმანიას მოუხადა საჯაროდ ბოდიში, მე ნარმანიას პირობა მივეცი ზონალური საბჭოს სხდომაზე, რომ თუ საბჭო გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა, მე ჩემ დღევანდელ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ჩირგვში ჯდომასთან დაკავშირებით, უკან წავიღებდი და ბოდიშს მოვუხდიდი. ახლა, ვასრულებ ამ სიტყვას და პირადად მას ბოდიშს ვუხდიო.

„ბოდიშის არსენალი“ აქვს ამ კაცს, ფაქტია, მაგრამ ეგებ ვინმემ შეაპაროს რამენაირად, შვილო, ძმაო ან ბატონო გრძელცხვირა ალეკო, წარამარა საბოდიშოდ რატომ იხდით საქმეს, ეგ ენა შენ პირში არ არის, რატომ გივარდება ვარანივითო?

ნამდვილად გრძელი ცხვირი აქვს ალეკოს, ფიგურალურადაც კი. იმდენად გრძელი, რომ სამების ალმართსაც აასკდა და „რუსთავი 2-ის“ ეთერიდან (გადაცემა „არჩევანი“) დასჭექა, აუდიტის სამსახური საპატრიარქოში უნდა შევიდეს და შეამოწმოს საპატრიარქოს ხარჯებიო.

საინტერესოა, თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა გრძელცხვირა ალეკომ რატომ არ იცოდა, რომ სახელმწიფო აუდიტის კანონის მე-17 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვე-პუნქტის თანახმად, აუდიტის შემოწმება არ ვრცელდება კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე (ანუ კანონის მიხედვით, აუდიტის სამსახურს არ აქვს საპატრიარქოს შემოწმების უფლება), თუ, იცოდა და სადაც „იდგა“ („რუსთავი 2“) იქიდან „სხვაგვარად არ ძალუძდა“? რა ვიცი, პრემიერზე ცოფი ჰყარა, თბილისის მერიისა და საკრებულოს კომპეტენციაში ერევა, ვინ ეკითხება სად იდგმება თბილისის ტერიტორიაზე ძეგლები, საქმე გამოელიაო? იქნებ წააკითხოს ვინმემ ღარიბაშვილს კონსტიტუცია და აუხსნან, სად გადის მისი, თბილისის მერისა და საკრებულოს ზღვარიო...



ჟარგონით რომ ვთქვათ, ისე ჩანს, გრძელცხვირა ალეკოს მაგრად არ ევასება პრემიერი ღარიბაშვილი და საპატრიარქო, მაგრამ მაგრად ევასება „რუსთავი 2“, თავისუფალი სიტყვის ნავთსაყუდელი...

აბა, რამდენმა ადამიანმა იცის, რა ბზიკს შეიძლება ჰქონდეს დაკბენილი გრძელცხვირა ალეკოს გრძელი ცხვირი, რომელიც მიმართულებას იძლევა, ფინანსურმა პოლიციამ არ უნდა შეამოწმოს „რუსთავი 2“ (თორემ ასი ათასობით ადამიანს გამოვიყვანო), მაგრამ უნდა შეამოწმოს საპატრიარქოო?

თურმე „ხალხოსანი“ გრძელცხვირა ალეკო ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოში“ მუშაობდა, გრანტების გამანაწილებელი ჯგუფის წევრი იყო. დაზუსტებული ინფორმაციით 2010 წელს ფონდში მუშაობდა, ხოლო რომელ წელს მივიდა აღნიშნულ ფონდში და როდემდე ტკბებოდა, რაღა მნიშვნელობა აქვს, როგორც ბატონი რეზო ამაშუკელი ამბობს, თუ ვინმე ერთხელ მაინც გახახუნებია სოროსის ინსტიტუტის კედელს, დასნეულებულია, კეთროვანივით მოსარიდებელიაო...

ეს კიდევ არაფერი, უარესი „საკვირველება“ – შეწყალების კომისიის მოქმედი და ყოფილი თავმჯდომარეები, ასევე, კომისიის ზოგი წევრი („მაქსიმალურად მიუკერძოებელი და საზოგადოებაში ნდობით აღჭურვილი“ შეწყალების კომისიის წევრები: ის „მამალი სოროსელები“ არიან, ტანსაცმელი რომ შემოიხიეს თუნდაც ცრუ ინფორმაციაზე, რომ პატრიარქს პატიმრების შეწყალების უფლების მიღება უნდაო; მაშინ, პრეზიდენტმა ზიარების უფლება მიიღოსო და ა.შ მსგავსი სისულელეები. შეწყალების კომისიის ამჟამინდელი თავმჯდომარე, ზვიად ქორიძე, ასევე წლების განმავლობაში მუშაობდა იმავე სოროსის იმავე ფონდში იმავე გრანტების განაწილებაში და ახლა მელიებს ერთმანეთის კუდები მოჰყავთ მოწმედ.

ჰოდა, ახლა, კიდევ გიკვირთ თუ გრძელცხვირა ალეკო „მოდაშია“? როდესაც ეს კაცი შეწყალების კომისიის მეთაური იყო, ანუ ბევრად საინტერესო საჯარო პირი, შესაბამისად ჟურნალისტებისთვის რესპონდენტი, რატომ მაშინ არ ეხვეოდნენ ჟურნალისტები მაისის თაფლივით? რა მოხდა უცბად, წკაპ-წკაპ და „ტელევარსკვლავი“ რომ გახდა?

„თვითკმაყოფილ და გაჯგიმულ ღარიბაშვილს პოლიტიკა და ქვეყნის მართვა პრეზიდენტის მაგივრად „პაეზდკებში“ სიარული ჰგონია; ყველა სახელისუფლებო სტრუქტურაში მოხვედრილ, წამოტივტივებულ „თამაზ მეჭიაურებს“ არც არაფერი ჰგონიათ, უბრალოდ, ფულის შოვნა უნდოდათ და შოულობენ კიდეც; უმწეო ნარმანია ვერაფერს თავს და ბოლოს ვერ უგებს; პროკურატურაში მარტო შავი ჯიპები და პრემიები აინტერესებთ... ჰოდა, ამიტომაც არის ლარის კურსი გაფრენილი, ხალხი კიდევ უფრო დამშეული და ამიტომაც გამოვიდა გიგი უგულავა ციხიდან ნელსონ მანდელასავით! პოლიტიკიდან „თამაზ მეჭიაურების“, უთავბოლოების და თვითკმაყოფილი თავცარიელების წასვლის დროა! წესიერი, პასუხისმგებლობის მქონე და გულანთებული ხალხის ხელისუფლებაში მოსვლის დროა!“ – ხან წერდა და ხან რომელიმე ეთერში სისხლსივებდა გრძელცხვირა, მაგრამ წმინდა ალეკო და ჟურნალისტების გარდა ბარე ორი ბრიყვიც ტაშს უკრავდა გულუბრყვილოდ.





ის, რომ გრძელცხვირა ალეკოს გამიზნულად აპიარებდნენ ტელევიზიები, ხედავდა ხალხი, მაგრამ თვლიდნენ, რომ ეს მხოლოდ მისი ლექსიკისთვის დამახასიათებელი ფრაზების გამო ხდებოდა, მაგრამ მერე და მერე რომ გაუტია, რაღაცის მოლოდინის შეგრძნება გაჩნდა. კულმინაციამდე პროცესი მიმდინარეობდა, ხან „ტაბულაში“ ამოჰყო თავი, ხან თავისუფალი სიტყვის დასაცავად „რუსთავი 2-ს“ ჩაეხუტა. ლექსიკა უცვლელი ხატოვნებით – სულ „ჩანჩურა კაცი“ უძახა მოსამართლე ურთმელიძეს, მთავრობას კი სულ თითი უქნია მუქარით „რუსთავი 2-ის“ ეთერიდან, გააჩერეთ ეს პროცესი, ნუ აჯანჯღარებთ ქვეყანას, თორემ ჯანჯღარს გაჩვენებთ, არ გამოგვიყვანოთ ასი ათასობით კაციო; ბებიათქვენისამ, „რუსთავი 2-ში“ შევარდეთ! მოეშვით ამ ყველაფერს და საქმე აკეთეთ, ან არადა გაგიშვებთ იცოდეთ მაგ თანამდებობებიდან, როგორც შემოსკუპდით მაგ ჯიპებზე, ისევე ჩამოგასკუპებთ მაგ ჯიპებიდანო – აკვესებდა თვალებს.

კაცმა რომ თქვას, დააკვესებდა, აბა, რას იზამდა, თურმე თითქმის ერთი წელი უთვალთვალებენ და აყურადებენ – გადაირია კაცი, დაანებოს სუს-მა ჩემ დევნას თავიო! ცოტა გაუგებარი კი დარჩა, ვინ და რატომ იყო დაინტერესებული მისით, მაგრამ იმედია, გაუგებრადვე დარჩება, რადგან როგორც თვითონ განაცხადა პროკურატურაში ჩვენების მიცემიდან გამოსულმა, გარკვეული დეტალები კი, უთქვამს, მაგრამ მნიშვნელოვანი ინფორმატორების ვინაობა შეუნახავს ცხრაკლიტურში (მისი სიტყვებია). რა თქმა უნდა, არ მჯერა, რომ პროკურატურა რამეს გამოიძიებს ამ საკითხთან დაკავშირებით, მოქმედი და ყოფილი პრემიერების წინააღმდეგ ვერ წავა, ვისი ვიზირებითაც ხდება ეს ყველაფერი ჩემი ღრმა რწმენით და არა მხოლოდ რწმენით, მაგრამ ჩემი, ჩემი ოჯახის და დიახაც, ქვეყნის უსაფრთხოება მალაპარაკებსო – სად იყო ქართული ფილმის („უდიპლომო სასიძო“) პერსონაჟი ფსიქიატრი, თორემ ნამდვილად დაასკვნიდა, რეაქტიული ფსიქოზია სახეზე, რა დღეში ჩავარდნილა საბრალოო...

„ივანიშვილმა ხალხი გამომიგზავნა, რატომ ხარ „ქართული ოცნებით“ უკმაყოფილოო? ვუპასუხე რატომაც, მაგრამ მისგან რეაქცია არ მიგვრძნია ე.ი ან ინფორმაცია არ მიუტანეს, ან კიდევ მხოლოდ „პანორამას“ ბედი აღელვებს. ბიძინა გიორგობიანზეც ეჭვი მაქვს, რომ თამარაშვილის 13 ნომერთან მას არ გაუცია ხეების მოჭრის თანხმობა“, – დაღრღნა ეჭვებმა კაცი!

ახლა, გრძელცხვირა ალეკოს უეცრად მეხსიერება გაუნათდა და გაახსენდა, რომ როდესაც შეწყალების კომისიის თავმჯდომარე იყო, პატიმრის გამოშვებაში მილიონების (დოლარში) მიღებას მმართველი გუნდის წევრები ცდილობდნენ და ამის გამო პოლიტიკოსების მხრიდან ზეწოლას განიცდიდა, თურმე თანხის ნაწილი უკვე აღებულიც კი ჰქონიათ. კი, კი, ჩემთანაც გაგრძელდა იგივეო, კვერს უკრავს ზვიად ქორიძე და ზეგავლენით ვაჭრობა – ამ მუხლით მიმდინარეობს გამოძიება იმ ჩვენების საფუძველზე, რომელიც გრძელცხვირა ალეკომ მისცა პროკურატურას და მხარი აუბა ქორიძემ.

და საერთოდ, ისიც ხომ საინტერესოა, ერთ ადამიანზე (შეწყალების კომისიის თავმჯდომარე) იყო და არის ჩამოკიდებული არა ერთი პატიმრის შემდგომი ბედ-იღბალი შეწყალების სახით? კომისია ხომ რამდენიმე ადამიანისგან დაკომპლექტებული ერთი ჯგუფია, როგორ გავიგოთ ალეკოზე (და ქორიძეზე) ზეწოლები თუ კომისიის სხვა წევრებზე არ ხდებოდა იგივე ზეწოლა, ისინი, უბრალოდ, მალავენ, თორემ მათთან მოთავებული იყო გარიგება და მხოლოდ თავმჯდომარელა იყო მოსადრეკი? ნებსით თუ უნებლიედ, ასეთ სურათს ქმნის ალეკო და ფაქტობრივად, ეჭვქვეშ აყენებს მათ რეპუტაციასაც.

თუ ვიღაცები მართლაც ახდენ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

დნენ ზეწოლას შეწყალების კომისიის თავმჯდომარეზე რადგან მათ დიდი ოდენობით თანხა აღებული ჰქონდათ ვიღაცისგან და მან ეს არ დაფარა, ძალიან კარგი, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ ვინმემ თუ ჰკითხა პატივცემულს, 2014 წლის ზაფხულში წამოხვედი შეწყალების კომისიიდან; ერთი წელია გითვალთვალებენ და გისმენენ და ახლა, ასე უცბად, რამ გაგახსენა რომ ზეწოლის ქვეშ იყავი, მაშინვე სად იყავი, როგორ ახსნით ამ ამბავსო? ხალხი უკვე ირიბად უყურებს გრძელცხვირას, ეს ის კაცი არ არის, ქიბარ ხალვაშს რომ მიუჩიქორთულა, 2004-ში წაგართვეს ქონება და აქამდე ხმა რატომ არ ამოიღე, არქივში იჯექიო?

გრძელცხვირა ალეკო ყოფილი მთავრი პროკურორისა და მისი მოადგილის (გიორგი გოგაძე) წინააღმდეგ სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით უკვე საქმის აღძვრასაც ითხოვს, მთავარი პროკურორის მოადგილე კი სიცრუეს უწოდებს მის განცხადებას, რომ თითქოს მთავარ პროკურორ გიორგი ბადაშვილსა და მას ინფორმაცია ჰქონდათ მიღებული განმცხადებლის მიერ იმ პოლიტიკოსებზე, რომლებიც უკანონობას კატეგორიულად ითხოვდნენ. კი, შევხვდი, მაგრამ ეს ეხებოდა მისი სკოლის მასწავლებელს თუ დირექტორს. ამ შეხვედრას ესწრებოდა იმ რაიონის პროკურორი, რომელიც აღნიშნულ საქმეზე ახორციელებდა ზედამხედველობას და სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სხვა შეხვედრა ჩვენ მასთან არ გვქონია და შესაბამისად, არანაირი სხვა ინფორმაცია და გვარსახელების მოწოდების შემთხვევის შესახებ ჩვენ არ ვიცითო.

სხვათაშორის, ვინმესთან დარეკვა და თხოვნა, ან ვინმესთან მისვლა და თხოვნა, ისევე როგორც თვით გრძელცხვირა ალეკო მისულა თხოვნით პროკურატურის მაღალჩინოსნებთან მასწავლების გამო, სისხლის სამართლის დანაშაული არ არის; ასევე, არც ისაა დანაშაული, თუ დეპუტატი ლობირებას უანგაროდ უწევს თავის ამომრჩეველს, თუმცა, ეს იქით გადავდოთ და ის ვიკითხოთ, ოღონდ, პასუხი მივიღოთ — რის საფუძველზე, რატომ, რა მოტივით, მიზეზით, საბაბით და ა.შ რაც გინდათ, ის დაარქვით, შეიწყალა პრეზიდენტმა აკაკი ბობოხიძის ძმა, რომელსაც ის ვადაც კი არ ჰქონდა მოხდილი, რომელსაც შეწყალების კომისია ითვალისწინებს?

გასაგებია, რომ პრეზიდენტს ამის უფლება აქვს, მაგრამ როცა ახალგაზრდა ქალს, სპორტსმენს, ოთხი შვილის დედას, თეა სირაძეს ინდოელების ცემის გამო უკვე რვა წელი აქვს ათავებული და პრეზიდენტის თვალთახედვის არეში არ ხვდება, კაკო ბობოხიძის ძმის შეწყალება უფრო მნიშვნელოვანია, ფაქტია, რომ შეწყალების კომისია ამ და ყოფილი თუ მოქმედი თავმჯდომარეებითა და შემადგელობით, გეგმასავით გაწერილი ფარსია! — ამაზე ენას არ ასველებს დიდცხვირა ალეკო; არც იმას ამხელს, ვინ არიან მისი ინფორმატორები, რომლებმაც შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანეს; ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ვერ ხსნის, რატომ არ ამოიღო ხმა აქამდე და რატომ ამეტყველდა მაინც და მაინც ახლა.

მმართველი გუნდიდან „ზემწოლ“ მაღალჩინოსანთა „ისტერიული ზარები და მესიჯები“ არ აღმოჩნდა ალეკოს მიერ პროკურატურაში წარმოდგენილ და მისივე თანდასწრებით გახსნილ მის მობილურში, რატომღაც წაშლილიყო, რის გამოც ტელეფონი დაილუქა და ექსპერტიზაზე გაიგზავნა. ეს არაფერი, ორიოდე დღეში ფურცელს, სადაც სატელეფონო ამონაწერი იყო ამობეჭდილი თარიღითურთ, სულ რვიანები ახაზვინა ჰაერში, აი, აქ არის ის ნომერი, რომელიც 591-ზე იწყებაო; მე ორსაათნახევრის შემდეგ ვუპასუხე, მანამდე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს და თვით პრეზიდენტს ვაჩვენეო, ხოლო დაახლოებით თვე-ნახევარში გიორგი ბადაშვილსა და მის მოადგილეს შევხვდიო. რაღაც, უცნაური კაცია ეს ალეკო! პროკურატურაში თვენახევრის მერე მიდის, პრეზიდენტთან იმავე წამს გარბის, პარლამენტის თამჯდომარეს და მის მეუღლეს მეგობრულად აწვდის დანაშაულებრივი ნიშნების შემცველ მნიშვნელოვან ინფორმაციას... პრეზიდენტი, ხიდაშელი, უსუფაშვილი — თუ პროკურატურას არაფრად აგდებდა, ან ახლა რას მიაკითხა, ბარემ პირდაპირ სოროსისთვის ეჩვენებინა...



ახლა, აიჩემა, პროკურატურის საშვთა ბიუროდან ამოიღონ ჩანაწერი ვიყავი თუ არ ვიყავი კონკრეტულ დღეს პროკურატურაში მთავარ პროკურორთან და მის მიადგილესთანო. კიო, იყავიო, მაგრამ შენი მასწავლებლის გამოო — ეუბნებიან, მაგრამ არაო, ზეწოლაზე გიყვებოდითო. რა საინტერესოა, სხვამ არავინ, მაგრამ პროკურატურაშიც როგორ არავინ უთხრა, რასაც ახლა არაკრაკებ, დაწერე ფურცელზე, ხელი მოაწერე და ჩაგვაბარეო?

სხვათაშორის, ზარის დაფიქსირება და მესიჯები არც დანაშაულია და არც იმას ამტკიცებს რომ მათ ავტორს ფული ჰქონდა აღებული და ნეტავ, ალეკოს ეჭვები როგორ უნდა დაამტკიცოს პროკურატურამ, ხოლო ალეკომ, თავის მხრივ, როგორ უნდა დაამტკიცოს რომ კონკრეტულ პირებს კონკრეტული რაოდენობის ფული მართლაც ჰქონიათ აღებული? ვიღაცას უთქვამს? იმ „ვიღაცას“ ჰაერზე ნათქვამის გამო მინდორში ქარს რატომ დასდევს ალეკო, განა ეს უფრო საინტერესო არ არის? კიდევ უფრო საინტერესოა, იმ ვიღაცას რაღა მტკიცებულება აქვს? ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თუ ამხელა თანხა უკვე აღებული ჰქონიათ ვიღაცებს, ის ადამიანები მაინც ციხეში რატომ სხედან, ამდენმა მაღალჩინოსანმა ერთად ჩაისვარა ალეკომდეც, ალეკოსთანაც და ალეკოს შემდეგაც? ყველაზე უცნაური ის არის, რომ ალეკოს თურმე გამოძიებისთვისაც კი არ დაუსახელებია იმ პირის ვინაობა, ვინც 200 000-ის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, ეს კი დამდგარა და ისე აქოთებს არე-მარეს, ერთი წამით არ უშვებს იმ ვერსიას, რომ ინფორმაციის მიმწოდებელმა შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანა... (თუ ხალისით „შევიდა?)

აი, ასეთი ჩამოუყალიბებელი ენის მიტან-მოტანების, ფაქტობრივად, ჭორაობის გამო, ხალხს სამართლიანად უჩნდება გარკვეული შინაარსის ეჭვები და უხამს გამონათქვამებთან ერთად უკვე მასხრადაც იგდებენ ალეკოს. ცოტა მაკლია, თუ შევატყობ, რომ პროკურატურა საქმის „ჩაფარცხვას“ ცდილობს, მერე ყველაფერს ვიტყვიო, რამდენიმე დღეშიო და ა.შ

„თუ ამბობ, თქვი!“ „ვაჭარი კომედიანტი! როდის ამოღერღავ, ნაცპატრონებმა, ჯერ არაო?“ „წილი არ მისცეს, ალბათ, გადააგდეს და ემუქრება, ვადას რამდენიმე დღეს გაძლევთო“, „ნაცებისგან“ შეკვეთა აქვს, არჩევნებამდე გაწელეო“, „თვითონ ვისგან იღებს ფულს ეს ცირკი რომ გამართა?“ „პირველი „გამოცხადებიდან“ მზეზე მდნარი თოვლის ბაბუასავით-



ლაა დარჩენილიო“ და ა.შ — შესძახის და ასკვნის ხალხი.

სხვათაშორის, ისიც ითქვა, რომ ალეკოს „ჰამქრის“ საქმიანობით დაინტერესდა პროკურატურა, რომელიც იმ შავ-ბნელ 2006 წელს შეიქმნა და ამან გადარია და აურია გონება, ეტყობა, გათვალა, რომ მატროსოვზე ჯოკერის სათამაშოდ „პარაში“ მეოთხე კაცად მიუსვამენ გიგისო. (სხვათაშორის, სადავო საკითხებში „ჰამქრის“ გვერდზე მუდმივად „საია“ ფიგურირებდა)

„ზეწოლაში“ ბარემ პოლიტპატიმრების საქმეც ჩააკვეხა ალეკომ, ანგარებით მოხვდნენ პოლიტპატიმართა სიაში ზოგიერთებიო. ახლა, ესეც უნდა დაასაბუთოს ფაქტებით და მტკიცებულებებით და დაასახელოს ამ სიაში ანგარებით მოხვედრილი პატიმარი, ან ცრუ ჩვენებისთვის (და კიდევ რაღაცებისთვის) პასუხი უნდა აგოს.

ხალხი თვლის, რომ გამიზნულად წააქეზეს ნაკლებად „ძვირფასი“ მურია (რატომ ზვიად ქორიძემ არ წამოსწია ეს საკითხი, მასაც ხომ აწვებიან თურმე?) და შეაჭმევინებენ მგელს, რადგან მიზანი იყო მხოლოდ ერთი, „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია „ნაცმოძრაობის“ (მასთან მიტმასნილი და მასთან შესაერთებლად მომართული პოლიტიკური ძალების) სასარგებლოდ, მაგრამ ვიღაცებმა ვერ გათვალეს რაღაცები ნაჩქარევად, მათ შორის ის, რომ არსებობს რაღაც კანონები და წესები, რაც აუხრჩოლებთ სადგომს...

ხალხი ამბობს, ყველა შემთხვევაში, თუ კანონს კვლავ არ გადააბიჯებენ, ან ელისაშვილის წინააღმდეგ უნდა აღიძრას საქმე ცრუ დასმენაზე, ცილისწამებაზე და ა.შ კიდევ მიესადაგება „რაღაცები“, ან ყველა იმ პირზე, რომლებიც დაადასტურებენ რომ იცოდნენ, მაგრამ დაფარეს დანაშაულიო.

შეიძლება, ჩვეული ბოდიში აფრინოს ალეკომ, მაშინვე ვერა, მაგრამ ახლა ხომ ვთქვიო? ამას ჰქვია, ჩემო ბატონო, ინფორმაციის განზრახ გამოყენება საჭირო დროს განსაზღვრული მავნებლური მიზნით, რასაც პოლიტიკური შანტაჟი და ინტრიგანობა ჰქვია, სხვა არაფერი!

ახლა ამბობს, ადვოკატებთან გავიარე კონსულტაცია და მათ მითხრეს, რომ არ მქონდა ვალდებულება წერილობით განმეცხადებინა ოფიციალურ სტრუქტურებში, პირიქით, ასეთი ინფორმაცია რომ მივაწოდე, ისინი უნდა დაინტერესებულიყვნენ და დავეკითხეო; აწი ხმას აღარ ამოვიღებ დროებით, რადგან ყველა სიტყვაზე რვა საათი მიწევს პროკურატურაში ყურყუტიო; მე მხოლოდ საქმის კურსში ჩაყენებაზე ვიყავი ვალდებულიო...

შვილო, ძმაო თუ რიგითო ალეკო, დანაშაულის ნიშნების შემცველ მნიშვნელოვან ინფორმაციას წერილობით თუ არ განაცხადებ ან საჯაროდ არ გაახმაურებ, სუფრასთან, ლოგინში, ტრანსპორტსა და ა.შ უამრავ ადგილას, იმდენი რამე ითქმება ადამიანებს შორის მთვრალ-ფხიზელზე, ყველაფრით უნდა დაიტერესდეს და კუდი მოაბას პროკურატურამ? (ამ მხრივ, გვყავდა უკეთესზე უკეთესი პროკურატურა, გაფიქრებული რომ არ ჰქონდა ადამიანს, იმას უმტკიცებდა, გონივრული ეჭვი გვაქვს, ასე ფიქრობდი და პასუხი აგე ახლაო)

საინტერესოა როდის დაიკითხება პრეზიდენტი მარგველაშვილი, რომელსაც დაუყვავებია როდესაც „საქმის კურსში ჩაყენდა“ — მითხრა, მე პირადად ვარ საქმის კურსში, ვუთხარი, შენ თავი დაგანებონო („იმედი“ გადაცემა „პოლიტიკა“). რას ჰგავს ეს ყველაფერი, შესაძლო კორუფციულ დანაშაულზეა საუბარი თუ „შატალოზე“ წასვლაზე?

ზოგადად კი, იმდენი მაინც უნდა ესმოდეს ისეთი მაღალი სტატუსის მატარებელ პირს, როგორიც არის პრეზიდენტის მიერ დელეგირებული უფლებამოსილებით აღჭურვილი მსჯავრდებულთა შეწყალების კომისიის თავმჯდომარე, რომ თუ ფლობს ინფორმაციას შესაძლო მაღალი კორუფციის ფაქტის არსებობის შესახებ, რასაც თავის მხრივ, შესაძლოა, კავშირი და შემხებლობა გააჩნდეს მისდამი რწმუნებული კომისიის მუშაობასთან, ოფიციალურად, წერილობით უნდა მიმართავდეს აღნიშნულზე როგორც ქვეყნის მთავარ პროკურორს, ასევე პრეზიდენტს. მხოლოდ წერილობით, რათა ადგილი არ დარჩეს სპეკულაციებს და პოლიტიკურ ინსინუაციებს; უნდა დაფიქსირდეს მთავარი პროკურატურის საქმის წარმოების კანცელარიაში.

მარტივად რომ ვთქვათ, რა სურათს ვიღებთ, რომ — მტკიცებულების არარსებობის მიუხედავად, გრძელცხვირა ალეკოს მსგავსად, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია დაადოს ხელი მთავარ პროკურორსა და მის მოადგილეს, მე მათ ღირებული ინფორმაცია მივაწოდე და მათ სამსახურებრივი გულგრილობა გამოიჩინეს და ამით დაფარეს დანაშაულიო? ანუ შეგვიძლია ნებისმიერ ადამიანს დავადოთ ხელი და დავაბრალოთ რაც გვინდა?

თითქოს ის აბდაუბდა არ კმაროდა, რაც ალეკომ ააგორა და ახლა დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა განაცხადა, „სუს-ი“ ალეკოს ცემას აპირებს და ამ საქმისთვის შერჩეული ჰყავთ უკვე პირი, რომელსაც ნუკრი ჰქვია, სამწუხაროდ, გვარი არ ვიციო. ალეკოზე თავდასხმის შემდეგ შსს „გახსნის“ საქმეს და ნუკრის მიაცემინებენ ჩვენებას, რომ ის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მითითებით მოქმედებდაო. საქმეში კვლავ ხალხი ჩაერთო, რომელ ნუკრიზეა საუბარი, შვლის ნუკრზე თუ ელისოზე, მეტსახელად ნუკრიზეო?

მართული საგიჟეთია, რა!

დიახ, ალეკო ელისაშვილს აქვს დიდი ცხვირი, თუმცა ეს სულაც არ არის ფიზიკური ნაკლი, პირიქით, უხდება კიდეც, „ფიზიკური მატება“, აი, ფიგურალურად გრძელი ცხვირი განა არ უხდება მხოლოდ, ცუდად ებლანდება ფეხებში...

**გიორგი ჩხეიძე**



# გიგლა ბარამიძე:

# რატომ რჩება ყურადღების გარეშე პუტინის განცხადება, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ვიზალიბერალიზაცია

გვესაუბრება
**გიგლა ბარამიძე:**

**— ბატონო გიგლა, როგორც საქართველოში ვიზიტისას გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი დაგვპირდა, ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნა, დადებითია. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?**

— თავისთავად, ვიზალიბერალიზაცია დადებითი მოვლენაა თუნდაც იმ კუთხით, რომ უპრობლემოდ, ყოველგვარი ბარიერის გარეშე, მიმოსვლას შევძლებთ. თუმცა, საზოგადოებას რეალობა უნდა ვუთხრათ — ნახევარ საქართველოს ეგონა, რომ დოკუმენტის დადებისთანავე, ევროპაში, უვიზოდ ვივლიდით. ამისთვის სერიოზული მუშაობაა საჭირო, რასაც ნახევარი წელი მაინც დასჭირდება. გარდა ამისა, ვიზალიბერალიზაცია წასვლის საშუალებას იძლევა, მაგრამ არა მუშაობის ან სწავლის, მისათვის, იქ, დამატებითი ნებართვებია საჭირო. რა თქმა უნდა, ვიზალიბერალიზაცია ძალიან კარგია, მივესალმები. ჩვენმა ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ამ თემას ბრიფინგი მიუძღვნა. ტელევიზიებმა სურათი ისე დახატეს თითქოს, ამ პროცესს არ მივესალმეთ, რაც არასწორია. მეორე, უმთავრესი საკითხი, რაზეც ხელისუფლებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია, საქართველოსთან დაკავშირებით ჩრდილოელი მეზობლის პირველი პირის — პუტინის განცხადება იყო. ამ საკითხზე სჯა-ბაასის გამართვის ნაცვლად, ქუჩაში დროშებით სირბილი დაიწყეს. პუტინის განცხადებას ყურადღება არ მიექცა, არადა მის მიერ გაჟღერებული შემდეგნაირად იკითხება — შესაძლებელია, აფხაზებთან და ოსებთან, ყოველგვარი შუამავლების გარეშე, პირდაპირი საუბარი დავიწყოთ. ამ კუთხით, დღევანდელმა ხელისუფლებამ დააგვიანა. ნინო ბურჯანაძე ივნისში რუსეთში უმაღლესი დონის შეხვედრაზე იმყოფებოდა. მაშინ ვთქვით, რომ ვიზალიბერალიზაციის საკითხი რუსეთთან დადგებოდა. ხელისუფლებას ამისთვის სათანადო ყურადღება რომ მიექცია, დღეს, უკვე, რუსეთთან სავიზო რეჟიმი გაუქმებული იქნებოდა. უბედურება ისაა, რომ ჩვენი ხელისუფლება სამიტებიდან სამიტებამდე, შეკრებებიდან შეკრებებამდე ცხოვრობს და დასავლეთთან, ყველა უცხოელ ჩინოვნიკთან პატრონყმური დამოკიდებულება აქვს, მოწაფესავით ელოდება დავალებებს და საკუთარი სახელმწიფოს სახეს არ წარმოადგენს. გავჰკივით ევროკავშირში უნდა შევიდეთო. კი ბატონო, მაგრამ რატომ ვქმნით პრეცენდენტს, რომ ჩვენ ევროპა არ ვართ?! საქართველო ისტორიულად ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფო იყო. მართლმადიდებლური ცივილიზაცია ევროპული ცივილიზაციაა. მაშინ, როდესაც დასავლეთის ბევრი ქვეყანა როგორც სახელმწიფო არ არსებობდა, ჩვენ, აქ, სახარებას ვთარგმნიდით და კულტურას ვქმნიდით. გარკვეულ მიზეზთა გამო დასავლურ ცივილიზაციასთან ისტორიული წყვეტა მოხდა და ახლა, ამ კუთხით, სამართლიანობა აღდგება. ამიტომ, როდესაც ხელფასებს, პრემიებსა და ტენდერებს გამოკიდებული ჩვენი ჩინოვნიკები დასავლელ კოლეგებს თვალებში შესციცინებენ, მათ ევროპას უნდა აგრძნობინონ, რომ ჩვენ, ველური ტრამალებიდან მოსული ტომი კი არ ვართ, რომ თუ ჭკვიანად მოვიქცევით სამადლოდ გადმოგვიგდონ რაიმე, არამედ ამას სავსებით ვიმსახურებთ. თუმცა, ჩვენი ევროპაში უვიზო სვლა ჯერ კიდევ 28 ქვეყანამ უნდა დაამტკიცოს. ჩვენ ვიზალიბერალიზაცია გვეკუთნოდა არამარტო დავალებების შესრულების, არამედ ისტორიული მდგომარეობის გამო. ვიზალიბერალიზაცია მისცეს კოსოვოს, დახლეჩილ უკრაინას და ჩვენ. სახელმწიფოს მშენებლობისთვის მთავარი, სტრუქტურებში გაწევრიანება კი არაა, არამედ სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, საშინაო და საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებელ, ეროვნულ ნიადაგზე, ეროვნულ ცნობიერებაზე დაფუძნება. რომელიმე სტრუქტურაში გაწევრიანება, დამატებითი მიმართულება და საშუალებაა. სამწუხაროდ, ისიც კი ვერ ავუხსენით მოსახლეობას, რომ იყო ევროპელი, ეს, პირველყოვლისა, დისციპლინა, წესრიგი და 24 საათიანი რუტინული შრომაა.



**— ბატონო გიგლა, მაინც რა მიმართულებით უნდა იაროს ქვეყანამ?**

— ჩვენი პოლიტიკური კომპასი მრავალმიმართულებიანი უნდა იყოს: დასავლეთთან უნდა გვქონდეს კარგი ურთიერთობა იმიტომ, რომ თავად ამ ცივილიზაციის წევრი ვართ, ასევე, რუსეთთან. მიუხედავად ტერიტორიული პრობლემებისა, ურთიერთობები რუსეთთანაც უნდა გვქონდეს. ესაა მთავარი. ეს პრო-რუსულობას არ ნიშნავს, ეს რეალობაა. ამას გვასწავლიდა ილია ჭავჭავაძე, ნიკო მარიდა ა.შ. მარტო დავალებების შესრულება არ კმარა, ასე პატრონყმურ ურთიერთობაზე ვართ გადასული და გვინდა ვიღაცის საგრაფო, შტაბი, კოლონია ან საბოიარო ვიყოთ თუ რა ხდება?! ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ. ამიტომ, თანაბრად უნდა გველაპარაკონ. ჩვენ ვართ ის ქვეყანა, რომელსაც ნატოს მაპის წევრობა არ გვაღირსეს, მაგრამ აშშ-ს მერე ყველაზე მეტი მებრძოლი ნატოში ჩვენ გვყავს. ნატოში შესვლის პროცესი ასე რომ გაიწელა, ამის საპირწონედ არ შეგვიძლია ჩვენი კონტინგენტი შევამციროთ და ვაგრძნობინოთ, რომ გულნატკენები ვართ, თუნდაც, 200 კაცი გამოვიყვანოთ იქედან?! არა, ამათ რომ უთხრან 1000 კაცი დაამატეთო, მაშინვე დაამატებენ. ამიტომ, როგორც ადამიანს, ოჯახს აქვს ღირსება და მის მიხედვით აფასებენ საზოგადოებაში, ასევე, სახელმწიფოს, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს თავისი ღირსება, ამათ კი დაკარგული აქვთ. ხელისუფლებამ ერთხელაც ვერ მოახერხა სოხუმთან ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეხვედრა და საუბარი, არადა ბრიუსელში ყოველდღე ყავის დასალევად ჩადიან. რა გახდა ეს? ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს და ჩვენ, ნომერ პირველი ეროვნული ძალა მოვიდეთ. სწორედ ჩვენნაირი ძალა უნდა მოვიდეს, რომელიც ყველა მიმართულებით იმუშავებს.



**— როგორ ფიქრობთ, სადამდე შეიძლება გაფართოვდეს ევროპა, ვართ ჩვენ ის სხეულის ბოლო ნაწილი, რომელიც ევროპამ უნდა მიიღოს?**

— ჯერ ერთი, ევროკავშირში ჩვენი შესვლა ისე გვიანდება, საკითხავია, ევროპა რა სახით იქნება?

ევროპამ დაკარგა სახე. მორალური ლიდერის უფლება აღარც ევროპას აქვს და არც აშშ-ს. ამიტომ თქვა ნიკოლო მიწიშვილმა ჯერ კიდევ 21 წელს — ევროპა, როგორც იდეა, მოკვდაო. ამიტომ, ევროპა ზედმეტი მომხმარებლობიდან უნდა გამოვიდეს. როდესაც ჩვენ ევროპისკენ მივილტვით, რა თქმა უნდა, გვინდა, ყოფიერებასთან ერთად, არც სულიერება დაიკარგოს. ცივილიზაციას სულიერად ძლიერი, კულტურაზე დაფუძნებული ადამიანები ქმნიან. აი, ასეთი ევროპა გვინდა. მინდა მყავდეს ხელისუფლება, რომელიც ამ საკითხებზე იფიქრებს. ის რითაც ჩვენ გამოვირჩევით როგორც ქართველი ერი არ უნდა დავკარგოთ. ყველამ უნდა იცოდეს რომ მართლმადიდებლობაზეა შექმნილი ქართული სახელმწიფოებრიობა და თუ ამას უარყოფ და ყველაფერს 50 წლის სექტანტურ დაჯგუფებასთან გამითანაბრებ, მაშინ რა განსხვავება იქნება ჩემს მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და ვიღაც ველურებს შორის?! აქვე, ერთიც მინდა ვთქვა: რამდენიმე დღის წინ ორი მართლმადიდებლური ტაძარი გაძარცვეს, ხატები შეურაცხყვეს, ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ხმა არვის ამოუღია იმიტომ, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ფულს ამაში არ უხდიან. ასეთი დამოკიდებულებაა. გარდა ამისა, ხუთი ქართველი ისლამური სახელმწიფოდან გვემუქრებოდა. ეს თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მინდა აუცილებლად ვთქვა იმიტომ, რომ „საერთო გაზეთი" ის გამოცემაა, რომელსაც ეროვნული ცნობიერების ადამიანი კითხულობს — ამ ახალგაზრდებიდან ერთ-ერთის მამამ თქვა, საქართველოში მუსულმანები ვიჩაგრებითო. რატომ იჩაგრებიან, 700-მდე სალოცავი აქვთ?! იმიტომ ვიჩაგრებით, რომ აქ, ისლამური სახელმწიფოს კანონებით არ ვცხოვრობთო. ის ხომ მერე სახლში მომადგება და კისერს გამომჭრის. აი, რა მადარდებს და მაფიქრებს. ამ ადამიანზე აშკარაა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციებს წლებია ნამუშევარი აქვთ, იმიტომაც დაიწყო მან ასე ფიქრი. ამაზე რატომ არ ატეხეს განგაში. მე თუ შენი ცხოვრების წესით არ ვიცხოვრე, დამნაშავე ვარ? ამიტომ, ვიმეორებ, ევროპული ცივილიზაცია ძალიან კარგია, მაგრამ ნუ გვამუნათებს ნურავინ, მიგიღეთო. ჩვენ ევროპა თქვენზე ადრე ვიყავით, როცა მონღოლები გვესეოდნენ, აქ, მონღოლებსა და არაბებს ვაკავებდი, ვიბრძოდით, ჩვენი წინაპრები სისხლს ღვრიდნენ, რათა მათ თქვენამდე არ ჩამოეღწიათ. ეს დასავლეთმა კარგად უნდა იცოდეს, ყველამ ჩვენზე გამოიარა, აქ ისე კარგავდნენ ძალას, რომ იქამდე ველარ აღწევდნენ.



**—ბატონო გიგლა, შიდა პოლიტიკურ საკითხებზე გადმოვინაცვლოთ. ბოლო დროს არ წყდება პატიმრების შეწყალების საკითხზე აგორებული სკანდალი...**

— ბოლო-ბოლო გვითხრან ვინ იყო ის მაღალჩინოსანი, ან ამ საკითხს წერტილი დაუსვან. ჩვენს გარდა, ყველა პარტია, ამ საკითხს ერთმანეთთან საჯილდაოდ იყენებს.

სადაა პროკურატურა? სადაა ცნობილი მკვლელობების გამოძიებები? სპეცსამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ პრესკონფერენცია ჩაატარა და თქვა: რუსთავი2-თან დაკავშირებით სახელმწიფო გადატრიალებისა და შეთქმულების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრაო, სადაა გამოძიება? არ მჯერა, რომ შეწყალების საქმეს ბოლომდე მიიყვანენ. წარმოგიდგენიათ, მიდის შეწყალების კომისიის თავმჯდომარე და პრეზიდენტს სმს-ს აკითხებს. ასეთი პრეზიდენტის რა ვთქვი, სადაა შედეგი, სახლობანას თამაშობთ ბატონო პრეზიდენტო თუ რაშია საქმე? თუ მართლაც მნიშვნელოვანი სმს-ები იყო, რას ელოდებოდა ამდენ ხანს?! შე დალოცვილო, პრეზიდენტი ხარ, ყველაფერზე ვეტოს რომ ადებ, შეგექმნა, ამ თემაზე, დოკუმენტი.

**— თქვენ, პუტინის განცხადება ახსენეთ. მან საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე მზადყოფნა გამოთქვა. ჩვენ თუ ვართ მზად? ბოლო-ბოლო კიტრსა და პამიდორს აქვს რუსეთში „შესვლის" უფლება და ადამიანებს რატომ არ უნდა ჰქონდეთ?**

— მსოფლიო ისტორია გვასწავლის, რომ მტრებიც ესაუბრებიან ერთმანეთს. უკრაინაში ახლაც ომი მიდის, მაგრამ პოროშენკო პუტინს ესაუბრება. მთავარი რეალური პოლიტიკაა. წამოსცდა თუ არა, სხვა საკითხია, მაგრამ ამ ადამიანმა გვითხრა — მივესალმებით თუკი თბილისი, სოხუმი და ცხინვალი ერთმანეთს დაელაპარაკებიანო. ჩვენმა მხარემ კი არ გაიაზრა ამ შეთავაზების სერიოზულობა, მაშინვე ერთი ამბავი ატეხა, ამის საპირწონედ რა უნდა მოგვთხოვოსო? შე დალოცვილო, აქამდე მივიდეთ, ჯერ დაელაპარაკე, რაღა უნდა მოგთხოვოს ყველაფერი წაღებული აქვს, სააკაშვილმა ყველაფერი მისცა, კოდორის ხეობაც ჩაახუტა. ხომ ჩანს, რივი აზრის გათვალისწინებაა. რატომ არ ითვალისწინებენ? რაც არ უნდათ, იმას ვერ ხედავენ. მეტი რა თქვას რუსეთის პირველმა პირმა? იძულებული იყო ეს ეთქვა. გარდა ამისა, თან დაუკვირდით იმ ტერიტორიებზე რუსეთი დიდ კაპიტალს არ დებს. ე.ი. სადღაც იყურება. ამავე დროს, მეორე ქვეყანა დებს დიდ კაპიტალს. რატომ გვგონია — რუსეთი თუ გავა და ჩვენც არ ვიქნებით მზად, ის ქვეყანა არ შევა იქ?! ერთ-ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც დღეს ქვეყანას მართავს, 5-6 წლის წინ ამბობდა, აფხაზეთს არ განვიხილავთ საქართველოს ტერიტორიად, მას დამოუკიდებლობა უნდა მივანიჭოთდა ასე უფრო იოლი იქნება მათთან საუბარიო. ამ ძალის ერთ-ერთი წარმომადგენელი ამბობს, ოღონდ ნატოში შევყოთ ცხვირი და მეხუთე პუნქტი არ ამუშავდესო. მტერი არ იზამს ამას. ნატოში რისთვის შევდივართ, სტოლტენბერგის ცისფერი თვალების ყურება გვინდა? იმიტომ შევდივართ, რომ მეხუთე პუნქტი მუშაობდეს, ისე რა გვინდა იქ?!

სატელევიზიო შოუებში არ გვიშვებენ იმიტომ, რომ ამ სიმართლეს ვიტყვი, რაც უკვე გავლენა იქნება ადამიანის ტვინებზე და სწორედ ეს არ აწყობთ. იმიტომ გაიძახიან ჩვენზე, პრო-რუსებიო. „ნაცმოძრაობაზე" უფრო პრო-რუსი ძალა საქართველოს არ ჰყოლია. რაც „ნაცმოძრაობის" თახსირმა ლიდერმა რუსეთს გაუკეთა, პუტინს ბოიარი რომ დაენიშნა, ამდენს ის ვერ გაუკეთებდა. ამან ერთ დღეში აჩუქა ყველაფერი.

**— ბატონო გიგლა, ქართულ პოლიტიკურ ველზე მიდის კამათი ვინაა ნომერ პირველი ოპოზიცია. თქვენს პარტიას საკმაოდ კარგი რეიტინგი აქვს, მაგრამ ძალიან პასიურობთ.**

— აქტიურობა აუცილებლად საჭიროა. იანვრიდან სერიოზულ აქტიურობას ვიწყებთ. გარდა ამისა, ფინანსები არ გვაქვს იმ ოდენობით რომ ვიაქტიუროდ. ჩვენი გეგმები,



რომ ამ თემატიკაზე რუსეთიც წუხს. ოღონდ, არა იმიტომ, რომ ევროპამ უთხრა. ევროპამ ყირიმზეც უთხრა, მაგრამ არც დაუბრუნებს არასოდეს. ეს როგორ არ უნდა გამოიყენო სასაუბროდ. ჯერ გვითხრას რას გვიკეთებსო. ეს ხომ უნდა გაგვხარებოდა. ერთადერთი ადამიანი ვინც ეს გაიაზრა ნინო ბურჯანაძე იყო. რუსეთთან ურთიერთობები უნდა აღვადგინოთ. ტერიტორიების დაბრუნების, გაერთიანების, ერთ სახელმწიფოში ცხოვრების სხვა გზა, არ გვაქვს. ხელისუფლება ყოველდღე ევროპაშია. ერთი ჰკითხონ ემიგრანტებს რას ითხოვენ. ცხრა წელი ემიგრანტი ვიყავი და ვიცი რა მძიმედ ცხოვრობენ იგივე, ევროპაში და რუსეთშიც. 950 ათასამდე საქართველოს მოქალაქეა რუსეთში. აბა, მათ ჰკითხონ უნდათ თუ არა ურთიერთობების მოგვარება?! ჩვენ ხომ დემოკრატიას ვაშენებთ. ევროპული ფასეულობები უპირველესყოვლისა საზოგადოებ-ეტაპები გვაქვს. იქნება საკადრო ცვლილებები, რეგიონებში, რაიონებში, ყველგან აქტიურად გამოვჩნდებით. ერთიც არის, ბრიფინგი ჩავატარეთ აქტუალურ საკითხზე, მაგრამ მეათასედიც არ გააშუქეს. იქ რომ ყოფილიყო ნაცი ან „თავისუფალი დემოკტარები" მთელი დღეი ქნებოდნენ ტელევიზორში. რასაც ახლა თქვენთან ვსაუბრობ, რომელი პოსტულატია მოსახლეობისთვის უინტერესო? ანუ, ჩვენ ვიცით რაც არის გასაკეთებელი, მაგრამ აქ ობიექტური მიზეზიცაა იმისა, თუ რატომ არ ჩანს ჩვენი აქტიურობა — რასაც ვაკეთებთ, იმის მეათასედი შუქდება. სერიოზული გეგმები, დიდი მხარდაჭერა გვაქვს, გამოვაჩენთ ახალ სახეებს. სერიოზული ბრძოლა იქნება იმიტომ, რომ ყველა ჩვენს წინააღმდეგ ერთიანდება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# მორწყული ქინძი



არსენ ავაქოვს შენიშვნა მისცეს, შენ შეურაცხყოფა მიაყენე საჯაროდ, წყლიანი ჭიქა როგორ ესროლე გუბერნატორ სააკაშვილსო?! ავაქოვმა შეიცხადა, როგორ გეკადრებათ, შეურცხყოფა არც მიფიქრია, მხოლოდ ქინძი მოვრწყე საჯაროდო...

ისე, ქინძს უნდა ხოლმე მორწყვა, ხშირადაც კი, უფრო უკეთ რომ დაეტყოს რა ქინძიცაა და არა, ვთქვათ, ნიახური, მეორედ რომ მოვიდეს...

შავი ღრუბლები იკვრება უკრაინის პოლიტიკურ ცაზე ოდესის გუბერნატორის თავზე მეხის დასაცემად, მითუფრო, რომ თავისი უაზრო ლაყლაყით საკუთარი პერსონის წინააღმდეგ მიდის ყოველ პირის გაღებაზე...

როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, ვფიქრობდი, რა მოუშორებელი და რაც მთავარია, მაოხრებელი გახდა ეს ერთი „ცენტრი-კაცი", გვარ-სახელით მიხეილ (მიშა) სააკაშვილი-თქო და ისეთი უცნაური დამთხვევები ამოაგდო მეხსიერებამ, ხალისი შემომიტანა ფიქრებში და ხუმრობის გუნებაზე დამაყენა.

კარგად გვახსოვს, რომ მიხეილ სააკაშვილს, თვითონ თუ ვინმეს ზეგავლენით ან რჩევით სიმბოლოებით უყვარდა საუბარი, ამდენად, ერთგვარ სიმბოლურ წინასწარმეტყველებად შეუძლია მიიღოს ის, რაც კინოფილმებმა შეინახეს და ერთგვარად სახალისო აეწყო ქრონოლოგიის მიხედვით.

1966 წელს პოლონეთში ტელეეკრანებზე გამოჩნდა სამამულო იმის თემაზე გადაღებული სერიალი (შავ-თეთრი გამოსახულებით) „ოთხი ტანკისტი და ერთი ძაღლი" (რეჟისორები: ანჯეი ჩეკალსკი და კონდარ ნალენცკი. საბჭოთა კავშირში 1968 წელს გავიდა ტელეეკრანზე). ფილმის მთავარი ოთხეულიდან ერთი, მძღოლ-მექანიკოსის გრიგოლ სააკაშვილის პერსონაჟი იყო, ერთადერთი კავკასიური ტემპერამენტის მქონე ტანკისტი, რომელიც პოლონელი არ იყო და დაიღალა იმის ახსნით, სად მდებარეობდა საქართველო.

მხოლოდ ერთი წუთით ფიგურალურად და სიმბოლურად წარმოვიდგინოთ, რომ ეს ის სააკაშვილია, რომელიც თავდაპირველად გამოჩნდა და წარმოჩნდა საქართველოს პოლიტიკურ არენაზე. ახლადღმოცენებული ახალგაზრდა სააკაშვილი ისევე უყვარდა ხალხს, როგორც ტანკისტი სააკაშვილი მაყურებელს; როგორც ტანკისტი სააკაშვილი ირჯებოდა საქართველოს წარმოსაჩენად და გასაცნობად პოლონეთში, ისე ირჯებოდა პოლიტიკოსი სააკაშვილი არა მხოლოდ პოლონეთში და კაჩინსკისთან, არამედ მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება ტანკისტი სააკაშვილის ტემპერამენტს, პოლიტიკოს სააკაშვილთან შედარებაც კი უხერხულია, თუმცა ტანკისტის დახასიათების ერთ-ერთი მთავარი შტრიხი სწორედ მისი ტემპერამენტია...

1979 წელს ეკრანებზე გამოვიდა ნანა მჭედლიძის კომედიური ჟანრის მხატვრული ფილმი „იმერული ესკიზები", ანუ ტანკისტი სააკაშვილის გამოჩენიდან საბჭოთა ეკრანებზე 10-11 წელში. შედარებაში რომ გადავიყვანოთ, პოლიტიკოსმა სააკაშვილმა უკვე რომ გამოაჩინა საკუთარი რეალური სახე, და ნანა მჭედლიძის ფილმში, დაფაზე ჩნდება სიმბოლური წარწერა-ნახატი, რაც ხალხის მისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს.



კადრი ფილმიდან "იმერული ესკიზები"

1984 წელს თენგიზ აბულაძემ გადაიღო ფილმი-ტრილოგია „მონანიება", რომელიც ეკრანებზე გამოსვლამდე ვიდეოკასეტებით ვრცელდებოდა და აღნიშნული ფილმის ნამალავად ყურების გამო არა ერთ ადამიანს შეექნა პრობლემა საბჭოთა უშიშროებასთან.

ვისაც „მონანიების" თავდაპირველი ვერსია აქვს ნანახი, აუცილებლად ემახსოვრება ერთი მომენტი — როდესაც დატუსაღებულთან ამანათის გადასაცემად მიდის პატიმრის გულშემატკივარი ქალი, ის ასახელებს პატიმრის გვარ-სახელს — მიხეილ სააკაშვილი! შემდეგ, რატომღაც, ფილმიდან ეს ვარიანტი გააქრეს, თუმცა, ძველი ვარიანტი მაინც არის შემორჩენილი აქა-იქ.

ვინ ჩაერია ფილმის ამ უმცირესი მონაკვეთის „აორთქლებაში", რატომ და რა წინმსწრები მიზნით, ეს მხოლოდ იმდროინდელი უშიშროების ერთ კონკრეტულ პირს ან ვიწრო წრეს ეცოდინება, მაგრამ ფაქტი ფაქტია!

პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილის რეალურ „ვარიანტშიც" ასე „უცნაურად" არის ჩარეული საბჭოთა უშიშროება და არა მხოლოდ; რეალურ „ვარიანტშიც" ასე „უცნაურად" აქრობენ მისი დანაშაულებრივი საქმიანობების გამოაშკარავების ყველა მცდელობას; რეალურ „ვარიანტშიც" ასე იცავს საბჭოთა უშიშროების სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის „უცნობი ფრთა" როცა ძალიან გაუჭირდება...

მოკლედ რომ ვთქვათ, გვარი და სახელი „მიშა სააკაშვილი" ცალ-ცალკე და ერთად, შემონახულია სოციალისტური ქვეყნების კინომატოგრაფიაში და საოცარი სიზუსტით ასახავს საქართველოს ერთ-ერთი პრეზიდენტის, საქართველოში სისხლიანი რეჟიმის განმახორციელებელ, უამრავ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირისა და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილის, ე.წ პოლიტიკოს მიხეილ სააკაშვილის წარსულს და ეჭვშეუვალად დადასტურებულ მომავალს.

ფილმები წინასწარმეტყველურად თვითონ დალაგდნენ ქრონოლოგიურად — ხალხისთვის საყვარელი სააკაშვილი (ტანკისტი; პოლიტიკოსი); „მიშა ყ*ე" დაფაზე და „მიშა, მკვლელო!" (სიმბოლური ნახატი-გამოსახულება და პოლიტიკოსი მიშა) და „პატიმარი მიხეილ სააკაშვილი" ფილმში და სისხლის სამართლის არა ერთ დანაშაულში ეჭვმიტანილი, ძებნილი მიხეილ სააკაშვილი.

რაგინდ ხელი აფაროს ვიღაცამ (ვიღაცებმა) პოლიტიკოს მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას და ფილმივით, დასასჯელ დამნაშავეთა ნუსხიდან ამოიღოს მისი გვარ-სახელი, როგორც ფილმის პირველი ვარიანტი არ არის გამქრალი და დაკარგული, ისე არ დაიკარგება ის საქმეც, რომელსაც ლოგიკური დასასრული ექნება — პატიმარი მიხეილ სააკაშვილი!

ადამიანს, რომელსაც სჯერა სიმბოლოების, ერთგვარად კი უნდა შეძრწუნდეს, როდესაც მისი არაფრით გამორჩეული გვარ-სახელი (ერთად და ცალ-ცალკე) რატომღაც, აუხსნელი დამთხვევით ასე საოცრად ლაგდება წინსწრებით, თითქოს პლანეტებმა თავიანთი კოსმიური კანონზომიერების შესაბამისად დაალაგესო...



**გიორგი ჩხეიძე**



## მირიან ნიკოლაძე:

# მე ელისაშვილისა და ზვიად ქორიძის მსგავსად რომ ვაზროვნებდე, ახლავე გავაკეთებდი განცხადებას, რომ ელისაშვილს ფული აქვს აღებული იმ საქმეში, რაზეც პროკურატურაში იმყოფებოდა

**შეწყალების კომისიის ყოფილი და მოქმედი თავმჯდომარეების მიერ გაკეთებული განცხადებებით გამოწვეული ვნებათაღელვანი ალბათ მანამდე არ ჩაცხრება, სანამ მთავარი პროკურატურა ობიექტურ დასკვნას არ დადებს. „საერთო გაზეთის" სტუმარია ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდებულთა ინტერესების დამცველი, ადვოკატი მირიან ნიკოლაძე, რომელიც შექმნილ ვითარებას კონკრეტული პირების მიერ წამოწყებულ პოლიტიკურ კამპანიად აფასებს.**

**მირიან ნიკოლაძე:** „ეს ნიშნები უკვე გამოიკვეთა, საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ალეკო ელისაშვილისთვის ეს არის წინა საარჩევნო კამპანიის დასაწყისი. ძალიან სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მან ამისთვის ციხეში მყოფი პატიმრები გაიმეტა, შეეხო მათ იმიჯსაც და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ადამიანებს საბოლოოდ მოუსპო, როგორც შეწყალების, ისე მათი განცხადებების საფუძველზე აღძრულ სს-ის საქმეებზე რაიმე დადებითი შედეგის დადგომის პერსპექტივა, რადგან, როდესაც საქმე ძალზე გახმაურებულ საკითხს ეხება, საფრთხილო ხდება რაიმე მკვეთრი გადაწყვეტილების მიღება. ბატონი ელისაშვილის მიერ შექმნილი ეს საშიშროება, ჩვენთვის გადაუჭრელ პრობლემად იქცა, მის მიერ გაწირულ პატიმრებს რისი იმედიღა უნდა ჰქონდეთ. როცა საუბარია ამ მასშტაბის კორუფციულ გარიგებაზე, იქნება ეს ქრთამის აღება, ზეგავლენით ვაჭრობა თუ სხვა ნებისმიერი ფორმა, ბუნებრივია, არსებობს როგორც ქრთამის ამღები, ისე მიმცემი. ფაქტია, თანხის გადამხდელი პატიმრების ოჯახის წევრების გარდა ვერავინ იქნებოდა, შესაბამისად ისინიც „მხილებულნი" არიან დანაშაულში, რაც მათთვის სამომავლოდ რაიმე შეღავათის მოპოვებისთვის გამოუსწორებელი პრობლემაა. ერთ ძალიან საინტერესო გარემოებას მინდა მიაქციოთ ყურადღება, ალეკო ელისაშვილი, რომელიც არაფრიდან აგორებული კამპანიით, „ჩვენი დროის გმირად" იქცა, თავად სტუმრობდა მთავარ პროკურატურას ახლობლის საქმესთან დაკავშირებით, რაც ფულის ამოღების საკითხს ეხებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადა პროკურატურის პრესსამსახურის წარმომადგენელმა, რომელიც დახმარებია ელისაშვილს უწყების ხელმძღვანელობასთან შეხვედრაში. როდესაც ბატონი ელისაშვილი მისთვის მესიჯების გაგზავნაზე დაობს და ამ დროს თვითონ დაბრძანდება რაღაც საქმეების მოსაგვარებლად, ეს როგორ გავიგოთ? ფაქტია, რომ ის შეხვედრია მთავარი პროკურორის მოადგილეს, მე არ ვიცი რა საქმეზე იყო მისული ელისაშვილი და არც მაინტერესებს, უბრალოდ მისი ვიზიტის გახმაურებული მიზეზის შინაარსზე ვსაუბრობ. **იქნებ ვინმემ ამიხსნას, მესიჯის გაგზავნა უფრო დიდი დანაშაულია თუ მთავარი პროკურორის მოადგილესთან თვითონ რომ მიხვალ საქმის ჩასაწყობად?** მნიშვნელობა არ აქვს ვისი საქმე იქნება. ვფიქრობ, მოცემულ შემთხვევაში ელისაშვილის აქტივობა ბევრად უფრო მძიმე კატეგორიას განეკუთვნება, ვიდრე ვთქვათ, რაღაც მესიჯების გაგზავნა. ბატონი ელისაშვილი, როგორც თვითონ ამბობს, ამ მესიჯების საჩვენებლად იყო მისული მთავარი პროკურორის მოადგილესთან, როგორც ჩანს არაფრად თვლის იმ ძირითად საქმეს, რისთვისაც ის მიბრძანებული იყო პროკურატურაში, არადა სწორედ ეს არის უფრო მძიმე დანაშაული, ვიდრე ის, რასაც სხვებს აბრალებს. როგორც კი ეს ინფორმაცია გახმაურდა, მეორე დღესვე ჩავატარე ბრიფინგი და მოვთხოვე პროკურატურას, ვთხოვე ელისაშვილსაც, რომ განგვიმარტონ რა საკითხზე იმყოფებოდა ბატონი ელისაშვილის პროკურატურაში, იყო თუ არა იმ პერიოდში შეწყალების კომისიის თავმჯდომარე და რა თანხების ამოღებას ეხებოდა მისი „ვიზიტი". მე არ მაინტერესებს ვის საქმეზე იყო მისული ელისაშვილი და ნუ იტყვის ახლა, მიზეზთა გამო მათ ვინაობას ვერ დავასახელებო, მშრალი მონაცემები გვითხრას. **მე ელისაშვილისა და ზვიად ქორიძის მსგავსად რომ ვაზროვნებდე, ახლავე გავაკეთებდი განცხადებას, რომ ელისაშვილს ფული აქვს აღებული იმ საქმეში, რაზეც პროკურატურაში იმყოფებოდა,** დავასახელებდი კონკრეტულ თანხასაც, მნიშვნელობა არ აქვს 20.000 იქნებოდა, 50.000 თუ სულაც 200.000 და მას მოუწევდა პასუხის გაცემა და იმის მტკიცება, რომ ამ საქმეში ფული არ აუღია. სად უფრო ივარაუდება თანხის შესაძლო გადახდის ალბათობა, ფულის ამოღების საქმეში თუ საპყრობილეში მყოფთაგან? შევადაროთ ეს ორი ქმედება და დასკვნები მერე ვაკეთოთ, უბრალოდ რახან ელისაშვილმა პირველმა დაიწყო საუბარი, ეტყობა, აღარ მიაქციეს ამას ყურადღება, არავის შეუმჩნევია. ჩემი ბრიფინგი და მოთხოვნები რა თქმა უნდა, „გაატარეს" მედიასაშუალებებმა, მაგრამ გარანტიას გაძლევთ, რომ ეს საქმე ასე არ დამთავრდება. რამდენიმე დღე კიდევ დაველოდები, პროკურატურა რა ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებას. ელისაშვილი რომ გაიყურსა და ცოცხალი თავით ხმას არ იღებს ამ საქმეზე ფაქტია, ეგეც პროკურატურა ხომ არ არის, რომ სს-ის საქმესთან დაკავშირებით რაღაც ვალდებულებებზე ისაუბროს, ხომ არის გულწრფელი, ალალმართალი, ხალხის სახელით მოლაპარაკე ადამიანი, ამ ხალხს აინტერესებს და გვითხრას, რატომ დაბრძანდებოდა პროკურატურაში, რა საქმეებს აწყობდა. რაც შეეხება ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებისგან ვითომდა ქრთამის გადახდას, მე ვესაუბრე პატიმრებს, მათი ოჯახის წევრებს, ნუგზარ ბოჭორიშვილსაც და მათ ეს სასაცილოდ არ ყოფნით, რომელ მილიონებზეა საუბარი, როცა მათი ქონებები დღესაც ბანკებშია ჩადებული და პროცენტებს ძლივს იხდიან. იმდენად ამოწურული იყო ამ ორი მილიონის თემა, რომ აღარც გვგონა, ვინმე კიდევ თუ წამოიწყებდა საუბარს. 2011 წლიდან მოდის ეს ამბავი, გეხსომებათ, ნუგზარ ბოჭორიშვილმა კუდის თანამშრომელთან სატელეფონო საუბარი რომ ჩაიწერა და გამოაქვეყნა, ამაზე უკვე „შაყირობენ", თუმცა ელისაშვილმა თემა გახადა და საყოველთაო მსჯელობის საგნად აქცია. მეც უკმაყოფილო ვარ პროკურატურის ქმედებით, მაგრამ გაცილებით მეტი პრეტენზია მაქვს ალეკო ელისაშვილთან და ზვიად ქორიძესთან. **ოთხი სს-ის საქმეა აღძრული ჩემი დაცვის ქვეშ მყოფების განცხადებების საფუძველზე მათ ცემა-წამებასთან დაკავშირებით, მაგრამ ხელი არ გაუნძრევიათ, ალეკო ელისაშვილის ერთ განცხადებაზე კი მთელი საგამოძიებო ნაწილი ფეხზე დადგა და დღეში 20-25 კაცს კითხავენ. იქნებ აგვიხსნან, რატომ ვართ ასეთ არათანაბარ პირობებში, სამი წელია ყურადღებას არავინ გვაქცევს.** ე.წ. კოკაინის საქმის ე.წ. მოწმემ აღიარა, რომ წამებით აიძულეს ბრალდებულების წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, ეს ადამიანი ერთი კვირა იწვა მთავარ პროკურატურასთან გაშლილ კარავში და იხვეწებოდა, რომ შეფასება მიეცათ მისი ჩვენებისთვის. იგი მართალია დაკითხეს, მაგრამ საქმე წინ არ წასულა, მან იშიმშილა, რამდენჯერმე ძალზე ცუდად გახდა, გონებაც კი დაკარგა, მაგრამ პროკურატურის მხრიდან არავითარი რეაგირება არ მომხდარა. სამაგიეროდ, ალეკო ელისაშვილისა და ელისო კილაძის აბსურდულ განცხადებებზე ერთი ამბავია ატეხილი, ისინი ამგვარი განცხადებების გაკეთებას რომ ბედავენ, ეს ფაქტობრივად, პროკურატურის ბრალია.

**- რას გულისხმობთ?**

- ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ თავის დროზე უმნიშვნელო შედეგიც ვერ დაიდო ძველი საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებით. ჩვენ შეწყალებაზე სახვეწარი არაფერი გვჭირდა, ვინ ითხოვდა შეწყალებას, ერთი განცხადება არ შესულა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებისგან ამ მოთხოვნით, სანამ ალეკო ელისაშვილმა და ზვიად ქორიძემ მათ თავად არ შესთავაზეს. ამ განცხადებებშიც მითითებულია, რომ უდანაშაულოები არიან და გათავისუფლებას ითხოვენ, შეწყალებასთან დაკავშირებით დებულებაც იმიტომ შეცვალა ახალმა ხელისუფლებამ, რომ უდანაშაულო ხალხს გათავისუფლების საშუალება ჰქონოდა. ელისაშვილისთვის რომ გეკითხათ, სწორედ მაგისთვის იკლავდა თავს, თუმცა ბოლოს აღმოჩნდა, რომ ვერავინ გათავისუფლდა ამგვარი შეწყალებით. პროკურატურა, რაღაც აუხსნელ, ინერტულ, უმოქმედო სისტემად იქცა, არცერთ პრინციპულ საქმეზე არ დამდგარა შედეგი, არ ვგულისხმობ ცნობილ პოლიტიკურ საქმეებს, რომელიც სააკაშვილს, ახალაიებს, მერაბიშვილსა და ა.შ. რომ უკავშირდება. „ბობოლა" ნაციონალებზე დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენით არ მთავრდება მართლმსაჯულება, ამიტომაც ვერ გავჩუმდები. ხალხს იმხელა ქონებები დაათმობინეს და ახლა ძირგავარდნილ ავტომანქანებს რომ უბრუნებენ, ეს არის სამართლიანობის აღდგენა, რომელი სერიოზული ქონება დაბრუნდა და მიმთვისებლის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, მარტო სააკაშვილები და მერაბიშვილები იყვნენ? ნახევარი ქვეყანა იდგა ამათ სადამსჯელო, მწამებლურ სამსახურში. იმ ხალხმა რა ქნას წლებია რომ ელოდებიან წართმეული ქონების დაბრუნებას, მათი ზარალი ხომ ყოველდღიურად მატულობს. სრული უგუნურებაა იმის მომიზეზება, რომ თურმე სახელმწიფოს ახლა არ აქვს მათთვის კომპენსაციის გადახდის საშუალება. მათ პროკურატურის იმედი რომ აღარ ექნებათ, ბუნებრივია, სასამართლოს მიმართავენ და ქონების დაბრუნების გარდა, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებსაც მოითხოვენ, რაც გაცილებით მეტად დააზარალებს ბიუჯეტს. მე ვერანაირად ვერ გავიზიარებ იმ პოზიციას, რომ სახელმწიფოს ქონების დაბრუნების საშუალება არ აქვს, რადგან უამრავი ქონებაა სახელმწიფოს ბალანსზე, რომელიც არ ფუნქციონირებს. გამაგებინეთ, რა ზიანი უნდა მიიღოს ბიუჯეტმა იმ ქონების დაბრუნებით, რომლისგანაც ერთი თეთრი შემოსავალი არ აქვს და ასე უპატრონობით ჩანადგება? ამ დროს ვამბობთ, მეწარმეობას ხელი შე-







ვუწყოთ, ინვესტიციები მოვიზიდოთო, პოტენციური ინვესტორები, ანუ ის ხალხი, ვისაც ქონება წაართვეს, იხვეწებიან, რომ დაუბრუნდეთ მათი კუთვნილი ქონება, რომელსაც სახელმწიფო თვითონაც ვერ იყენებშ, არც განაცდენის ანაზღაურებას ითხოვენ, იქით ჩავდებთ თანხას, ავამუშავებთ წარმოებას და სახელმწიფო დამატებით შემოსავალს მიიღებსო. ამ ქონებების არდაბრუნება არ არის დივერსია და კლასიკური საბოტაჟი საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ? მე ვერ ვიტყვი, რომ პროკურატურის ამგვარი უმოქმედობის მიზეზი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში უნდა ვეძებოთ, ყველა ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ საზოგადოება უკმაყოფილო არ იყოს. ეს უბედურება თვითონ პროკურატურიდან მოდის, სადაც თანამშრომელთა 80% ნაციონალების კადრია. რომ ვიცოდე ვინ ბლოკავს ამ საქმეებს, მეორე დღესვე შევყრიდი საზოგადოებას, მაგრამ ისიც არ ვიცი ერთეული პიროვნებაა დამნაშავე თუ გარკვეული ინტერესების მქონე დიდი ჯგუფი. თუ გამიზნულად არ ეწევიან ამ საბოტაჟს, მაშინ გამოდის, რომ ფსიქიურად დაავადებული ხალხი მუშაობს სახელმწიფო სტრუქტურებში.

**- ბატონო მირიან, მოდით, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ გავლენით ვაჭრობისა და ქრთამის თემაზე, ისე რა გარანტია ჰქონდათ „ქრთამის ამღებთ", რომ პრეზიდენტი მათ „პროტეჟეებს" შეიწყალებდა, თუ ისიც ხომ არ გაყავდათ „წილში"? აქვე იქნებ ისიც გვითხარით, რატომ თვლიან თქვენი დაცვის ქვეშ მყოფები თავს უდანაშაულოდ.**

- მავანთა მიერ წამოწყებული კამპანიის ერთ-ერთი არგუმენტი ის არის, რომ მიმდინარე რეჟიმში ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდებულებს ვერ შეიწყალებდნენ, რადგან მათ არ აქვთ სასჯელის ის სათანადო ოდენობა მოხდილი, რის გამოც მათი შეწყალება დღის წესრიგში დადგებოდა და შესაბამისი კომისია ამას ორგანიზებას გაუკეთებდა. ხსენებული მსჯავრდებულები საგა-





მონაკლისო წესს უნდა დაქვემდებარებოდნენ, ამიტომ შეიცვალა დებულება, რომ გამარტივებულიყო ეს წესი და არც დანაშაულის აღიარება ყოფილიყო სავალდებულო. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მიიღეს ახალი დებულება, ალეკო ელისაშვილი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შეწყალების კომისიის თავმჯდომარე. აქ საინტერესო ისაა, რომ პირის შეწყალებაზე რომ გაიყვანონ, კომისიის წევრთა ქვორუმი უნდა იყოს, რაც ხშირად არ არის, ვერ იკრიბება საჭირო შემადგენლობა. გარდა ამისა, კომისიის შემადგენლობის 3/4-მა უნდა მისცეს ხმა საგამონაკლისო წესით წარსადგენ კანდიდატურას. იმავდროულად კანონმდებლობით ქვეყნის პრეზიდენტს შეუძლია შეწყალების

კომისიის გვერდის ავლით შეიწყალოს პირი. ახლა მითხარით, ორი მილიონის გადამხდელები შეწყალების კომისიის თავმჯდომარეებთან და პარლამენტარებთან დავიწყებდით „ჩალიჩს", თუ პირდაპირ პრეზიდენტთან მისასვლელ გზებს მოვძებნიდით, რომელსაც ხსენებულთა გარეშეც შეუძლია შეწყალება, არ შევეცდებოდით პრეზიდენტის საახლობლო დაგვერწმუნებინა მსჯავრდებულთა უდანაშაულობაში და მათ გათავისუფლებასაც მივაღწევდით, რაშიც იმ ორი მილიონის მეასედს გადავიხდიდით, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ვინც ამ საქმეს წაიკითხავს, მაშინვე მიხვდება, რომ ეს არის გამოგონილი სცენარი მტკიცებულებების გარეშე. ეს არის მათ მიმართ სერიოზული კონტრარგუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ სხვაგან მოხვდნენ ბიჭები, ვერ გათვალეს, რომ არაფერი გვქონდა სახვეწარი. თუ ვინმემ მართლაც მისწერა ელისაშვილს მესიჯი, თავად იდარდონ. რაც შეეხება გარანტიებს, ასე ადვილი არ არის, კომისიის წარდგენილ ყველა პირს კი არ იწყალებს პრეზიდენტი. პრეზიდენტის „წილში" გაყვანაზე საუბარი ხუმრობის სფეროა, მე არ ვიცი მასაც „გაიყვანდნენ საქმეში", თუ „გაუმრთლებდათ" და ისე გაიტანდნენ, მაგრამ ჩვენს საქმეში სრული-

ად ზედმეტი ბარიერი იყო შეწყალების კომისია.

რაც შეეხება კონკრეტულ სსის საქმეს, ეს იყო დათა ახალაიას მიერ დადგმული უნიჭო სპექტაკლი, რომ თითქოს პანამიდან ჯართი შემოდიოდა ფოთში, ფოთი აბარებდა და მიდიოდა თურქეთში, ერთი სიტყვით, კუდ-ის აგენტების თუ არ ვიცი ვისი ინფორმაციით, თურმე ერთ ჩამოტანა-გატანაზე 220 კილოგრამი „კოკაინი" იქნა გადაზიდული. საქმე იმაშია, რომ ე.წ. ქვეყნის უსაფრთხოების დამცველებმა ერთი გრამი „კოკაინი" ვერ ამოიღეს, პირველ დღესვე ჩაატარეს მოულოდნელი ჩხრეკა, „ეჭვმიტანილების" სახლებში აყარეს იატაკი, ჩამოიღეს ჭერი და სადმე რომ ყოფილიყო ეს ნარკოტიკი, ვერ ამოი-

ღებდნენ? ახალაია რომ გამოფხიზლდა („ავ ენებს" თუ დავუჯერებთ, მუდმივად 24-საათიან „კაიფში" იყო), ეტყობა ვიღაცამ უთხრა, ამხელა ამბავი ატეხეთ, ხალხს 220 კგ „კოკაინზე" ედავებით და „ჰეროინი" ჩაუდეთო... ერთ-ერთ ბრალდებულს მევლუდ სვანიძეს (ბოჭორიშვილის დის ქმარი) ორი გრამი „ჰეროინი" ჩაუდეს. მხოლოდ ამ „შენიშვნიდან" მესამე დღეს „აღმოაჩინეს" სვანიძის ცხრაჯერ გაჩხრეკილი ავტომანქანის ძრავაში „კოკაინი". ყველაზე სასაცილო ისაა, რომ „კოკაინის" „ამომღები" ოპერთანამშრომლები მის განსხვავებულ „ადგილსამყოფელს" ასახელებდნენ, მათი დარიგებაც კი ვერ მოახერხეს, რომ ამ ერთი პოზიცია ჰქონოდათ. მევლუდ სვანიძის ჩვენებიდან ირკვევა, რომ „სპეცოპერაციისას" მეზობელთან იყო, მეორე მეზობლისგან შეიტყო რა ხდებოდა მის სახლში, ასამდე კუდ-ის თანამშრომელი, პოლიციელი და სპეცრაზმელი „სტუმრობდა" „პიკაპებით". მან შორიდანვე შენიშნა ეს „თავყრილობა", მიდის სახლში, ბარდება პოლიციას, რომელმაც თურმე ჯიბეში ორი გრამი „ჰეროინი" აღმოუჩინა. მაინტერესებს, ამ სისულელეს რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს. კარგი, დათა ახალაიას ვერ მოსთხოვ პასუხს ამ სისულელეზე, მაგრამ სხვას რომ თავი დავანებოთ, აქ შეწყალების კომისიის თავმჯდომარეების პოზიციაა საინტერესო, რომელთაც დიდი ამბიციები აწუხებთ. ბატონი ელისაშვილი კომისიის თავმჯდომარეობისას შეშფოთებული სულ იმას გვეუბნებოდა, ეს ჩვენი ღირსების საქმეა (იგივეს იმეორებდა ზვიად ქორიძეც), კომისია სულ რომ წინააღმდეგი წავიდეს, მე თვითონ შევუტან პრეზიდენტს და დავარწმუნებ, რომ შესაწყალებელი საქმეაო, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ელისაშვილის სიტყვებია. ისე წავიდა ამ თანამდებობიდან, რომ ბოლომდე ეს პოზიცია ჰქონდა, თუმცა ცოტა ხნის წინ „რუსთავი-2"-ის ეთერში ჩართვისას განაცხადა, მე როგორც კი ამ საქმის მასალებს გავეცანი, მაშინვე მივხვდი მანდ რაც ტრიალებდა და ერთი წამი აღარ მომინდომებია მათი შეწყალებაო. ერთი კითხეთ, ნამუსი თუ აქვს საერთოდ, თუ აღარ ახსოვს, იმდენი საქმეებისგან გამოშტერებული იყო, თქვას მაშინ, პრობლემა არ არის. ახლა რაც შეეხება ქორიძის ტყუილებს, რომელიც აცხადებს, რომ პირველივე დღეს, როცა ელისაშვილმა გადააბარა საქმეები, მაშინვე უთხრა იმ ყბადაღებული მესიჯების ამბავიც. თუ ეს პირველივე დღეს იცოდა, მაშინ ლამის 25-ჯერ რომ მივედით მასთან ოჯახის წევრები და ადვოკატები, ერთხელ მაინც ვერ გვაგრძნობინა, რომ შანსი არ გვქონდა, აზრი არ ჰქონდა ჩვენს ვიზიტებს. მაშინ რაღას გაიძახოდა

ეს საქმე უნდა დაიძრას, აუცილებლად უნდა გამოვიდესო, მაშინ რა რჯიდა? მეტსაც გეტყვით, მიმდინარე წლის გაზაფხულზე ანასტასია ზაუტაშვილს საბოლოო გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული, რომ შეწყალებაზე განცხადებას აღარ შეიტანდა, ვხვდები რომ ტყუილად არიან ეგენიო. დავთანხმდი. ამის შემდეგ იყო შესული ბატონი ქორიძე ციხეში, შეხვდა პატიმრებს, ანასტასიას მითვის უთქვამს, რომ განცხადებას აღარ შემოვიტან, რადგან არაფრის მაქნისები ხართ, არც თქვენ, არც პრეზიდენტი და არც ეკა ბესელია თავისი კომიტეტითო. ამის შემდეგ ანასტასიამ დამირეკა, დღეს ქორიძე იყო შემოსული და ძალიან მთხოვა, ერთი განცხადება კიდევ შევიტანო, ეს კაცი ან მაგარი აფერისტია, ან მართლა დაინტერესებულები არიან სიმართლე გაირკვეს და შედეგი დადგესო. ასე რომ, ქორიძის თხოვნით შევიტანეთ განცხადება, თორემ საერთოდ არ გვინდოდა. **ქორიძემ თუ იცოდა რა უბედურებაც ტრიალებდა, რაღას ეზღაუ-**



**ჭებოდა ამ საცოდავ ქალს. ზაუტაშვილს რა კითხვებიც დაუსვა გამომძიებელმა, იქიდან დასკვნა გავაკეთეთ, რომ ქორიძემ, ზაუტაშვილმა რეალურად რაც უთხრა, ის არ უთქვამს გამომძიებლისთვის,** თურმე პატიმარს მისთვის უთქვამს, რომ ვიღაცები შეწყალებაში ფულს სთხოვდნენ. ვიმეორებ, ზაუტაშვილის მიმართ დასმული კითხვებიდან მივხვდით, რომ ასეთი ჩვენება უნდა ჰქონდეს მიცემული ქორიძეს. რომ ბრძანებს ეს ბატონი საგამოძიებო სამსახურიდან ინფორმაცია ჟონავსო, რა გაჟონვა უნდა, კითხვას რომ დამისვამენ ვერ მივხვდები რატომ მეკითხებიან, მაგან ის თქვას სიმართლეს ვამბობ თუ არა, თორემ გაარკვევენ, ჟონავს თუ წვეთავს. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს განცხადება მან თავისი ცრუ ჩვენების გადასაფარვის მიზნით გააკეთა.

**- რამდენად შეეფერება მედიით გაჟღერებული ინფორმაცია სიმართლეს, რომ „კოკაინის" საქმის" პოლიტიკური ნიშნით დევნად გამოცხადებას, შს მინისტრის რანგში მყოფი ირაკლი ღარიბაშვილი შეეწინააღმდეგა, რის გამოც მავანთ „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ"?**

- ესეც სრული აბსურდია, ჟურნალისტები მერე თვითონვე მიხვდნენ რამხელა სისულელე თქვეს და აღარ გაუმეორებიათ. თითქოს სამუდამო პატიმრობა მისჯილი ნუგზარ ბოჭორიშვილის პოლიტდევნილების სიაში იყო შეყვანილი და ამოიღეს, ამ გაჭირვებულებმა ისიც არ იციან, რომ იქ ორი ეტაპი იყო გასავლელი, პირველად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ კომისიას უნდა განეხილა საკითხი, დადებითი დასკვნის შემთხვევაში, მასალები ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტს გადაეცემოდა. კომისიას შეიძლება ათასკაციანი სია გაეკეთებინა, მაგრამ კომიტეტს მხოლოდ ხუთი ადამიანი მიეღო. იქნებ ისიც გვითხრან, ამ კომისიის რამდენ წევრს გადავუხადეთ დადებითი დასკვნისთვის, იქ უამრავი ადამიანი იყო, თანაც ნეიტრალური ხალხი, სიმართლე გითხრათ არც ვიცი ვინ იყვნენ ამ კომისიაში, რადგან მაშინ ასე აქტიურად არ ვყოფილვარ ჩართული. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ **ეს „მართლისმთქმელები" ვისზეც ამბობენ ფული გადაუხადესო, სწორედ იმ კომიტეტში ჩავარდა ეს საკითხი, კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა. პირიქით რომ მომხდარიყო, კომისიას რომ არ დაეჭირა მხარი და კომიტეტს დაეჟინებინა გინდა თუ არა ბოჭორიშვილი პოლიტდევნილთა სიაში უნდა შევიყვანოთო, კიდევ შეიძლება რაღაც ეფიქრა ადამიანს. ამ ყველაფრის მერე ისევ ფულის გადახდა-აღებაზე, რომ საუბრობენ, ჭკუა თუ აქვთ საერთოდ, არ ვიცი. საერთოდაც რა შუაში იყო აქ ირაკლი ღარიბაშვილი?** რამდენიმე ხნის წინ დავით ბერძენიშვილის სატელევიზიო კომენტარი მოვისმინე, მართლაც ასე მოხდა. რესპუბლიკელებმა თავის დროზე ცნობა წარადგინეს, რომ ნუგზარ ბოჭორიშვილი ოფიციალურად იყო მათი პარტიიწევრი, მაგრამ როდესაც დადგა მისთვის პოლიტდევნილის სტატუსის მინიჭების საკითხი, ხსენებულ კომიტეტში სწორედ რესპუბლიკელები წავიდნენ ამის წინააღმდეგ, რომ მათი პარტიის წევრობა არ აღმოჩენილიყო ბოჭორიშვილისთვის ამ სტატუსის მინიჭების საფუძველი. მათ დააფიქსირეს პოზიცია, რომ რესპუბლიკური პარტიის წევრობის გამო არ ეცნოთ ბატონი ნუგზარი პოლიტდევნილად. ის მართლაც პარტიის წევრობის გამო არ გამხდარა დევნის მსხვერპლი, მაგრამ უბრალოდ ეთიკური მომენტია, რესპუბლიკელებმა ძალიან მარტივად გადაწყვიტეს, რომ ბოჭორიშვილთან იდენტიფიცირება ბევრად უფრო დიდი სირთულე და პრობლემა იყო მათთვის, ვიდრე იმ ადამიანის გაწირვა, რომელიც გვერდით ედგათ, ერთი სიტყვით, ბოჭორიშვილის პარტიასთან იდენტიფიცირებას, მისი გაწირვა არჩიეს. მისი საქმე თავიდან რომ განიხილონ და გამართლებელი განაჩენი დადგეს, შეიძლება აღარავის ჰქონდეს დისტანცირების პრობლემა, მაგრამ სამუდამო პატიმრობამისჯილ ადამიანთან ასოცირება, მით უმეტეს სერიოზული პოლიტიკური ამბიციების მქონე პარტიისთვის, გასაგებია, რომ მიუღებელია.

**მანანა ხუხუნაშვილი**

599 51 28 24

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# სააკაშვილის სასამართლომ, თაღლითების „მტკიცებულებების“ საფუძველზე, უდანაშაულო ბესარიონ ხვინთელიანს თაღლითობაში იქით დასდო ბრალი და 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა


ბესარიონ ხვინთელიანი

***გვესაუბრება ბესარიონ ხვინთელიანი,*** *რომლის სახელი და გვარი, როგორც „პოლიტიკურ პატიმრობაზე“ ექვმიტანილი“ - რამდენი ხანია ტელეეკრანებიდან არ ჩამოდის. ეს ის ბესარიონ ხვინთელიანია, რომელმაც სრულიად უდანაშაულომ - სააკაშვილისეული საპატიმროს „საშინელება“ საკუთარ თავზე გამოსცადა და რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ არის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უმაღლესი დიპლომატიური განათლებით, წარჩინებული ბიზნესმენი, საზოგადო მოღვაწე, რაც მთავარია, სამი შვილის მამა, საქველმოქმედო ფონდ „თანადგომა-კრედოს“ საპატიო პრეზიდენტი და კიდევ ბევრი რეგალიის მფლობელი, მის მიმართ „შეთხზული“ არჩადენილი „დანაშაულის“ წინააღმდეგ არ „გაჭრა“ არც ცნობილი ბიზნესმენების, არც საზოგადოების სხვა საპატიო წევრების, არც მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II-ის — საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კურთხევით გაგზავნილმა შუამდგომლობამ და „საკუთარი თავის წინააღმდეგ თაღლითობის ჩამდენი და ამით ქვეყნის დამზარალებელი“ — მისჯილი 8 წელი გაუსაძლის პირობებში ციხეში დარჩენილიყო მიუხედავად იმისა, რომ თბილისში საქართველოსა და ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა მისი საქმის გაცნობის შემდეგ „პოლიტიკური პატიმრის“ სტატუსი მიანიჭეს დიდი ხნით ადრე, მანამ, სანამ ამას ქვეყნის სათავეში მოსული ახალი მთავრობა გააკეთებდა.*



**— ბატონო ბესო როდის გახდით პოლიტიკური პატიმარი?**

— ახალი პოლიტიკური გუნდის წარმომდგენლებმა კანონიერი გზით შეისწვლეს არსებული მდგომარეობა და უპირატესობა მიანიჭეს პოლიტიკური ნიშნით უკანონოდ დაპატიმრებულებს, რომელთა დიდი ნაწილი ერთმანეთს ვიცნობდით და ვიცით იმ დროს ვინ როგორ შეირჩა „პოლიტიკური ნიშნით პატიმრობის“ სტატუსისთვის. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, შეცდომა არ ყოფილა მთავრობა ხელისუფლებაში ძნელი გზით მოვიდა. ბოროტება დაამარცხეს და კორუფციით უბრალოდ არ დაუწყიათ. პირიქით, შეისწავლეს საქმეები, ძველი გუნდის მიერ მოქალაქეების უფლებების შელახვა დაამტკიცეს და პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს და სამართლიანობა აღადგინეს და მაშინ სხვებთან ერთად გავხდი „პოლიტიკური პატიმარი“ და ციხიდან გამათავისუფლეს.

**— ვინ ხართ თქვენ, ბატონო ბესარიონ?**

— ვარ აფხაზეთიდან. სკოლის დამთავრების შემდეგ ვცხოვრობ მოსკოვში. დაპატიმრებამდე სამეცნიერო მოღვაწეობას ვეწეოდი მოსკოვში, ხოლო ქველმოქმედებას საქართველოსა და რუსეთში ერთდროულად. ჩემს შესახებ თითქმის არავინ არაფერი იცის მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი საქმიანობის გაპიარება არაფერში მჭირდებოდა. მსიამოვნებდა და ვეხმარებოდი ადამიანებს. ყოველივე ამის შესახებ მალე ამომწურავ ინფორმაციას გავავრცელებ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფაქტია, არამედ იმიტომაც, რომ დავამტკიცო არავისზე ნაკლები ღვაწლი არ მიმიძღოდა ქვეყნის წინაშე და გამწირეს სწორედ იმ ადამიანებმა, ვისაც ამჟამად უკვე სამიზნედ სხვა ადამიანები გაიხადეს და თუ ეს უკანასკნელი, დროზე არ მოვალთ გონს შეიწირავენ კიდეც. ამის ღრმა რწმენით ვაძლევ ექსკლუზიურ ინეტრვიუს „საერთო გაზეთს“.

**— და რით დაიწყო ყველაფერი?**

— მოქალაქე ალექსანდრე თალაკვაძესთან სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის მიღებას ვაპირებდი. ის და მისი თანმხლებნი ინვესტორების გასაცნობად თალაკვაძის წინადადებით კვიპროსში მივიწვიე თალაკვაძე, რომელსაც თან ახლდნენ დავით სააკაშვილი, მარიკა ვერულაშვილი და ერთი მშენებელი, რომლებიც შემდეგ თურქეთშიც გადავიყვანე, გავაცანი ინვესტორები, მეგობრები, რომლებიც მზად იყვნენ ჩემთან ერთად ნებისმიერ ბიზნესში მონაწილეობის მისაღებად, რაც დავამტკიცე კიდეც, როცა ისინი საქართველოში ჩამოვიყვანე კონკრეტული პროექტების განსახოციელებლად და სწორედ მათ თვალწინ დამადეს ხელბორკილები.

**— ვინც თვალყურს ადევნებს მიმდინარე პროცესებს, ყველას აინტერესებს, როგორ მოგივიდათ ისეთი გულუბრყვილობა, რომ იპოთეკით დატვირტული ქონება შეიძინეთ, რაც ცოტა არ იყოს, მართლაც ძნელი დასაჯერებელია თქვენი დონის ბიზნესმენის მხრიდან.**

— გეთანხმებით, რომ ასეა. მით უმეტეს, რომ სანამ მეცნიერებას მივუბრუნდებოდი, უძრავი ქონების ბიზმესი მქონდა და ეს მე გავატარე „ნოკდაუნი“, რაც წელისწადნახევრის შემდეგ გავიგე. საქმე იმაშია, რომ საკითხი საერთაშორისო სამართლის დონეზე მაქვს დამუშავებული და მეცნიერული თეორიიდან ამოვედი, რადგან კონკრეტულ ქონებას კი არა აბსტრაქტულ „წილს“ მაფორმებინებდნენ ჩემი უფროსი ძმა და კიდევ რამდენიმე ახლობელი, რომლებიც ამ საქმეში გამოცდილები მეგონნენ. მითხრეს, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით წილი „სუფთაა-ო“. მაშინ ეჭვი არ შემპარვია, რომ ამ „აბსტრაქტულ“ „წილში“ შემავალ ქონებაზე იყო საუბარი, რომელიც თურმე იპოთეკით იყო დატვირთული,როცა ჩემს კუთვნილ“ ქონებაში ბანკის წარმომადგენლებმა აღწერის ჩატარება დაიწყეს მის აუქციონზე გასატანად. თალაკვაძის და კლაუს წილები შპს „კლაუსიდან“ ცალცალკე მქონდა შეძენილი და გადახდილი. ბოლო ქონების გადაფორმებიდნ წლინახევრის შემდეგ შევიტყვე, რომ თალაკვაძე-კლაუს ჩემთვის „წილების“ გადაფორმებამდე მასში შემავალი არამარტო შენობა ჰქონიათ ჩადებული ბანკში აღებული 450 ათასი დოლარის სანაცვლოდ, , არამედ თვითონ კლაუს და მისი კიდევ ორი ახლობლის სხვა სახლებიც. უკვე ძალიან გვიან იყო, როცა მივხვდი, რომ „დომინოს პრინციპით“ „ჩავვარდი“ და დავიწყე ბრძოლა, რათა რაიმე შემენარჩუნებინა. სხვათაშორის ნოტარიუსმა თავი იმართლა, რომ „ნასყიდობა“ შენობაზე კი არა გაფორმებულა, არამედ „წილზე“, რომელიც იპოთეკით დატვირთული არ იყოო.

ჩემთან ინახება დოკუმენტები, რომელიც წარდგენილი იყო სასამართლოში, სადაც ჩანს რომ „წილის“ გადასაფორმებლად მოლაპარაკებებზე დადიოდნენ ჩემი წარმომადგენლები და კლაუ ნოტარიუსთან ერთად ამზადებდნენ ხელშეკრულებას და რადგან კლაუ შპს-ს გენერალური დირექტორი იყო და მხოლოდ მას შეეძლო ამ ქონების შემდეგ დარეგისტრირება ჩემს მიერ „წილის“ შეძენიდან სამთვენახევრის საჯარო რეესტრში როგორც ჩემი „წილი“ დაყადაღებული ქონების ჩათვლით და ცხადია, დავალიანებაზე პასუხისმგებლობაც, რის შესახებაც მაშინ არაფერი ვიცოდი, ჩემზე გადმოვიდა. სწორედ ამ „დაზარალებულმა“ კლაუმ სასამართლოზე თქვა, თითქოს ყველაფერი ისეთი სისწრაფით მოხდა, რომ მისი წილი თანხის, 60 ათასი დოლარის გადახდას, თურმე, შეპირდა ვინმე ძუბა, ლაპარაკია ჩემს უფროს ძმაზე და ამ დღიდან წლინახევრის შემდეგ კი კლაუმ მოითხოვა „კუთვნილი“ ფული, იჩივლა და ვიდეოთი აღჭურვილი მომადგა ოფისში, სადაც გააკეთა ჩანაწერი, საიდანაც კარგად ჩანდა,



რომ მტყუვნდებოდა და კიდევ რამე თანხის გადახდა მე არ მეკისრებოდა, რადგან გაცილებით მეტი თანხა მქონდა გადახდილი, ვიდრე რეალურად ღიდა ქონება და დავუმტკიცე, რომ ის თანხები ყოფილ „მეწილეებს“ შორის უნდა გადანაწილებულიყო და მე მთელი „წილის“ მყიდველი არაფერ შუაში არ ვიყავი. სწორედ ამ მიზეზით საბუთებიდან გაქრა „უმთავარესი სამხილი“ - ვიდეო-აუდიო ჩანაწერი, რომელშიც თითქოს ბესარიონ ხვინთელიანი აღიარებდა იზოლდა კლაუსათვის შპს „კლაუსში“ 50%-იანი წილის ღირებულების გადაუხდელობის ფაქტს.

კლაუს მიერ გამოძიებისთვის წარდგენილ ვიდეო-აუდიო ფირზე, **რომელიც ითვლებოდა ნომერ პირველ სამხილად, ამდენად სასამართლო სამხილის გარეშე დარჩა, მაგრამ არც ამისთვის მიუქცევით ყურადღება.** მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ წინასწარი გამოძიება უყოყმანოდ იზიარებდა იზოლდა კლაუს ჩვენებას იმ ნაწილში, რომ თითქოსდა არანაირი თანხა არ გადაუხდია იზოლდა კლაუს კუთვნილი 50%-ის შესაძენად და მთავარია, იზოლდა კლაუს მიერ გამოგონილი არარსებული ეს ვერსია წინასწარმა გამოძიებამ საფუძვლად დაუდო ყველა იმ პროცესუალურ აქტს, რომლის საფუძველზეც მიმცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მთელი ამ წელიწადნახევრის განმავლობაში, თალაკვაძეს, რომელსაც სრულიად ვენდობოდი. გავლენიან ბიზმესმენად მესახებოდა, ვაძლევდი თანხებს, რათა მასალები ჩამოეტანა თურქეთიდან, ამოღებული მოგება ეტრიალებინა და პატრნიორულად გვეწარმოებინა ბიზნესი. შემდეგ მან ჩემდამი 3 მილიონ 200 ათასი თანხა ვალი ]ნოტარიალურად აღიარა, მაგრამ ამას არც მისთვის და არც სასამართლოსთვის ხელი არ შეუშლია სასამართლო დარბაზიდან გაეთავისუფლებინათ საპროცესოთი.

საქალაქო სასამართლოს კანცელარიაში მოქალაქე იზოლდა კლაუმ ჩააბრა საჩივარი, რომელიც მეტად საინტერესო სანახავია, რადგან კანცელარიაში ჩაბარებიდან 3-4 დღის ნაცვლად 15-20 წუთში ექვსამდე პასუხისმგებელი პირისა და პროკურორის რეზოლუცია ადევს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ განცხადება კი არ შეუტანიათ სადმე ვინმეს მიერ ხელის მოსაწერად, არამედ „საჭირო პირები“ საგანგებოდ — თავადვე გამოცხადდნენ საჩივარზე სათანადო მითითების და „ფაქსიმილეს“ გასაკეთებლად.

**— და რატომ მოხდა თქვენი საზოგადოებისგან იზოლირება და ქონების წართმევა?**

— რუსეთის და საქართველოს მეგობრობის მომხრეობას არ ვმალავდი და ერთ დღეს ჩემი რამდენიმე ნათესავის თანდასწრებით ერთმა ჩემმა ახლობელმა წინ დამიდო ოპოზიციურ ლიდერებთან ერთად გადაღებული სურათები და „ახლობლურად“ გამაფრთხილა, რომ, ამათ ჩამოშორდი, თორემ პრობლემები შეგექმნებაო. მაგრამ არ დავუჯერე, რადგან იმდენად დიდი იყო ქვეყნისადმი ჩემი სიყვარული, იმდენი რამე მქონდა უკვე გაკეთებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, საფრთხეს არსაიდან მოველოდი. მაგრამ მწარედ შევცდი და იმაზე, რაც შემდეგ მე გადამხდა, წიგნიც დაიწერა და რამდენიმე დოკუმენტური ფილმიც გადაიღეს, მაგრამ რომ არა ახალი მთავრობა, ძნელი წარმოსადგენი არ არის რაც მომოვიდოდა, რადგან ჩემი დაპატიმრებაც ხელისუფლების მიერ იყო შეკვეთილი ჩემი პოლიტიკური შეხედულებებისა და საქმიანობის გამო, რაც წარმატებით „განახორციელეს“ სააკაშვილის პოლიციამ, პროკურატურამ და სასამართლომ. მომისაჯეს 8 წელი და გასამართლებიდან 10 დღეში ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის ნაცვლად სამი წელი ციხეში მამყოფეს, სადაც შემოდიოდნენ სხვადასხვა მაღალჩინოსნები თუ მათი სიმამრები თუ სხვა ახლობლები და „ვიღაცეების“ ვალების გასტუმრებას მთხოვდნენ. კატეგორიული უარის მიღების შემდეგ, ფიზიკურის გარდა, მორალური ზეწოლაზე გადავიდნენ, ჩემს მეუღლეს და ვაჟებსაც უპირებდნენ დაპატიმრებას. საქმეში ჩაერთო ეკონომიკის სამინისტრო და იძულების გზით ჩამომართვეს ისეთი ქონება, რომელიც არ იყო ამოღებული სასამართლოს გზით, მათ შორის ბიზნესი სვანეთში.

**— ვინ ხელმძღვანელობდა ამას?**

— სასჯელაღსრულების დეპარტამენტის აწ უკვე ყოფილმა, ამჟამად გაქცეულმა თავმჯდომარემ — ჭაკუამ ახალი ხელისუფლების არჩევამდე ჩემს მიერ დაფინანსებული ოპოზიციური პარტიებისა და ლიდერების დასახელება მომთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქონების ჩამორთმევით დამემუქრა და როცა უარი მიიღო, მისი ბრძანებით კარცერში მომათავსეს. იქიდან გამოსული, უკვე დაავადებული ვიყავი, მაგრამ ჩემი მკურნალობაც აიკრძალა. არჩევნებამდე, საპატიმროში კიდევ არაერთხელ იყო მისული ჩემი ახლობელი, რომელიც მარწმუნებდა, თუ გავაკეთებდი ყველაფერს, რასაც ჩემგან მოითხოვდნენ, მაშინ, ციხიდან

დაუყოვნებლივ გამიშვებდნენ. მიუხედავად გაუგონარი ზეწოლისა და არაადამიანური მოპყრობისა, არა თუ მას არ დავთანხმდი შეწყალებაზე, საპროცესო გარიგებაზეც კი უარი ვთქვი და ციხეში დავრჩი და რომ არა ჩემი პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭება, ვინ იცის, რა ბედი მელოდა. არ დარჩენილა ინსტანცია საჩივრის თუ სათხოვარის წერილებით არ მიმემართა, რათა დაესაჯათ ნამდვილი დამნაშავეები, მათ შორის, თანამდებობის პირები, დაქირავებული „ცრუმოწმეები“ და ყველა ისინი, ვინც ჩემი პოლიტიკური დევნის იარაღად იქცნენ ხელისუფლების ხელში.

**— რატომ არ დათანხმდით?**

— იშვიათი გამონაკლისი როდი ვიყავი უსამართლოდ და სრულიად უკანონოდ გასამართლებულებს და მისჯილებს შორის, არც იმაში ვიყავი ერთადერთი, რომ დანაშაულს არ ვაღიარებდი, რადგან არა თუ, არ ჩამიდენია დანაშაული, არამედ გულშიც არ გამივლია, ამიტომ სრულიად წარმოუდგენლად მიმაჩნდა დარჩენილი სიცოცხლის გავლა „დამღით“ — „თაღლითი“.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2010 წლის 16 ნოემბრის განაჩენით დამნაშავედ მცნო და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით მომისაჯა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით ერთი მილიონი ლარის გადახდა დამაკისრა და ასევე, დამატებითი სასჯელის სახით, ასევე სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამომერთვა (ანუ კონფისკაციას დაუქვემდებარა), როგორც „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული“ ქონება თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ქსნის ქუჩაზე 2636 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული 912 კვადრატული მეტრი ფართის შენობა-ნაგებობებით“.

**— ვინ არის იზოლდა კლაუ?**

— გარწმუნებთ მასზე მსჯელობა და დასკვნის გაკეთება სასამართლო მასალებითაც იოლად შეიძლება. მე მისგან შპს „კლაუსის“ წილი ვიყიდე და იზოლდა კლაუ მიჩიოდა, რომ „თაღლითური“ გზით უკანონოდ მივითვისე მისი ქონება და ეს „დამიმიმტკიცა“ კიდეც, რაშიც „ძალიან დაეხმარა“ „დაზარალებულს“ ჯერ წინასწარი გამოძიება, შემდეგ კი სასამართლო, რომელმაც ბრალდების სხვა მოწმეთა „გულწრფელი“ ჩვენებების საფუძველზე დამნაშავედ მცნო დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩამიდენია. ამასთან, აქვე ძალიან კარგად ჩანდა ვინ ვიყავით დამნაშავე და ვინ დაზარალებული, რადგან კლაუმ და მასთან ერთად სხვებმა, „ჩვენებები“ არაერთხელ „არსებითად შეცვალეს“ და ყოველ სხდომაზე აბსოლუტურად განსხვავებულად წარმოადგენდნენ ერთსა და იგივე ფაქტს, ანუ, იძლეოდნენ „ცრუ ჩვენებას“, რაც აშკარა იყო და კანონით ისჯება, მაგრამ მიუხედავად ჩემი მხარის დაჟინებული მცდელობისა, არც ერთ ინსტანციაში ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. გამოვიდა, რომ კლაუმ სასამართლო ორგანოები შეცდომაში შეიყვანა, რასაც თავად მათი „კეთილი ნების“ გარეშე ვერ გააკეთებდა: კერძოდ, შპს „კლაუსის“ განვითარებისთვის ჩემს მიერ გადაგზავნილი თანხების მითვისება ისე, რომ შპს-სთვის არცერთი თეთრი არ დაუხარჯავს, და ასევე დადგინდა, რომ ჩემს მიერ შეძენილი ქონება მის გაყიდვამდე პატორნს - კლაუს იპოთეკით ჰქონდა დატვირთული ბანკ „რესპუბლიკაში“ და 452 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ ორი მოქალაქეს კუპრავა-აბაშიძეს და ბერაია გააცურა, და საკუთართან ერთად მათი პირადი ქონებები — სახლების სახით, იპოთეკით დატვირთა, ბანკიდან თანხა გამოიტანა და პატრონები დააზარალა. სასამართლომ შესანიშნავად იცოდა, რომ კლაუ ტყუოდა, არცერთ სხდომაზე არ ემთხვეოდა მისი ნათქვემი ერთმანეთს იმ თანხასთან დაკავშირებით, რომელიც მე „გადაუხდელი დამრჩა“ მისი „წილის“ შეძენის შემდეგ და ვერც იმას აკონკრეტებდა, როდის და სად გადაწყდა, რომ მე ეს ვალი დამრჩა და საბუთები, რომელიც ჩემთან და ასევე სასამართლოში დევს ღაღადებს, რომ ი. კლაუს წინასწარი გამოძიების დროს



მითითებული ჰქონდა, რომ მისი კუთვნილი 50%-იანი წილის სანაცვლოდ ხვინთელიანის წარმომადგენლები დაპირდნენ 362 000 აშშ დოლარს პლუს 200 000 ათას აშშ დოლარს — მისი ქონების იპოთეკისგან გასათავისუფლებლად ორ-სამ დღეში გადაგიხდითო, მოგვიანებით დაკითხვისას წამოცდა, რომ მან იცოდა, რომ თანხები მთლიანად უკვე გადახდილი იყო მისი იმჟამინდელი ბიზნესპარტნიორი ალ. თალაკვაძისთვის. არც ამ და არც სხვა „შეუსაბამობებს“ ხელი არ შეუშლია სასამართლოსთვის ერწმუნა „დაზარალებული“ ი. კლაუს „სიმართლე“ და გაზრდილი მადა და სასამართლოზე წინასწარ გამოძიებაში დასახელებულ თანხაზე — 200 000 აშშ დოლარით მეტზე ჰქონდა პრეტენზია. ამ საქციელს კომენტარს ვერავინ მოუძებნის გარდა იმ „ობიექტური“ სასამართლოსი, რომელმაც ცნო და დააკანონა ი. კლაუს „კანონიერი“ მოთხოვნა, მაგრამ არა მის, არამედ სახელმწიფოს სასარგებლოდ და პროცესის დასრულების შემდეგ პირში ჩალაგამოვლებულები დატოვეს და არაფერი მიუღიათ სასამართლოებსა და გამოძიებაში სირბილისა და მათთან თანამშრომლობით გამოწვეული „სიამოვნების“ გარდა და მისი „მზაკვრობა“ მისთვის კრახით დამთავრდა და მის მიერ „თაღლითობაში მხილებულმა“ — ანუ მე, მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე მაზღვევინეს ი. კლაუსადმი მიყენებული „ზარალი“. ეს იცით, როგორ არის, დავუშვათ ვინმეს მანქანა მოპარეს, იპოვა სახელმწიფომ, მაგრამ კანონიერ მფლობელს კი არ დაუბრუნა, თვითონ დაიტოვა. ზუსტად ასე მოხდა. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ადასტურებს, რომ იზოლდა კლაუ და იამზე სიორიძე, რომელიც ასევე იყო მომჩივანი, ფორმალურად იყვნენ დაზარალებულები და არა რეალურად, მათ არანაირი ზარალი არ განუცდიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთრება მათ უნდა დაბრუნებოდა, და თუ ეს არ მოხდებოდა, პრეტენზია მაინც უნდა გამოეთქვათ ამ „უკანონობის“ გამო, რაც არ მომხდარა.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ის, რაც ჩემს სასამართლო პროცესებზე ხდებოდა, მსოფლიო სასამართლებში პრეცენდენტი არა აქვს. გამოძიება ორ „თაღლითს“ მე და ალექსანდრე თალაკვაძეს გვედავებოდა, მაგრამ პროკურორმა მოითხოვა, რომ მხოლოდ ერთს, ბესარიონ ხვინთელიანს ამენაზღაურებინა „ზარალი“, რომელსაც მთელი პროცესების განმავლობაში სწორედ „დაზარალებულების“ „საკუთრებად“ მიიჩნევდა.

აღმოჩნდა, რომ თანხას, რომელსაც მე თალაკვაძეს ვაძლევდი ინვესტიციების სახით ბიზნესის გასაფართოვებლად კლაუს აძლევდა და ბანკის ვალებს ფარავდნენ, მაგრამ როცა თალაკვაძეს თაღლითობა შევატყვე და ფულის მიცემა შევუწყვიტე ველარ დაფარეს ვალი და მაშინ მომადგნენ მე ბანკიდან. გავიგე, რომ თუ 450 ათას დოლარს არ გადავიხდიდი ქონებას აუქციონზე გამიყიდდნენ. ეს ის დრო იყო, როცა თალკავაძეს მორიგი „ბიზნესისთვის“ ნოტარიალურად 3 მილიონ 200 ათასი ვალი აქვს დაფიქსირებული და აღიარებული. შოკში ჩავვარდი, რადგან ამდენი ზარალის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ გადავიხდიდი თუ არ გადავიხდიდი ბანკის ვალს ქონებას მაინც ვკარგავდი და რეალობას თვალებში ჩავხედე და გადავწყვიტე, ბანკს ჩავენაცვლები-მეთქი და მის მიერ გასაყიდად აუქციონზე გატანილი შევისყიდე. მაშინ ეს რომ არ გამეკეთებინა, მხოლოდ ქონებას დავკარგავდი და ციხეში არ მოვხვდებოდი. მოკლედ, ერთიდაიგივე ქონება, ფაქტობრივად ორჯერ ვიყიდე და ბოლოს სახელმწიფოს „ვაჩუქე“.



იზოლდა კლაუ

იზოლდა კლაუმ ეს ყველაზე კარგად იცოდა, მაგრამ არ დანანებია ჩემს მიერ პრაქტიკულად წყალში გადაყრილი 450 000 აშშ დოლარი ლარი არც ისე მცირე თუ იმ გარემოებასაც დავამატებთ, რომ იზოლდა კლაუს ოდნავადაც არ უგრძვნია უხერხულობა იმის გამო, რომ მე სრულიად უსაფუძვლოდ გადავიხადე თანხა, მაგრამ ამ ფაქტმა აშკარა გახადა, რომ მე კი არ მოთაღლითეა, არამედ შესანიშნავად ორგანიზებული და როლებგანაწილებული თაღლითური ჯგუფის მიერ დაგებული ხაფანგის მსხვერპლი, **რაც ყოვლად დაუშვებელი იქნებოდა გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლოს მიერ სამართალზე თვალის დახუჭვის გარეშე.** ამდენად, სრულიად აბსურდული იყო ყოველი პროცესი, და პრაქტიკულად სასამართლოს მსჯელობა იმ გარემოებაზე ფარსის გათამაშება იყო.

და მაინც ფაქტია და ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ჩემთან ინახება: სამოქალაქო საქმეში დევს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გ. ჩემიას 2009 წლის 18 თებერვლის ბრძანება „საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ“ და „წინასწარი გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი“, სადაც მითითებულია, რომ „წინასწარი გამოძიება დაიწყო იზოლდა კლაუს მიმართ განხორციელებული თაღლითური ქმედების ფაქტზე“, მაგრამ საქმეში არ დევს იმის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ რის საფუძველზე, როგორ მოხვდა ისინი საქმეში, რადგან სარჩელში ამ დოკუმენტის გამოთხოვნის, ან კლაუს მიერ სასამართლოსთვის წარდგენაზე არაფერია ნათქვამი. რაც იმას ნიშნავს, რომ იზოლდა კლაუმ გამოძიებისგან დამოუკიდებლად შეიტანა სამოქალაქო სარჩელი 2009 წლის 8 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში, (რაც კანონმდებლობით დაუშვებელია) სისხლის სამართლის საქმესთან ერთად ჩემს წინააღმდეგ, რითიც ატყუებდა გამოძიებასაც. ამდენად, ი. კლაუს თუ არაფრად უღირდა მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანა და ამ მიზნით ატყუებდა მას, საინტერესოა, რატომ გაუჭირდებოდა სხვების მოტყუება ან მაშინ, ან ახლა? საქმე იმაშია, რომ სამოქალაქო დავა ჩემსა და კლაუს შორის შპს „კლაუსში“ იზოლდა კლაუს 50%-იანი წილის ბათილად ცნობის საკითხის“ გადასაწყვეტად ჯერაც არ იყო დამთავრებული ჩვენს შორის. ამის უფლებას კი არ იძლევა საქართველოს კანონმდებლობა. მიუხედავად ამისა, იზოლდა კლაუს მიერ ჩემს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილმა წარმოებაში და სრულიად უკანონოდ საჯაროდ პატიმრობაში ამიყვანეს და იმის სამტკიცებლად, რომ ჩემსა და იზოლდა კლაუს შორის შპს „კლაუსში“ იზოლდა კლაუს 50%-იანი წილის ბათილად ცნობის საკითხის გადაწყვეტამდე სისხლის სამართლის დანაშაულებრივ დავასთან დაკავშირებით საქმის აღძრვა არ შეიძლებოდა, სულ ამაოდ გაისარჯნენ ჩემი ადვოკატები. თუმცა სასამართლომ სხვებზე კარგად იცოდა, რომ კლაუ ტყუოდა და მისი აბსურდულობა, თითქოს მას თაღლითურად წავართვი წილი შპს „კლაუსში“, მიუხედავად ამისა გაგრძელდა, ზუსტად იმდენი დრო, რამდენიც საკმარისი გახდა ჩემი ფიზიკურად ფსიქოლოგიურად და მორალურად მოსამზადებლად დამეთმო ჩემს მიერ სრულიად კანონიერად შეძენილი ქონება და მათი გათვლებით ბედს დამორჩილებულს მომეხადა სასჯელი არარსებული დანაშაულის გამო სასამართლომ **საბოლოო სიტყვაში თქვა: ხვინთელიანმა ჩაიდინა თაღლითობა, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, რომ ეს პრაქტიკულად, საკუთარი თავის წინააღმდეგ იყო და როგორც თაღლითს ჩამოერთვას ყველაფერი, რაც გააჩნია და გადაეცეს დაზარალებულს... მაგრამ არა სხვა ვინმეს, არამედსახელმწიფოს.**

**— კიდევ რას გაიხსენებთ თქვენი მართლაც უპრეცენდენტო საქმიდან?**

— სრულიად წარმოუდგენელ ფაქტს, როგორ დაეხმარნენ ა. თალაკვაძეს „ბრალის არიდებაში“. ვინაიდან ემალებოდა გამოძიებას 2009 წლის 10 სექტემბერს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა და ბრალდების გასაცნობად გამოძახებული იქნა ა. თალაკვაძის ადვოკატი ი. ბესელია, მაგრამ მან ვერ შესძლო სასამართლოზე გამოცხადება, რის გამოც გამომძიებელმა მ. ჯავახიშვილმა მოითხოვა სახაზინო ადვოკატის დანიშვნა და აქ მოხდა გაუგებრობა და „ბრალის დადგენილებაში“

წერია არა **ალეკო თალაკვაძე,** არამედ „ეჭვმიტანილი გია კანდელაკი“ და სწორედ ამ ფორმით გაეგზავნა ალეკო თალაკვაძეს. ანუ, ერთი ადამიანი გასამართლდა მეორის სახელითა და გვარით. ეს სხვა კანონის დარღვევაა, და სხვაა კიდევ ის, რომ კანონის თანახმად, ბრალდება არ წაყენებია ა. თალაკვაძეს, რადგან ის დამნაშავედ და „ბრალდებაწაყენებულად“ მხოლოდ მაშინ ჩაითვლება თუ გამოძახებული იყო ბრალდებულის ადვოკატი და გაეცნო დადგენილებას პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ეს არ მომხდარა. მაგრამ კიდევ უფრო საოცარი ის იყო, რომ ალ. თალაკვაძემ სასამართლო გამოძიებაზე რამდენიმეჯერ მადლობა გადამიხადა მისი სიცოცხლის გადარჩენისათვის.

წილის გასხვისების შემდეგ თქვენ რომ არ ჩარეულიყავით ნამდვილად ვიცი ეს მოხდებოდაო“. ამ დროს აშკარად გულწრფელი იყო. მაგრამ შემდეგ დაკითხვისას განაცხადა, რომ მე მისი სიცოცხლე მხოლოდ იმიტომ გადავარჩინე, რომ მისგან გამორჩენა მინდოდა და სომეხ პარტნიორებთან საკუთარი პრობლემის ჩემთვის გადაბრალება სცადა.

**— რომელ პარტნიორებზეა ლაპარაკი?**

— თალაკვაძის მაღალჩინოსან სომეხ ბიზნესპარტნიორებზე, რომლებმაც მოახერხეს რომ ჩვენს ჩინოვნიკებს ზეწოლა მოეხდინათ ჩემზე, რათა გადამეხადა მათთვის ასევე თალაკვაძის ქართველი მაღალჩინოსანი პარტნიორების ვალი. და ეს პირველი შემთხვევა როდი იყო.

**— გვარებს არ დაასახელებთ?**

— მხოლოდ მიუკერძოებელ სასამართლოზე.

მიუხედავად ყველაფრისა, ვაპირებ კილაძეს ვუჩივლო ჩემი „პოლიტიკური პატიმრობის“ სტატუსში ეჭვის შეტანით ჩემი ღირსებისა და პატივის შელახვისთვის და ასევე მადლობას აუცილებლად ვეტყვი, რადგან მის მიერ ამ თემის წამოწევით ხელისუფლებას მოახედებს ჩემი ტანჯული საქმისკენ და ობიექტური სასამართლოს განსჯის შემთხვევაში, ოდნავი დანაშაული მაინც თუ მექნა, დამაბრუნონ ციხეში. სამოქალაქო მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ „სამართალი პურს ჭამს“ - ასე დავპირდი მოსამართლე ჯორბენაძეს „ყელზე გაგეჩხირებით-მეთქი“ და აუსრულდება.

**ნინო გელოვანი**

# რატომ უპირისპირდებიან ბიზნესმენები ბანკ „რესპუბლიკას?“

დღეს საიდუმლოს აღარავისთვის წარმოადგენს, რომ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ნაციონალური მოძრაობა საბანკო სექტორს პოლიტიკური ოპონენტების თუ კონკურენტების „დასაძირად“ ხშირად და ეფექტურად იყენებდა. ისიც ცნობილია, რომ ბიზნესის კონტროლისა და მასზე მანიპულაციების განსახორციელებლად, საბანკო სესხები, რომლითაც კომპანიების აბსოლუტური უმრავლესობა სარგებლობდა, მშვენიერი საშუალება გახლდათ.

„საერთო გაზეთს“ შპს „ექსიმსერვის“ დირექტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი **ქართლოს ბახსოლიანი** ესაუბრა:

„ექსიმსერვს“ პრობლემები 2008 წლის ბოლოდან, ეკონომიკური კრიზისის დროს დაეწყო. ომის შემდეგ, სამ დღეში ლარის კურსი 1.4 -დან 1.7 ჩამოვარდა. რა თქმა უნდა, ამან ძალიან დაგვაზარალა, თუმცა კონფლიქტის ზონიდან დევნილი ადამიანების დახმარებას მაინც ვახერხებდით და ათიათასობით ლარის კვების პროდუქტებს ვუგზავნიდით. ზოგადად, ჩვენი კომპანია კვების პროდუქტების გარდა, იმპორტს სხვა მიმართულებითაც ახორციელებდა. ამ დროისთვის, კარებებსა და კარის საკეტებზე „აქსისის“, „ცენტრ-პოინტის“, „ოლიმპიური ვარსკვლავის“ და სხვა დიდი კომპანიების შეკვეთები გვქონდა. ისრაელიდან შეკვეთით დატვირთული კონტეინერები საქართველოს საზღვარს ომის დროს მოადგა და უკან გაბრუნდა. საბოლოოდ, შეკვეთა წლის ბოლოს ჩამოვიდა, როცა მისი ღირებულება ჩვენს მიერ გადახდილი თანხის მეათედიც აღარ იყო. ამხელა ზარალის გამო, კომპანიას გაუჭირდა და სესხის რესტრუქტურიზაცია ითხოვა. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად, გაგარინზე მდებარე კომერციული ფართის გაყიდვა გადავწყვიტეთ და ბანკს სანაცვლო იპოთეკა შევთავაზეთ. ბანკი დაგვთანხმდა და წერილობითაც დაგვიდასტურა, რომ ნატახტარის მიწების სანაცვლოდ, კომერციულ ფართს და გოჩა დარბაიძის ბინებს იპოთეკისგან გაათავისუფლებდა. 2009 წლის 31 დეკემბერს ბანკსა და შპს „ექსიმსერვ“-ს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება 1180000 აშშ დოლარზე 5 წლის ვადით. რადგან მოკლე სამუშაო დღე იყო, 31 დეკემბერს გაფორმდა მხოლოდ რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულება. ნატახტარის მიწების იპოთეკით დატვირთვა მომავალი სამუშაო დღისათვის გადაიდო. 2010 წლის 5 იანვარს აღნიშნული მიწები ბანკის სასარგებლოდ დაიტვირთა, მაგრამ ბანკმა შეთანხმება დაარღვია და გაგარინის მოედანზე არსებული კომერციული ფართისა და საცხოვრებელი ბინებისთვის იპოთეკის მოხსნაზე კატეგორიული უარი განაცხადა.“


ქართლოს ბახსოლიანი

**როცა „ექსიმსერვის“ დირექტორი მიხვდა, რომ გაძარცვეს, ერთადერთი გზა ჰქონდა დარჩენილი—სასამართლოსთვის ან იმ კერძო არბიტრაჟისთვის მიემართა, რომელზეც ბანკი მიუთითებდა. როცა კომპანიისთვის ცნობილი გახდა, რომ ბანკის მიერ შემოთავაზებული არბიტრაჟი შპს „დავების განმხილველი ცენტრი“ „ბანკი რესპუბლიკას“ 25% წილის მფლობელსა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ლაშა პაპაშვილს ეკუთვნის, შეთანხმებაზე უარი თქვა. გარიგება არ შედგა. ჩიხური სიტუაციიდან გამოსავლის ძიებაში შპს „ექსიმსერვ“-მა, მიწის მეპატრონეებთან შეთანხებით, ნატახტარის მიწების გაყიდვა და შემოსული თანხის ბიზნეს-საქმიანობის გასაგრძელებლად გამოყენება გადაწყვიტა. გამოჩნდა მყიდველიც, რომელიც მზად იყო მიწებში 545 000 აშშ დოლარი გადაეხადა, თუმცა ბანკმა მიწის ნაკვეთების იპოთეკიდან გათავისუფლებაზე უარი განაცხადა და იპოთეკით დატვირთული ქონების გაყიდვის მიზნით, სასამართლოს მიმართა. შეგებებული სარჩელის სახით, სასამართლოს შპს „ექსიმსერვ“-მაც მიმართა და ნატახტარის მიწის ნაკვეთების იპოთეკიდან განთავისუფლება მოითხოვა.**


გოჩა სვანიძე

**ქ. ბახოლიანი:** — ბანკის ქმედებების შედეგად, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ბიზნესი გაჩერდა, ვალები გაიზარდა... არადა, კომპანიას შეეძლო მის ხელთ არსებული ქონების რეალიზაციით, სრულიად გამოესწორებინა თავისი მდგომარეობა. ბანკს რომ მიწის ფართები იპოთეკით უკანონოდ არ დაეტვირთა ან ჩვენს მოთხოვნაზე გაეთავისუფლებინა, ბიზნესს ავამოძრავებდით და ფულს ბანკში შევიტანდით. სასამართლომ, რომელიც 2014 წლამდე გაგრძელდა, ჩვენი სარჩელი დააკმაყოფილა და ბანკის სასარგებლოდ მიწის ნაკვეთების იპოთეკით დატვირთვა უკანონოდ ცნო. ბანკს მიწის იპოთეკიდან განთავისუფლება დაეკისრა, ხოლო „ექსიმსერვს“ ბანკის სასარგებლოდ, 1356000 აშშ დოლარის გადახდა. რადგან ბანკის არასამართლებრივი მოქმედება დადასტურდა, 2014 წელს ბანკის უკანონო ქმედების შედეგად მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოს მივმართეთ. ფინანსურმა აუდიტმა „ექსიმსერვის“ 5 წლიანი ზარალი დათვალა, რომელიც, საბოლოო ჯამში, 3 მილიონ 389 372 დოლარი აღმოჩნდა. ჩვენი სარჩელი სასამართლო წარმოებაში ჯერ კიდევ 2 წლის წინ მიიღეს, თუმცა, ჯერ ერთი მოსამართლე გავიდა დეკრეტში, შემდეგ მეორეს ამოეწურა უფლებამოსილების ვადა და ვიდრე მესამე მოსამართლე გაჭიანურებულ პროცესს ჩანიშნავდა, ბანკმა აღსრულება და „ექსიმსერვის“ 10 ბინის აუქციონზე გატანა დაიწყო. საყურადღებოა, რომ პირველ რიგში, სააღსრულებო წარმოება იმ პირთა მიმართ დაიწყეს, რომლებიც შპს „ექსიმსერვ“-ის მოთხოვნით, სასამართლოზე მოწმედ არიან დასახელებულნი. აუქციონიც ჩემზე ზეწოლის მიზნით ჩატარდა, რომ სარჩელი გამომეტანა. მუქარით რომ ვერაფერს გახდნენ, მერე სხვანაირად სცადეს— სარჩელს თუ გაიტანთ, 200 000 გადაგიხდითო. აქედანაც ჩანს მაგათი სიმართლე. შენ თუ მართალი ხარ, თუნდაც 200 თეთრს რატომ გადამიხდი?

რაც შეეხება ამ საქმის პოლიტიკურ ასპექტებს, გეტყვით, რომ „ექსიმსერვის“ დამფუძნებელთა შორის ანზორ ბურჯანაძეც იყო. ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამწვავების შემდეგ, ანზორ ბურჯანაძე 2008 წელს, პარტნიორობიდან გავიდა, რომ ფირმის საქმიანობისთვის პრობლემები არ შეექმნა, მაგრამ მთავარი პრობლემები სწორედ ამის შემდეგ დაიწყო, რადგან ხელისუფლებამ არ დაიჯერა, რომ ბურჯანაძე კომპანიიდან წავიდა. ჩემი აზრით, ჩვენთან მიმართებაში, „ბანკი რესპუბლიკა“ ან ხელისუფლების თვალში ქულების დაწერას ცდილობდა ან დავალებას ასრულებდა. სასამართლო წესით დავის არბიტრაჟით შეცვლის დროს, განსაკუთრებით ანზორ ბურჯანაძის ხელის მოწერას ითხოვდნენ. ისიც კი თქვეს, არავინ გვინდა, მარტო ბურჯანაძემ მოაწეროს ხელიო. რა თქმა უნდა, კომპანიის გარშემო განვითარებული მოვლენების გამო, ანზორ ბურჯანაძემ მნიშვნელოვანი თანხები დაკარგა, თუმცა საბოლოოდ, სხვები მეტად დაზარალდნენ. ადამიანები, რომლებიც ჩვენთან მეგობრობის გამო და სამომავლო დივიდენდების იმედად, ბინების იპოთეკით დატვირთვას დათანხმდნენ და შუა ზამთარში, ქუჩაში აღმოჩნდნენ. მათგან ზოგს მოხუცი მშობლები ჰყავს, ზოგს პატარა შვილები. ბანკმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ „ექსიმსერვი“ და იპოთეკით დატვირთული ბინების მფლობელები გაენადგურებინა. მათი მიზანი სწორედ ეს იყო.“

**შპს „ექსიმსერვსა“ და „ბანკ რესპუბლიკას“ შორის წარმოებულ სამართლებრივ დავაზე კომენტარი კომპანიის ინტერესების დამცველს ადვოკატ გოჩა სვანიძეს ვთხოვეთ.**

საზოგადოება ბანკებს აღიქვამს, როგორც საფინანსო ინსტიტუტს, რომელზეც ეკონომიკის მდგრადობაა დამოკიდებული, მაგრამ ზოგიერთი ბანკი იმდენად გაზულუქდა, რომ თავს განსაკუთრებულ ინსტიტუტად მიიჩნევს და ჰგონია, რომ სამართალშიც განსაკუთრებულია. ალბათ ასეთი პოზიციის გამოა, რომ ხშირ შემთხვევაში, ადამიანი არ აინტერესებთ. კი, ბატონო, „ექსიმსერვს“ თანხა გადასახდელი აქვს და ისიც გასაგებია, რომ უზრუნველყოფა ჩადებულია ბანკის სასარგებლოდ, მაგრამ გასათვალისწონებელია რომ კომპანია ბანკს იქით ედავება და გაცილებით მეტ თანხას თხოვს. არსებობს დიდი ალბათობა, რომ „ექსიმსერვი“ ამ დავას მოიგებს, მაგრამ ამასობაში ბანკი ადამიანებს ბინიდან აგდებს. ფორმალურად და საამართლებივად, აღსრულება შეჩერებული არ არის და ბანკთან კატეგორიულები ვერ ვიქნებით, მაგრამ ბინის მფლობელებმა ბანკს იმაზე მეტი თანხა შესთავაზეს, ვიდრე შეფასებული იყო. სადაა ბანკის, როგორც მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირებული საფინანსო დაწესებულების ლოგიკა? ზამთრის პირას, ხელაღებით გაუყიდო ხალხს ბინები, როცა ისინი მზად არიან კრედიტი აიღონ და საცხოვრისი გამოისყიდონ, არ მგონია, გამართლებული იყოს. ჩემთვის გაუგებარია, რა ლოგიკით ხელმძღვანელობდა მოგებაზე ორიენტირებული საფინანსო ორგანიზაცია, როცა უარი თქვა ბინის მეპატრონეების მიერ შეთავაზებულ თანხაზე და ცალკეულ შემთხვევებში, მატერიალურადაც წამგებიან ვარიანტი არჩია. უკვე დადგენილია, რომ ბანკს მიწის იპოთეკის დატვირთვის უფლება არ ჰქონდა. სამი თუ ოთხი წელი რომ იპოთეკით უკანონოდ მიტვირთავ ქონებას, ის ხომ რაღაც გარკვეულ ბიზნეს-ინტერესებს ემსახურებოდა? ხომ შემეძლო, რომ იმ ქონებით სხვა კრედიტი ამეღო, ვალები დამეფარა და ბიზნესი გადამერჩინა? ბანკი ამას არაფრად აგდებს და ჰგონია, რომ „თავი ქუდში“ აქვს, მაგრამ ამ სამართლებრივ დავაში მოგების შანსი არ გააჩნია. ვნახოთ, როგორი განსაკუთრებულები არიან ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ერთ თეთრს არ შევარჩენთ, არანაირ მოლაპარაკებაზე არ წავალთ და ბოლომდე გავალთ. გულისტკივილით ავღნიშნავ, რომ ბიზნესთან ასეთი მიდგომა არასწორია და ეს ყველაფერი ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ბანკის, როგორც ბიზნეს პარტნიორის მიმართ ნდობის ფაქტორზე. „ბანკი რესპუბლიკა“ გაცილებით მეტს მიიღებდა, რომ „ექსიმსერვს“ ბიზნესის გადარჩენა მოეხერხებინა. კომპანია თავის საქმესაც ააწყობდა, ადამიანებსაც დაასაქმებდა, შემოსავლებსაც მიიღებდა და ბანკსაც გადაუხდიდა. ვფიქრობ, რომ საფინანსო ორგანიაცია ბიზნეს-სუბიექტის მეგობარი უნდა იყოს და არა მტერი.

**ბუნებრივია, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ბანკის პოზიციითაც დავინტერესდით და კომენტარისთვის იურიდიული სამსახურის უფროსს დავუკავშირდით. რატომღაც, ცირა ქეცბაიას ჩვენი კითხვები არაკორექტულად მოეჩვენა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისკენ გადაგვამისამართა. აქ კი შემოგვთავაზეს, რომ ჩვენთვის საინტერესო კითხვები ბანკისთვის ელექტრონულ ფოსტაზე გადაგვეგზავნა და პასუხს მოთმინებით დაველოდებოდით. გაზეთის ფორმატისა და ეპისტოლარულ ჟანრში მიმოწერისთვის საჭირო დროის გათვალისწინებით, „ბანკი რესპუბლიკასთვის“ კითხვების გადაგზავნა საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ.**

**ნელი თორდია**
571 35 36 88

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
SOCIETE GENERALE GROUP

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ნიკა მემანიშვილი:

# ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც საშინელი ბოროტებისგან გვიხსნა, უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ უპასუხისმგებლო ადამიანებმა შეიძლება წყალში ჩაყარონ მისი მონაპოვარი



**„საერთო გაზეთს“ მოძრაობა „ხალხის ხმის“ ლიდერი ნიკა მემანიშვილი ესაუბრა:**

**— რატომ გგონიათ, რომ ხელისუფლებას ხალხის ხმა არ ესმის და თქვენს დახმარებას საჭიროებს?**

— ჩემი ინფორმაციით, მთავრობის აპარატის შრომითი ანაზღაურება 2012 წლის შემდეგ, დახლოებით 390 მილიონი ლარით არის გაზრდილი. ეს თანხები პირდაპირ პრემიებზე და სახელფასო დანამატებზე მიდის. სამწუხაროდ, ადამიანებმა, რომლებიც ხელისუფლებაში მოვიდნენ დაპირებებით, რომ უარს იტყოდნენ განცხრომით ცხოვრებაზე და მოსახლეობის საჭიროებებზე იქნებოდნენ ორიენტირებული, სრულიად შეიცვალეს მიდგომები და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვით არიან დაკავებული. თვითდასაქმებულებს თუ არ ჩავთვლით, მოსახლეობის დაახლოებით 65% დაუსაქმებელია, ამასთან, უამრავი ოჯახი სოციალურად დაუცველის სტატუსს ატარებს. ჩემი აზრით, ამ ფონზე, ხელისუფლებას მორალური უფლება არა აქვს, რომ სახელფასო დანამატების სახით, ხელფასის ორმაგი და სამმაგი ოდენობაა აიღოს.

**— საყოველთაო ჯანდაცვა, უფასო საბავშვო ბაღები, სახელმძღვანელოები და ა.შ. ყველაფერში არ შედის?**

— ეს რომ საკმარისი არ არის, ბოლოდროინდელმა არჩევნებმაც აჩვენა. საგარეჯოს არჩევნებში მოსახლეობის ნახევარიც კი არ მივიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხი სრულიად იმედდაკარგული, გაწბილებული, ნაწყენი და გაბრაზებულია. ადამიანებს სრულიად სხვა მოლოდინი ჰქონდათ და ისეთი იმედგაცრუებული არიან, ხელისუფლების კი არა, მგონი საკუთარი ოჯახის წევრებისაც არ ჯერათ. საზოგადოება პოლიტიკურად იზრდება და სწავლობს მის მიერ არჩეული ხელისუფლების მართვას. ამიტომ ველარ მიიღებს ისეთ არგუმენტებს, როგორიცაა, ის დაპირება წამომცდა და ამ დაპირების გაცემა ვიჩქარე.

**— თქვენი აზრით, „ქართული ოცნების“ იმედგაცრუებული ამომრჩევლის ხმა ნაციონალურ ყულაბაში მიდის?**

— არა მგონია. ვინც ნაციონალების ცხრაწლიანი მმართველობის სიმწარე ნახა და 2012 წლის არჩევნებში ხმა ოპოზიციურ პარტიებს მისცა, არჩევანს ნაციონალებზე არც 2016 წელს შეაჩერებს, მაგრამ მათ ჰყავთ სექტასავით მყარი ელექტრორატი, რომელიც არც იზრდება და არც იკლებს. თუ „ქართული ოცნებისგან“ იმედგაცრუებული და ინდეფერენტული ამომრჩეველი არჩევნებზე არ მივა, ნაციონალური მოძრაობის 10-15% წონადი გახდება. ხელისუფლებამ ამაზე უნდა იფიქროს და საზოგადოებას უნდა ესაუბროს და არა ნაციონალურ მოძრაობას. რა თქმა უნდა, ნაციონალურ მოძრაობასთან საუბარში ხელისუფლებას უამრავი არგუმენტი აქვს, რომ საკუთარი უპირატესობა დაამტკიცოს და ვილაცეებს ცხრაწლიანი მმართველობა შეახსენოს, მაგრამ, საზოგადოებასთან საუბრისას არა აქვს კითხვებზე პასუხი, რასაც მისგან ითხოვენ. ჩემი აზრით, სწორედ ამის მანიშნებელი იყო პოლიტიკური გადაცემების დახურვა, სადაც საზოგადოება რეალურად ისმენდა განსხვავებულ აზრს და პოზიციას. დიახ, ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორი ცუდი იყო ნაციონალური მოძრაობის მმართველობის წლები, მაგრამ ის ჩვენი წარსულია და მუდმივად წარსულზე საუბარი არ შეიძლება. ეს იყო ჩვენი ქვეყნის შავი ლაქა, რომელიც ველარასოდეს მოვა არჩევნების გზით ხელისუფლებაში.

**— მომავალი ვინ არის?**

— ეს საზოგადოების გადასაწყვეტია, მაგრამ ვისურვებდი, რომ ეს იყოს სუფთა და გაუსვრელი ადამიანების ერთობა და არა პოლიტიკაში ფულის საკეთებლად მოსული ხალხი. სანამ ასეთი ადამიანები ქვეყნის მართვის სათავეებს არ ჩამოსცილდებიან, რადიკალური ცვლილებები არ გატარდება, თუმცა პრობლემა მხოლოდ ხელისუფლებაში არაა. ჩვენ გვაქვს უტყუარი ინფორმაცია, თუ რომელი ფსევდოოპოზიციური პოლიტიკური ძალები და კონკრეტული ადამიანები თანამშრომლობენ დღეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან.

**— ზოგადი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, იქნებ დაასახელოთ, რომელ პოლიტიკურ ძალებს და კონკრეტულ ადამიანებს გულისხმობთ?**

— თუნდაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე, რომლისთვისაც ვადის გაგრძელებაზე არის საუბარი. შეგახსენებთ, რომ ის არის გირგვლიანის, მოლაშვილის და ბევრი ისეთი პროცესის მოსამართლე, სადაც მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლის ნიშნები იკვეთება. მან დაალაგა ურთიერთობები ხელისუფლებასთან და პირდაპირ ასრულებს სუსის დავალებებს. ასეთი მოსამართლე დამოუკიდებელი ვერ იქნება, რაც სრულიად მიუღებელია ჩვენთვის და მთელი საზოგადოებისთვის. რაც შეეხება ფსევდოოპოზიციურ პარტიებს დას არასამთავრობოებს, მათი დასახელების დროც მოვა. სამწუხაროდ, ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, ძალოვანი უწყებების მიდგომა პოლიტიკური პარტიების მიმართ იგივე დარჩა. სუსი ყველანაირად ცდილობს, რომ გაანეიტრალოს და თანამოზრეებად აქციოს პოლიტიკური პარტიები, ჟურნალისტები და არასამთავრობო სექტორი. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია იმ ტელევიზიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით, რომლებიც სუსისგან ფინანსდებიან და მათ მითითებებს ასრულებენ. ასეთი ტელევიზიები და ჟურნალისტები დამოუკიდებლები ვერ იქნებიან, ამიტომ უახლოეს მომავალში ერთ-ერთ ტელევიზიასთან მოვაწყობთ აქციას სახელწოდებით ნუ გაისუსები. სამწუხაროდ, სამართლიანობის აღდგენა ამ ხელისუფლების მიზანი არ ყოფილა, იმიტომ, რომ ზოგ შემთხვევაში, მორიგდნენ ნაციონალურ მოძრაობასთან და ზოგ შემთხვევაში, რაღაცის გამო უკან დაიხიეს. როცა პროკურატურაში 10 000 განცხადება და საჩივარია შესული, 12 ავტომანქანის და ოქროს საყურეების დაბრუნება არ მაძლევს იმის საფუძველს, რომ სამართლიანობა აღდგენილად ჩავთვალო. ალბათ გახსოვთ, რომ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, ახალგაზრდები კანცელარიასთან ვშიმშილობდით, მაგრამ ალბათ ეს ხელისუფლება ისე წავა, რომ ვერ ველირსებით. ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც საშინელი ბოროტებისგან გვიხსნა, უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ უპასუხისმგებლო ადამიანებმა შეიძლება წყალში ჩაყარონ მისი მონაპოვარი და ადამიანებს უკეთესი მომავლის რწმენა დაუკარგონ. ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა არნახული ნდობის მანდატი, რომელიც აშკარად შემცირებულია. სავარაუდოდ, პოლიტიკაში დაბრუნების გადაწყვეტილება ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ემსახურება, მაგრამ ვფიქრობ, რომ პოლიტიკაში მისი დაბრუნება არ იქნება ისეთი ეფექტური, როგორც მისი გამოჩენა იყო. ფაქტია, რომ დღეს მას აღარ აქვს ის ნდობა, რაც მაშინ ჰქონდა. სოციალური კუთხით უამრავი პრობლემაა, მოსახლეობას კი თავისი ხმა ჩინოსნებამდე ვერ მიუწვდენია. სწორედ ამას ემსახურება ჩვენი მოძრაობის ჩამოყალიბება. ჩვენი მიზანია, ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ ხალხის ხმა მოისმინოს.



**— მიზნის მიღწევას როგორ აპირებთ?**

— ჩვენ უკვე გვქონდა ერთი ღონისძიება, სადაც ბიუროკრატიული ხარჯების გაზრდა გავაპროტესტეთ. ამ და კიდევ სხვა მიმართულებით, ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე კიდევ ბევრი საპროტესტო აქცია და გამოსვლა გვექნება. ჩვენ ვიქნებით ძალიან აქტიურები, მკაცრები, კრიტიკულები და სამართლიანები და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ხალხს მოუსმინოს.

## ვინც ნაციონალების ცხრაწლიანი მმართველობის სიმწარე ნახა, არჩევანს ნაციონალებზე არც 2016 წელს შეაჩერებს



**ნელი თორდია**
571 35 36 88

# „ანანერბე“

## „ყველაფერს კადრები წყვეტენ“

გამოთქმა „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ ეკუთვნის სტალინს. სინამდვილეში მან ასე თქვა: „კადრები წყვეტენ ყველაფერს, და არა ხარები და მანქანები“ (სტალინის სიტყვა სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა წინაშე 1935 წლის მაისს).

კითხულობდნენ თუ არა სტალინის გამოსვლებს გერმანიაში, ავტორისთვის უცნობია, იქ ხომ ორატორობის თავიანთი ფანატი ჰიტლერი ჰყავდათ, მაგრამ ჰიტლერი, ჰიმლერი და მისდამი დაქვემდებარებული თანამშრომლები ორგანიზაცია „ანანერბედან“ ზუსტად „სტალინურად“ რომ მოქმედებდნენ, უეჭველია.

1937 წლიდან მოყოლებული, როდესაც ორგანიზაცია „ანენერბე“ ოფიციალურად და სრულიად, მთელი თავისი განყოფილებებითა და ფილიალებით, შშ-ში შევიდა, მისი ბერლინური შტაბბინა საკმაოდ ვიწრო აღმოჩნდა. თვით ბერლინიც კი, მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქი იყო, ნაკლებად გამოსადეგი გახლდათ ამ მკაცრად გასაიდუმლოებული ორგანიზაციისთვის, რამეთუ სავსე იყო აგენტებით მთელი მსოფლიოდან.

მარტო ფონ შტირლიცი (Í ÊÂÄ--ს აგენტი მ. მ. ისაევი) რად ღირს!.მან ხომ საკმაოდ სერიოზულად შეუშალა ხელი „ანენერბეს“: ატომური ბომბის შექმნა გერმანელებმა ვერ მოასწრეს, რაკეტა ფაუ-2 პოლონეთში მოიპარა, ხოლო თვით ჰიმლერი და ვოლფი თითზე დაიხვია...!

ამიტომაც უმეტესი გასაიდუმლოებისთვის და უკვე განშტოებული „ანენერბეს“ ხელმძღვანელობის ოპტიმიზაციისთვის, ჰიმლერის გადაწყვეტილებით, მთელი მისი ხელმძღვანელობა და მნიშვნელოვანი განყოფილებები გერმანულ ციხე-სიმაგრე ვეველსბურგში გადაბარგდა.

მანამდე, SS-ს უკვე მეთვალყურეობის ქვეშ ჰქონდა აყვანილი ეს ნაგებობა, რადგან SS-ის სასამართლო და SS-ის რეისხფიურერის ჰიმლერის პირადი შტაბი სწორედ იქ მდებარეობდა. და აი, სწორედ ამ მოშორებულ, ძველ და მისტიკური წარსულის მქონე ნაგებობაში შესახლდა „ანენერბეს“ განყოფილებები. კერძოდ, ოკულტიზმის ბიბლიოთეკა, ძველი ისტორიის ინსტიტუტი, არქეოლოგიური მუზეუმი. რამოდენიმე ათეული ლაბორატორია, რომელთა უმთავრესი დანიშნულება ახალი „ზეკაცის“ შექმნა გახლდათ და თავისი ძალით ღმერთს უნდა გატოლებოდა. გარდა ამისა, ჰიტლერის და ჰიმლერის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ვეველსბურგის ციხე სიმაგრეში ასევე განთავსდა: SS-ის ნორდული აკადემია.

ციხე-სიმაგრისა და მისი შემოგარენის რეკონსტრუქციაზე, მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც იქ მდებარეობდა “ანენერბე”, სულ დაიხარჯა 250 მლნ. რაისხმარკა, ანუ 1 მლრდ. აშშ-ს დოლარი იმდროინდელი



კურსით. ვეველსბურგი

იყო რენესანსული ციხე-სიმაგრე ბიურენის (გერმანია, ჩრდილოეთ რეინის, ვესტფალიის მიწა) სამხრეთით, პადერბორნთან ახლოს. დღეს არსებული და აღორძინების ხანის სტილის ვეველსბურგის ციხე-სიმაგრე აშენებულია 1603-1609 წლებში. მისი მშენებელი გახლავთ პადერბორნის თავადი და ეპისკოპოსი დიტრიხ ფონ ფიურშტენბერგი (მართავდა 1585-1618 წლებში).

ოცდაათწლიან ომში ციხე-სიმაგრე ძლიერ დაზიანდა, ხოლო 1815 წელს ელვამ ჩრდილოეთი კოშკი მთლიანად დაწვა.

1945 წელს ციხე-სიმაგრის აფეთქებას ცდილობდნენ SS-ის შენაერთები, მაგრამ გაუგებარი მიზეზით ნაგებობის უდიდესი ნაწილი გადარჩა. დღეს ის რესტავრირებულია და მოქმედებს როგორც მუზეუმი.

1934-1945 წლებში ვეველსბურგი ესესელთა ერთგვარი მონასტერი გახლდათ, რომელშიც წელიწადში ერთხელ ორდენის გენერალი ჰიმლერი საიდუმლო კონსისტორიის სხდომებს მართავდა.

აქ უნდა ყოფილიყვნენ ყველანი, ვინც კი ორდენის უმაღლეს წოდებას მიეკუთვნებოდა, აქ უნდა ეწვრთნა მას თავისი სული კონცენტრაციის ხელოვნებაში.

ციხე-სიმაგრის გადაკეთებას ხელმძღვანელობდა ჰერმან ბარტელსი, რომელმაც 1940-იან წლებში მოამზადა ციხეს-სიმაგრის ირგვლივ არსებული ტერიტორიის მოწყობის გრანდიოზული პროექტი.

პროექტის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ჰიმლერი ვეველსბურგს მსოფლიოს ცენტრად მიიჩნევდა და მის ირგვლივ მთელი ქალაქის გაშენებას აპირებდა, რომლის უბნები წარმოქმნიდნენ კონცენტრირებულ წრეებს და გაიმეორებდნენ „მკვდარი თავის“ მითოლოგიურ ნიშანს.

და ეს ოდენ ჰიმლერის უბრალო ახირება როდი გახლდათ, რამეთუ მთელი პროექტი დაფუძნებული იყო “ანენერბეს” სპეციალისტების მთელ რიგ დასკვნებზე, რომლებმაც შესძლეს ძველი გერმანელების მიერ შექმნილი ქვის ლაბირინთების შესწავლა და საიდუმლო ცოდნის გაშიფრვა, რომელიც მათ სიფრიფანა მატერიალური ველების წარმოსაქმნელად შექმნეს.

სწორედ ეს ნაგებობები ააფეთქეს შშ-ის ჯარისკაცებმა 1945 წელს. გადარჩა მხოლოდ ცალკეული ნახაზები სამშენებლო პროექტიდან. ხოლო დაცული ფოტოსურათების მიხედვით შექმნეს მაკეტი, რომლისგანაც უნდა მიეღოთ უფრო გრანდიოზული პროექტი, ვიდრე ვატიკანია.

ვეველსბურგის ციხე-სიმაგრეს „SS“-ის დოკუმენტებში კიდევ „SS-ვალჰალლას ციხეს“ უწოდებდნენ და სამკუთხა ფორმისა გახლდათ. „ანენერბე“ სპეციალისტების აზრით, ის, თავის მხრივ, ეკუთვნოდა მისტიკურ სამკუთხედს, რომლის პირველი წვერი იყო ძველ გერმანელთა ქვები ექსტერნშტაინეში, მეორე წვერი გერმანელებისა და რომაელების ბრძოლის ველი ტოვტენბურგის ტყეში და მესამე წევრი – ძველი ქალაქის არმაბეგის ნანგრევები, რომელიც, იმავე სპეციალისტების აზრით, უფრო ძველი იყო, ვიდრე იუდეური ქალაქი იერიქონი.

„ანენერბეში“ თავმოყრილი გერმანელი მეცნიერები სრული სერიზულობით მიიჩნევდნენ, რომ ველვესბერგის სიმაგრე და მისი გარემო ტერიტორია გახდებოდა მომავალი ბრძოლის ველის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჯარებს შორის! ამ იდეას აქტიურად უჭერდა მხარს ანენერბეს ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვლინგუტი.

რადგან, სწორედ ეს ციხე-სიმაგრე უნდა გადარჩენილიყო უკანასკნელ ბრძოლაში ერებს შორის, ყოველი საგანძური, რასაც კი გერმანელები იპყრობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ ციხე-სიმაგრეში მოჰქონდათ. უპირველეს ყოვლისა ეს იყო ნივთები, რომლებიც დიდ ინტერესს წარმოადგენდნენ ოკულტისტებისთვის.

თვით ციხე-სიმაგრეში, თუ მის ღირსშესანიშნაობებზე ვილაპარაკებთ, უმთავრეს კოშკში იმყოფებოდა ორდენის (ბარონის) დარბაზი. მის შესასვლელში ამოტვიფრულია წარწერა: „Domus mea domus orationis vocabitur“, რომელიც ასე ითარგმნება: „ჩემი სახლი ლოცვის სახლად იწოდება“. მას კიდევ უწოდებდნენ „მიგრადს“, ანუ „ცოცხალთა სამყაროს“, სადაც 1945 წლამდე მუდმივად იკრიბებოდა შშ-ის 12 უმაღლესი ფუნქციონერი ჰიმლერის მეთაურობით.

სკამებს მაღალი საზურგეები აქვთ და ღორის ტყავითაა დაფარული, ყოველ საზურგეზე ვერცხლის დაფაა, რომელზეც სახელია ამოტვიფრული.

ციხე-სიმაგრეში ისინი თავიანთ შტაბ-ბინაში არიან. შენობა სხვადასხვა ისტორიულ სტილშია გამშვენებული და სხვადასხვა ისტორიულ პიროვნებებს ეძღვნება, რომელთაგანაც შეკრებილნი შთაგონებას ღებულობენ. როდესაც ცამეტმა წევრმა თავისი ადგილები დაიკავა, დიდი მაგისტრის ხელმძღვანელობით მედიტირება დაიწყეს“.

მიცვალებულთა დარბაზში ყოველი წევრისთვის მომზადებული იყო საკუთარი ნიშა, სადაც ისინი უნდა დაკრძალულიყვნენ. ეს დარბაზი ორდენის დარბაზის ქვემოთ მდებარეობდა.

„მიცვალებულთა დარბაზის“ შუაში, სპეციალური 12 საწმისისგან შეკრულ წრეში „მარადიული ცეცხლი“ ან, როგორც მას გერმანელები უწოდებენ,



ყოველ მონაწილეს თავისი სპეციალური გერბი ჰქონდა. აი, თვითმხილველის ცნობა: „ვესტფალია 1939 წელს. ცამეტი ადამიანი შეიკრიბა ვეველსბურგის სიმაგრის ბარონის დარბაზში. ყველა ერთნაირად არის ჩაცმული. ყოველ მათგანს სარიტუალო ხმალი უპყრია ხელთ. ყოველი მათგანი ატარებს ვერცხლის ბეჭედს. საზეიმოდ იკავებენ ისინი თავიანთ ადგილს მუხის უზარმაზარი მრგვალი მაგიდის ირგვლივ, რომელიც ნახევრად ლეგენდარული მეფე არტურის მრგვალ მაგიდას მოგაგონებს.

„შავი მზე“ აინთო.

აქ ჯეროვანია შეკითხვა. ხომ არ გადმოიღეს საბჭოთა იდეოლოგებმა 1945 წლის შემდეგ SS-ის ორდენიდან „მარადილი ცეცხლის“ იდეა, რომელიც შემდეგ წითელი არმიის დაღუპულთა პოსტამენტებზე აანთეს?

თვით ცეცხლთან სამი საფეხური ადიოდა, რაც ტიბეტური ლხასის მომლოცველთა სამ წრეზე მიანიშნებს. თვით სამსხვერპლოს სპეციალური სახელი გააჩნდა – „ნიფლჰაიმი“, ანუ ცოცხალთა და მიცვალებულთა სამყაროების შეერთება.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №40

მარადიული ცეცხლის, ანუ ნიფლჰაიმის ირგვლივ მდებარეობდა 12 სპეციალური ადგილი საზეიმო ცერემონიალის მონაწილეთათვის.

ამავე აკლდამაში ჰიმლერი აგროვებდა „მკვდარი თავის“ ბეჭდებს, რომელთა მფლობელები ომში დაიღუპნენ. ეს იყო ვერცხლის ბეჭდები, რომლებზეც ამოტვიფრული იყო თავისქალა და ძვლები, სვასტიკა, რუნი „ჰაგალაზი“ (ჰაგალაზ – ძმობის სიმბოლო) და ორი რუნა „სოვილო“ (შოწილო - გამარჯვების სიმბოლო). შიდა მხარეს ამოტვიფრული იყო მფლობელის სახელი, გვარი, მინიჭების წელიწადი, ჰიმლერის ხელმოწერა და აბრევიატურა „SLB“, რომელიც შეიძლება გაიშიფროს ასე: „მისთვის საყვარელს“.

ასეთ ბეჭდებს მხოლოდ საუკეთესო ესესელებს აძლევდნენ. დიზაინი ჰიმლერმა და ვილიგუთმა მოიფიქრეს. მორთულობას მარცხენა ხელის არათითზე ატარებდნენ თავის ქალით პირისახისკენ.

ციხე-სიმაგრის ჩრდილოეთ კოშკში არსებობდა გრაალის სპეციალური დარბაზი, მასში 48 ფანჯარა იყო, რომლებიც ასგარდის სამყაროს ძველგერმანული ღმერთების სიმბოლურ რიცხვს წარმოადგენდნენ.

ამავე დარბაზში იმყოფებოდა გრაალის სახელგანთქმული თასის პოსტამენტი, რადგან გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ გრაალს იპოვიდნენ.

ვეველსბურგის ციხე-სიმაგრეში გამართულ ყველა საზეიმო ღონისძიებაში SS-ის მხოლოდ 30 გენერალი დაუშვეს.

შეკრების დროს ორდენის დარბაზში იქმნებოდა სპეციალური განათება, რომელიც აძლიერებდა შეკრებილთა გონებრივ საქმიანობას, მაგრამ განათება იყო არა მკაფიო, არამედ ნახევრადჩაბნელებული. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი რიტუალი, რომელიც იქ აღესრულებოდა, იყო ვაშლის გარშემო შეკრებილთა მედიტაცია.

ვეველსბურგის ციხე-სიმაგრის ძირითად ღირებულებას წარმოადგენდა „ბედის შუბი“, ანუ რომაელი ლეგიონერის, გაიუს კასიუს ლონგინოზის შუბი, რომლითაც, ისტორიული ლეგენდის თანახმად, მან ფერდი გაუგმირა იესუ ქრისტეს, რათა დაესრულებინა მისი წამება ჯვარზე. თვით შუბი წვერით აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული. „ბედის შუბზე“ არსებობს კარგი მოთხრობა, რომელსაც აქ მთლიანად დავიმოწმებთ.


ლონგინოზის შუბის წვერი

„ვენის ჰოფბურგში, ჰაბსბურგების სასახლის საგანძურში, თავმოყრილია მრავალი ქრისტიანული რელიკვია. მათ შორის სამართლიანად იკავებს პირველ ადგილს საგანი, რომელიც ფლობს არაჩვეულებრივ, ზღაპრულ და ამიტომაც, არამიწიერ ენერგეტიკას. ეს არის შუბი, რომელმაც შეწყვიტა მაცხოვრის სიცოცხლე ჯვარზე. საუკუნეთა განმავლობაში ის წარმოადგენდა ძალისა და ძლიერების სიმბოლოს, და მას მრავალი სახელი ჰქონდა - ბედ-იღბლის შუბი, ძალაუფლების შუბი, წმიდა შუბი, ლონგინოზის შუბი, წმიდა მავრიკიუსის შუბი... ბევრწილად განაპირობებდა რა თავისი, გვირგვინმოსილი პატრონების ბიოგრაფიულ სარჩულს, მას კიდევ გააჩნდა ერთადერთი, მაგრამ კონკრეტული დანიშნულება - კაცობრიობის ისტორიის აღსრულება. გადმოცემით, ვინც ამ შუბის მფლობელი გახდებოდა, ის მსოფლიოს მპყრობელიც უნდა გამხდარიყო.

ამისი მიღწევა შესაძლებელი ხდებოდა იმის წყალობით, რომ შუბში საოცრად იყო შერწყმული ორი შეუთავსებელი პოლუსი: სიკეთე და ბოროტება. მაგრამ ეს ძალა ბრმა იყო და ზნეობრივი არჩევანი მთლიანად შუბის მფლობელზე იყო დამოკიდებული.

ამბობენ, რომ ეს შუბი თავისი საიდუმლო მიზნებისთვის გამოჭედა იუდეველთა მღვდელმთავარმა, მღვდელმთავარ ელეაზარის შვილმა და აარონის შვილიშვილმა, მოგვმა და კაბალისტმა ფინესმა. აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწე - მხედართმთავარი, რომელიც არ ერიდებოდა საკუთარი ხელით დაესაჯა განდგომილნი, ფინესი არაერთხელ შესულა კონტაქტში ძალასთან, რომელსაც იმ დროს ღმერთს უწოდებდნენ და აუწყებდა მას თავისი ხალხის ნებას. შუბი მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში ეხმარებოდა მას მიზნის მიღწევაში, რომელიც უბრალო მოკვდავთათვის მიუღწეველი იყო. წლითი წლამდე რელიქვიის ძლიერება მხოლოდ მატულობდა და კიდევ უფრო იზრდებოდა მისი დაუფლების პრეტენდენტთა რაოდენობაც.

ის ხელთ ეპყრა ისუ ნავეს, როდესაც იერიქონის კედლების ნგრევას შეჰყურებდა. მეფე საულმა ეს მაგიური თილისმა ესროლა ჯერ კიდევ ყმაწვილ დავითს (შემდგომში მეფეს, ფსალმუნთმგალობელსა და წინასწარმეტყველს). ამ შუბზე დაყრდნობილმა ჰეროდე დიდმა, უდანაშაულო ყრმათა ამოჟლეტის ბრძანება გასცა. შემდეგ განგებით ის რომაელი ცენტურიონის გაიუს კასიუსის ხელში გადაიყვანა და მისით მოკლულმა ქრისტემ სამარადისო ცხოვრება მოიპოვა.

შემდეგ, ლეგენდის მიხედვით, ძლევამოსილი შუბის მფლობელები იყვნენ რომის კეისარი დიოკლეტიანე და კონსტანტინე (III-IVსს); ვესტგუთების ენერგიული მეფეები, რომის იმპერიის დამანგრეველები, ისეთები, როგორებიც იყვნენ ოდოაკრი (V ს.); იდუმალი, ზარმაცი და გრძელთმება მეროვინგები (იმ ხანებში სრულიად სერიოზულად სჯეროდათ, რომ მეროვინგთა დინასტიის დამფუძნებელი მეროვეუსი დაიბადაო ქალისა და ზღვის ურჩხულის სქესობრივი კონტაქტისგან), რომელთა შორის განსაკუთრებულად გამოირჩევა საფრანგეთის განმანათლებელი (496 წ.), სასტიკი და საშუალებებში განურჩეველი ჰლოდვიგი, იმავე მეროვეუსის შვილიშვილი; ასევე უკანასკნელი ნაყოფიერი ლიდერი ამ დინასტიისა, რომელსაც გამჭრიახობისა და წინდახედულობის გამო სოლომონი შეარქვეს, დაგობერგ I (629-639), პიპინ ჰერისტალელი (VII ს. მეორე ნახევარი) ზედმეტსახელად „მეომარი ურო“, კარლოს დიდის პაპა, რომელიც ლომბარდიის (774 წლიდან) და დასავლეთის იმპერიის განმაახლებელი იყო. მისი ორმაგი როლი, როგორც იმპერატორისა და ფრანკთა მეფისა, ისტორიულად აკავშირებს რომის იმპერიულ კლანს, ფრანკთა სამეფოებსა და გვიანდელ გერმანიას. ამჟამად ფრანგებიც და გერმანელებიც კარლოს დიდს მათი ქვეყნების დამფუძნებელ ფიგურად მიიჩნევენ.

მაგრამ აქ რაღაც მაინც ბუნდოვანია. სავარაუდოდ, მითი შუბის შესახებ იმდენად მყარი იყო, რომ არსებობდა სხვა შუბებიც, რომლებსაც მხოლოდ საერთო იდეა აერთიანებდა. რაც შეეხება კარლოს დიდს, ბევრი რამ მეტყველებს იმის შესახებ, რომ სწორედ მას შეეძლო ენახა და ხელში სჭეროდა ნამდვილი შუბი.

799-800 წლებში იერუსალიმის პატრიარქი, რომელსაც, როგორც ჩანს, სურდა იმ საქმის წამოწყება, ორასი წლის შემდეგ ჯვაროსნულ ომებს რომ უწოდებენ, აგზავნიდა მასთან თავის მალემსრბოლებს კურთხევით და წმიდა რელიქვიებით, რომელთა შორის იყო უფლის საფლავის გასაღები და გასაღები თვით იერუსალემისა. კარლოსი მოქრთამვაზე არ წავიდა, არ წამოეგო ავანტიურას და მხოლოდ ძვირფასი საჩუქრებით, დიდი ფინანსური შემოწირულობებით შემოიფარგლა.

უკანასკნელ მცდელობას სიონის მთის ბერებმა მიმართეს 803 წელს. შარლემანთან საიდუმლო მისიით ზალცბურგში ჩამოვიდა ორი ბერი. არსებობს ვერსია, რომ დაყოლიების დროს უკანასკნელ არგუმენტად ბერებმა შარლემანს აჩვენეს წმიდა შუბის ძლიერება. მაგრამ ეს



წმ. გრაალის თასი

ლეგენდის გაგრძელებაა.

ჩვენთვის შუბის რეალური ისტორია 1098 წლის 14 ივნისიდან, ანტიოქიიდან იწყება. ცნობებმა ჩვენამდე მოაღწია იმ მოვლენათა უშუალო თვითმხილველის, მემატიანისა და კანონისტის რაიმონდ აგილიელის წყალობით. კერძოდ, ჯვაროსნული ლაშრობის მონაწილეს, პროვანსელ გლეხს პეტრე ბართლომეოსს რამდენიმეჯერ გამოეცხადა წმ. ანდრია და მიუთითა ადგილი, სადაც დაფლული იყო შუბი ბედისწერის.

ის ასევე ითხოვდა ამის შესახებ დაუყოვნებლივ მამაცი რაინდისა და ტულუზის გრაფ რაიმონდისადმი ეუწყებინათ. მაგრამ გრაფამდე მისვლა დიდი ხანი ვერ ხერხდებოდა, რამეთუ დისტანცია საზოგადოების ფენებს შორის იმ დროს კატასტროფულად დიდი და გადაულახავი გახლდათ.

ბოლოს და ბოლოს, დასძლია რა ყველა არსებული წინაღობა და შეასრულა მრავალრიცხოვანი, მაგრამ აუცილებელი პირობები, დაინტერესებულ პირთა ჯგუფი, ლოცვით მიეახლა წმიდა პეტრეს ტაძრის გათხრებს. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ნაწინასწარმეტყველევი იყო. ყველაფერი უფლის სადიდებლად მოხდა - ნაპოვნმა შუბმა დაუყოვნებლივ აჩვენა თავისი სასწაულთმოქმედი ძალა: მტრის ციხესიმაგრეები ერთიმეორის მიყოლებით ეცემოდა. მალე თვით იერუსალიმიც დაეცა.

იმავე დროს, ფართოვდებოდა შურით აღვსილთა და სკეპტიკოსთა რაოდენობაც. მთავარი მათ შორის იყო არნულფი, ნორმანდიის საგრაფოს კაპელანი. ჯარისკაცთა შორის ხმა დაირხა, რომ შუბს არავითარი სასწაულთმოქმედი ძალა არ გააჩნია და ესოდენ მრავალრიცხოვანი გამოცხადებები, უბრალო გამონაგონია. დაღონებულ ბართლომეოსს ისევ წმიდა ანდრია ევლინება და სთავაზობს ყველა ურწმუნოს შერცხვენას, თანაც სრულიად განსაზღვრული სახით.

მემატიანე ამის შესახებ წერს: „პეტრე ბართლომეოსმა, გულისწყრომით აღსავსემ, როგორც უბრალომ და ჭეშმარიტების კარგად მცოდნემ, თქვა: „მე მინდა და გთხოვთ, რომ დაანთოთ დიდი კოცონი, რათა გავიარო მასში უფლის შუბთან ერთად. თუ ეს უფლის შუბია, მე ცოცხალი და საღსალამათი გამოვალ; ხოლო თუ ტყუილია, დავიწვები...“ ეს ხდებოდა დიდ პარასკევამდე (ანუ 1099 წლის აპრილს, არკის ალყისას)... ამ განცხადებამ მრავალი ხალხი მიიზიდა. დაახლოებით 40 ათასამდე უბრალო ადამიანი და წარჩინებულნი შეიკრიბნენ, რათა სასწაული ენახათ... გამხმარი ზეთისხილისგან ცეცხლი ააგიზგიზეს, რომელიც სიგრძეში 14 ფუტს აღწევდა... თვით ტოტების გროვა კი 4 ფუტამდე იყო... ყოველგვარი შიშის გარეშე, მტკიცედ შეაბიჯა ცეცხლში პეტრე ბართლომეოსმა, რომელსაც ხელში ლონგინოზის შუბი ეჭირა; გარკვეულ ადგილას, ცეცხლის შუაგულში ის შეჩერდა და ამის შემდეგ, ღმრთის წყალობით, ბოლოში გავიდა... მისი ტანისამოსი არც კი შეიტრუსა და იოტისოდენა ნაკვალევიც კი არ დარჩა ცეცხლისგან უფაქიზეს ქსოვილზე, რომელშიც გახვეული იყო შუბი უფლისა...

ერი ბართლომეოსს მიაწყდა...

(გაგრძელება იქნება)

ტულუზა. XVII ს.


# ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი

## 2014 წლის საქმიანობის პროგრამული და ფინანსური ანგარიში

„თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი" რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 18 სექტემბერს, ს/კ 204517086. ფონდის ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქ.№1. 2008 წლის „22" „ოქტომბერს" ფონდს მიენიჭა საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

ფონდი წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ფონდის ძირითადი მიზანია "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის", როგორც ძეგლის გადარჩენაში, განვითარებასა და ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებაში ხელშეწყობა; საკონცერტო დარბაზის თანამედროვე ხმოვან-გასანათებელი მოწყობილობითა და აპარატურით აღჭურვის უზრუნველყოფა, კულტურულ საქმიანობაში ხელშეწყობა და სხვა.

ფონდის 2014 წლის შემოსულობების და ხარჯების შესახებ ანგარიში (ფინანსური ანგარიში) წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი

| № | დასახელება | შემოსულობები (ლარი) | ხარჯები (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | სესხის დაბრუნება | 597521.79 | |
| 2 | ფონდის მიზნობრივი ხარჯი | | 573000 |
| 3 | იჯარა | | 4100 |
| 4 | საგადასახადო ვალდებულება | | 16000 |
| 4 | აუდიტის მომსახურება | | 360 |
| 5 | ფინანსური ანგარიშის გამოქვეყნება | | 600 |
| 6 | შანიტარიო ხარჯი | | 35.04 |
| 7 | საბანკო მომსახურების ხარჯი | | 13.90 |

## „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" რეაბილიტაციის პროგრამა

2010 წელს მიღებული გრანტის თანხები მიმართული იქნა "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" რეაბილიტაციისა და ახალი ტექნოლოგიებით (გახმოვანება, განათება, ინფრასტრუქტურა და სხვა) აღჭურვისათვის, რისთვისაც გრანტის თანხა სასყიდლით გადაეცა შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" წილის მმართველ კომპანიას, თანხების მიზნობრივად "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" რეაბილიტაციისთვის გამოყენების პირობით.

## მოგება–ზარალის წლიური ანგარიშები 2014 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

### (ხარჯების კლასიფიკაცია ფუნქციების მიხედვით)

**საფირმო სახელწოდება -**
**„თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი"**
**ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა -**
**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**
**იურიდიული მისამართი - ქ.თბილისი, მელიქიშვილის 1**
**დარგი (საქმიანობის სახე) - საქველმოქმედო საქმიანობა**

| | | | |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 010 | | X |
| რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) თვითღ. | 020 | X | |
| საერთო მოგება (ზარალი) | 030 | | |
| კომერციული ხარჯები | 040 | X | |
| ადმინისტრაციული ხარჯები | 050 | X | (3 136,54) |
| შემოსავლები შემოწირულობიდან | 060 | 0,00 | X |
| სხვა ხარჯები | 070 | X | (32 468,98) |
| ფინანსური დანახარჯები | 080 | X | |
| შემოსავლები ფინანსური დაბანდებებიდან და პროცენტებიდან | 090 | 16031,04 | X |
| მოგება (ზარალი) საქმიანობიდან | 100 | -19574,48 | |
| გაუთვალისწინებელი შემოსავლები | 110 | 52638,99 | X |
| მოგება (ზარალი) | 130 | 33064,51 | - |
| საგადასახადო მოგების გადასახადი | 140 | X | 11424,56 |
| საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება | 150 | 21639,95 | |
| ხარჯები (წინა წლების ზარალის გამოქვითვა) | 120 | X | - |
| დაგროვილი საერთო ფონდი | | 21 639,95 | X |

## ა(ა)იპ „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდის" წლიური ბალანსი

| 2014 წლის ბალანსი. აქტივი | | კოდი (სტრიქ.) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები** | | | | |
| ნაღდი ფული სალაროში | 1100 | 010 | | |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 1200 | 020 | 440,93 | 3853,78 |
| მოკლევადიანი ინვესტიციები | 1300 | 030 | | |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 1410 | 040 | | |
| მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ | 1420 | 041 | | |
| მოთხოვნები მეწარმეების მიმართ | 1415 | 050 | | |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ | 1430 | 060 | | |
| მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე | 1460 | 070 | | |
| გადახდილი დღგ | 3340 | 071 | | |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი | 1480 | 080 | | |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 1490 | 090 | | |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | | 440,93 | 3853,78 |
| **სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | | |
| საქონელი | 1610 | 110 | | |
| ნედლეული და მასალები | 1620 | 120 | | |
| დაუმთავრებელი წარმოება | 1630 | 130 | | |
| მზა პროდუქცია | 1640 | 140 | | |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 1690 | 150 | | |
| წინასწარ გაწეული ხარჯები | 1700 | 160 | | |
| დარიცხული მოთხოვნა | 1800 | 161 | 450701,46 | 500691,62 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 1900 | 170 | 3473,13 | 8048,57 |
| **სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | 454174,59 | 508740,19 |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| მიწის ნაკვეთები | 2110 | 190 | | |
| დაუმთავრებელი მშენებლობა | 2120 | 200 | | |
| შენობა-ნაგებობები | 2130 | 210 | | |
| მანქანა-დანადგარები | 2150 | 220 | | |
| ოფისის აღჭურვილობა | 2160 | 230 | | |
| სატრანსპორტო საშუალებები | 2180 | 240 | | |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 2190 | 250 | | |
| გრძელვადიანი მოთხოვნები | 2300 | 260 | 591519,12 | 0,00 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 2340 | 270 | | |
| გრძელვადიანი ინვესტიციები | 2400 | 280 | | |
| არამატერიალური აქტივები | 2500 | 290 | | |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | | 591519,12 | 0,00 |
| **სულ აქტივები** | | | 1046134,64 | 512593,97 |

| პასივი | | კოდი (სტრიქ.) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| **მიდინარე ვალდებულებები** | | | | |
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდ. | 3110 | 310 | 1999,05 | 26,65 |
| მიღებული ავანსები | 3120 | 320 | | |
| გადასახდელი ხელფასები | 3130 | 330 | | |
| ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე სესხი | 3170 | 331 | | |
| მოკლევადიანი სესხები | 3210 | 340 | | |
| გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | 3230 | 350 | | |
| გადასახდელი მოგების გადასახადი | 3310 | 360 | | |
| გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი | 3320 | 370 | | |
| გადასახდელი სოციალური | 3330 | 380 | | |
| გადასახდელი ქონება | 3350 | 390 | | |
| სოციალური გადასახადი | 3370 | 400 | | |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები ფიქსირებული | 3390 | 410 | | |
| გადასახდელი საგზაო | 3410 | 420 | | |
| გადასახდელი გადასახდელი დივიდენდები | 3420 | 430 | | |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 3190 | 440 | | |
| **სულ მიდინარე ვალდებულებები** | | 450 | 1999,05 | 26,65 |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 4100 | 460 | | |
| გადავადებული მოგების გადასახადი | 4210 | 470 | | |
| ანარიცხები | 4300 | 480 | | |
| გადავადებული შემოსავალი | 4410 | 481 | | |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | 4220 | 490 | | |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | 500 | | 0,00 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 5100 | 510 | 3000,00 | 3000,00 |
| დაგროვილი საერთო ფონდი | 5110 | 520 | 303397,57 | 325037,52 |
| დაგროვილი დეფიციტი | 5120 | 530 | | |
| პროექტების მხარდაჭერის ფონდი | 5240 | 531 | 737738,02 | 184529,80 |
| გაუნაწილებელი მოგება | 5310 | 540 | | |
| დაუფარავი ზარალი * | 5320 | 550 | | |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | 560 | 1044135,59 | 512567,32 |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | 570 | 1046134,64 | 512593,97 |

*აღნიშნული სტრიქონის მონაცემები ბალანსის პასივის პირველი განაყოფის ჯამს აკლდება




# საქართველოში 144 ადამიანი C ჰეპატიტისგან უკვე განიკურნა

– C ჰეპატიტი განკურნებადიაო, მსოფლიოში სამი-ოთხი წლის წინ ვერავინ იტყოდა, – განაცხადა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ვალერი კვარაცხელიამ დავადებათა კონტროლის ცენტრში გამართულ ბრიფინგზე, რომელიც ამ ვერაგი დაავადების საქართველოში ელიმინაციის პროგრამის პირველი ეტაპის შეჯამებასა და მეორის დაწყებასთან დაკავშირებით გაიმართა.

ბრიფინგის დაწყებამდე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებმა ჩაიტარეს C ჰეპატიტზე ტესტირება. ვალერი კვარაცხელიას თქმით, პარტნიორების დახმარებით, საქართველოში თავდაპირველად დაიწყო C ჰეპატიტით დაავადებული იმ 5 ათასი ადამიანის მკურნალობა, რომლებიც სასწრაფოდ საჭიროებდნენ დახმარებას.

– პროგრამის დასაწყისში ბევრს არ ეგონა, რომ ჩვენ შევძლებდით 5 ათასი ადამიანის მკურნალობას. საბედნიეროდ, ჩვენ არათუ შევასრულეთ დასახული ამოცანა, არამედ გადავაჭარბეთ კიდეც – დღეს საქართველოში ექვსი ათასი ადამიანი მკურნალობს. – გვითხრა ვალერი კვარაცხელიამ. – სამწუხაროდ, პროექტს, რბილად რომ ვთქვა, ოპონენტები გამოუჩნდნენ, რომლებიც პერიოდულად აქვეყნებენ ცილისმწამებლურ სტატიებს. როგორ შეიძლება, ასე არ უყვარდეს ადამიანს საკუთარი ქვეყანა, რომ ასე კრიტიკულად აფასებდე იმ საქმეს, რასაც მკურნალობა ჰქვია. აქვე მინდა უკვე ოფიციალურად განვაცხადოთ, რომ გაისად თებერვლიდან მივიღებთ ახალი თაობის პრეპარატს „ჰარვონს“, რომელიც უფრო ეფექტურს გახდის C ჰეპატიტთან მკურნალობას. ამ ახალი წამლის უპირატესობა ის გახლავთ, რომ მას არ სჭირდება სხვა პრეპარატებთან კომბინირება. თუმცა, ნურავინ იფიქრებს, რომ დღემდე არაეფექტური საშუალებებით ვმკურნალობდით. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ წინასწარ გეტყვით, რომ გაისად ზაფხულში შეიძლება კიდევ ერთი ახალი პრეპარატიც მივიღოთ. ახლა მთელი მსოფლიოს ყურადღება ჩვენსკენ არის მოპყრობილი, რადგან ელიმინაციის პროგრამაზეა დამოკიდებული სამყაროში C ჰეპატიტთან მკურნალობის ბედი.

როგორც ცნობილია, C ჰეპატიტი განკურნებულად ითვლება მაშინ, როდესაც მკურნალობის დასრულებიდან სამი თვის შემდეგ პაციენტს აღარ აღმოაჩნდება ეს დაავადება. ასეთი პაციენტების რაოდენობა საქართველოში დღეს უკვე 144 ადამიანი ყოფილა, რომლებმაც დაასრულეს მკურნალობის კურსი.

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განმარტებით, დღეს ჩვენს ქვეყანაში C ჰეპატიტზე გამოკვლევები ნებაყოფლობითია. თუმცა, მაღალი რისკის ჯგუფების პირებს, რომლებისთვისაც აუცილებელია ამ დაავადებაზე გამოკვლევები, და-



ემატნენ ორსულებიც. საერთოდ, საქართველოში დღეს 12 სერვის-ცენტრი მოქმედებს, სადაც შეიძლება მოქალაქეებმა C ჰეპატიტზე გამოკვლევები ჩაიტარონ. უეხლოეს დღეებში მათ მობილური ჯგუფები დაემატებიან, რომლებიც ხალხმრავალ ადგილებში გავლენ და მოსახლეობას ტესტირებას ჩაუტარებენ, რომელსაც მხოლოდ 10 წუთი სჭირდება. როგორც ბრიფინგზე ითქვა, დღემდე საქართველოში 50 ათასმა ადამიანმა გაიარა C ჰეპატიტზე ტესტირება.

**გია ბურდული**
551 71 27 07

---

**მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენი კოლეგის მურად კეკელიძის სიდედრი**

**გოგუცა გაგუა**

**და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.**

**„საერთო გაზეთი“**

---

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**-ვინ ითვლებიან კანონისმიერ მემკვიდრეებად?**

-სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1336. კანონით მემკვიდრეები

კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან: I. პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები). ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ. შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა. შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიურ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ. II. მეორე რიგში – გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა. III. მესამე რიგში – ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან. IV. მეოთხე რიგში – ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები. V. მეხუთე რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები.

* * *

**-რა ითვლება კომერციულ საიდუმლოებად?**

-საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, კომერციული საიდუმლოება გახლავთ ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ.

# რატომ არის ჩვენთვის ყველა ჩინელი ერთნაირი?

ადამიანის სახე არის ტექსტი, რომელიც ითხოვს წაკითხვის თავისებურ ტექნიკას. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ყველა კულტურას ეს ტექნიკა სხვადასხვანაირი აქვს.

ევროპელების შეხედულებით, ჩინელების დახასიათებისას წარმოიდგენს მარცხენა თვალს, მარჯვენა თვალს და ტუჩებს, მაგრამ ჩინელები მაშინვე უყურებენ ცხვირს და სახის სხვა ნაწილები პერიფერიულ ორგანოებად მიაჩნიათ. ამ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები 2008 წელს, მათ კვლევა ჩაატარეს დიდ ბრიტანეთსა და კანადაში. ახალი ექსპერიმენტი ექსპერტების ჯგუფმა ჩაატარა, რომელსაც ელიზაბეთ შეპარდი ხელმძღვანელობდა. ის გახლავთ მალაიზიაში ნოტინგჰემის უნივერსიტეტის ფილიალის პროფესორი მას ეხმარებოდნენ შოტლანდელი სპეციალისტები შოტლანდიიდან სენტ-ენდრიუს უნივერსიტეტიდან. თუ სახისმეტყველების გაშიფრვას მივყვებით, ნათელი გახდება, რომ ყველაფერი მშობლების გენზეა დამოკიდებული. ხოლო სახეები ყველას ერთნაირი აქვს, განსხვავება იმაშია, თუ როგორ გარემოში იზრდებოდა ადამიანი. საინტერესოა ის, თუ რას კარნახობდა ადამიანს რასა და რას ასწავლის კულტურა. მალაიზიელ ეთნიკურ ჩინელებზე ეს პირდაპირ ვრცელდება. საინტერესოა, რომ მალაიზიაში ჩინელი არის 23,7 პროცენტი, დანარჩენი ინდუსები და თეთრკანიანი იმიგრანტებია. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ აქ მხოლოდ დასავლურ ფილმებს უყურებენ და არ აინტერესებთ ჩინური კულტურა. საინტერესოა, რომ თვით ნოტინგეჰემის უნივერსიტეტის მალაიზიის ფილიალის სტუდენტებიც აქტიურად არიან დაინტერესებული დასავლური კულტურით.

მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევა, რომელშიც, ძირითადად, ჩინური წარმომავლობის ახალგაზრდები იყვნენ და მონიტორზე უჩვენეს როგორც ჩინელების, ასევე ევროპელების სახეები, რათა შეესწავლათ „სახისმეტყველების კითხვის“ ტექნიკა კვლავ იგივე დარჩა თუ არა. როგორც ზემოთ გითხარით, ჩინელი სახეზე ერთ წერტილს აკვირდება და ეს წერტილი ცხვირია.



ცდებმა აჩვენა, რომ ჩინელი ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა სახეს ისე კითხულობდა, როგორც ევროპელი, ანუ არ იყო ორიენტირებული ერთ წერტილზე, რაც ნიშნავს, რომ წარმომავლობას კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ გარემოს, სადაც სიცოცხლე ვითარდება. როგორც აღმოჩნდა, სწორედ ეს არის განსხვავების მიმანიშნებელი დასავლურ და აღმოსავლურ მხატვრულ ხელოვნებაშიც. კულტურულოგების მტკიცებით, გლობალიზაცია სრულიად შეცვლის სილამაზის სტანდარტებს და ხელოვნება სულ სხვანაირ კატეგორიებს დასჯერდება.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**


## ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან

**0 901 500 540**

თიბისი ბანკი

ა/ნ GE88TB1117236080100001


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – ამ კვირაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ინფორმაციას – ნუ გაამჟღავნებთ საკუთარ საიდუმლოებებს. მოქმედეთ და ხელი შეუწყვეთ დადებითი ტენდენციების განვითარებას.

**კურო** – შესაძლებელია, გამოგიჩნდეთ დაუგეგმავი ხარჯები, თუმცა ნუ გადააჭარბებთ – ნუ იქნებით უყაირათო დ მაქსიმალურად გააკონტროლეთ თქვენი ფინანსები.

**ტყუპები** – ამ პერიოდში მოგიწევთ გადააფასოთ ღირებულებები. ყურადღება გაამახვილეთ სამსახურეობრივ საქმიანობასა და კარიერაზე, მით უმეტეს რომ პირადული საკითხების მოგვარება ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ.

**კირჩხიბი** – გააქტიურდებით და სერიოზული შემოქმედებითი პროექტის განხილვაც მოგიწევთ. ნუ იზარმაცებთ და ნუ იქნებით უხეში, ეს თქვენს მომავალ წარმატებებს შეაფერხებს.

**ლომი** – მოსალოდნელია, ეს კვირა თქვენი სურვილების შესრულების პერიოდად იქცეს, შეეცადეთ ყველაფერი ეტაპობრივად გააკეთოთ.

**ქალწული** – თქვენ შეძლებთ არსებული მდგომარეობის გაკონტროლებას, იმოქმედეთ წინდახედულად, თუმცა, ნუ დაიწყებთ გარშემომყოფების კრიტიკას.

**სასწორი** – მოსალოდნელია, გაგიჩნდეთ კარდინალური ცვლილებების განხორციელების სურვილი, თუმცა ამას რამდენად მოახერხებ და რამდენად შეძლებთ საერთო მდომარეობის გამოსწორებას, ეს თქვენზეა დამოკიდებული.

**მორიელი** – ამ კვირაში მოერიდეთ ზედმეტ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას, ყურადღებით მოუსმინეთ გარშემომყოფვა რჩევებს და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინეთ კიდეც.

**მშვილდოსანი** – მოსალოდნელია ურთიერთობებისა და საქმეების განახლება დაგჭირდეთ, ამაში ნაცნობებიც დაგეხმარებიან.

**თხის რქა** – მოგიწევთ კომპრომისზე წასვლა და ამასთან გამოგიჩნდებათ საშუალება, რომ მოძალებულ პრობლემებს თავი დააღწიოთ.

**მერწყული** – ამ კვირაში მეტი ყურადღება ჯანმრთელობას მიაქციეთ, ნერვულ სისტემას, ნუ გადაიტვირთავთ თავს.

**თევზები** – კვირის დასაწყისში მოსალოდნელია, მრავალი პრობლემა გადაჭრათ. ეს თქვენს ნერვულ და ემოციურ სისტემას დაძაბავს. თუმცა, შემდეგ ყველაფერი თქვენს სასიკეთოთოდ შემოტრიალდება.


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63


ISSN 2233-3983